


1955



მუშნოერუბე ზ ცეშნოეშ



1 • 9 • 5 • 5

სქეჩნოეშნოეშ სსრ მუშნოერუბეშ აკადემიე




ვოლგაზე მწყობრში ჩადგა გორკის ჰიდროელექტროსადგური, რომლის პირველმა აგრეგატმა მუშაობა დაიწყო 1955 წლის ნოემბერში.

ნ ა ხ - ზ ე — გორკის ელექტროსადგურის წყალსაშვები კაშხალი ღამით.

ლენინგრადის მეტროს მშენებელთა კოლექტივ-საექსპლოატაციოდ გადასცა საბჭოთა ეპოქის ხალი შესანიშნავი ნაგებობა — ლენინგრადის მეტროპოლიტენი, აგებული განსაკუთრებით რთულ ეოლოგიურ პირობებში. მეტროს პირველი რიგის აწებმა დააკაფირეს ქალაქის უმნიშვნელოვანესი აიონები.

ნ ა ხ - ზ ე: პირველი მგზავრები სადგურზე აჯანყების მოედანი (ზემოთ) და სადგური „ავტოვო“ (მარჯვნივ).

მოღებულა ჟურნალიდან „სოვეტსკი სოიუზი“, № 11, 1955



ოქრობარი და მეხნიერება

ოცდათვრამეტი წელი შესრულდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღიდან, ჩვენს ქვეყანაში მემამულე-კაპიტალისტთა ბატონობის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდან. ოქტომბრის რევოლუციამ ძირეული გარდატეხა მოახდინა კაცობრიობის ისტორიაში, მან დასაწყისი მისცა ახალ ერას — კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის გამარჯვების ერას. ამ დღიდან ახალი ცხოვრების გზას დაადგა საბჭოთა ხალხი, რომელმაც კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით სოციალისტური საზოგადოება ააშენა.

ახალი დიდი გამარჯვებებით აღნიშნა დიდი ოქტომბერი საბჭოთა ხალხმა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის ფრონტზე. მეხუთე ხუთწლიანი გეგმა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის მიხედვით შესრულდა 1955 წლის 1 მაისისათვის, ესე იგი 4 წელიწადსა და 4 თვეში. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის დარგში. ეს საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის, კომუნისმისაკენ შემდგომი წინსვლისათვის ბრძოლაში.

განსაკუთრებით დიდი წარმატებანი აქვს მიძიმე მრეწველობას, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის განუხრავი გაუმჯობესებისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საფუძველია. მრეწველობის განვითარებაში მიღწეული ეს წარმატებანი იმის შედეგია, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრავლად ახორციელებენ დიდი ბეღადების — ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ანდერძს ჩვენი სახელმწიფოს ინდუსტრიული ძლიერების ყოველი ღონისძიებით განვითარებისა და განმტკიცების შესახებ.

მიძიმე ინდუსტრიის უპირატესმა განვითარებამ უზრუნველყო მრეწველობის უველა დარგის, მშენებლობისა და ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მიძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის მაღალი დონე. დღეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე ერთიორად


მეტი ტრაქტორი, კომბინი და სხვა მანქანები მუშაობენ, ვიდრე დიდი სამამულო ომის წინ. ამ მძლავრი ტექნიკის ბაზაზე წარმატებით წყდება მარცვლეულის, ტექნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ამოცანები, რაც ჩვენმა პარტიამ საბჭოთა ხალხის წინაშე დააყენა.

მნიშვნელოვანი მიღწევებით შეხვდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეათვრამეტი წლისთავს საბჭოთა მეცნიერება. დიდმა ოქტომბერმა გზა გაუხსნა ხალხის შემოქმედლების ძალებს, მეცნიერების განვითარებას; საბჭოთა მეცნიერები, რომლებიც მხოლოდ მეცნიერთა ავანგარდის არიან, წინ სწევენ მეცნიერებას, ამდიდრებენ მას ღირსშესანიშნავი აღმოჩენებით. საბჭოთა წყობილებამ მეცნიერება ჩააყენა ხალხის სამსახურში. თუ წინათ მეცნიერება მხოლოდ პრივილეგიური ფენების მონაბოლია და მათი ინტერესების მსახური იყო, ჩვენს ქვეყანაში მეცნიერება ხალხს კი არ ეთიშება, არამედ მის ინტერესებსა და მიზნებს გამოხატავს, დაუცხრომლად იბრძვის ხალხის კეთილდღეობისათვის.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მეცნიერებისა და ტექნიკის მნიშვნელოვანი მონაპოვრები გამოყენებულია ერთი იმუა მმართველთა რეაქციული ზედაფენების გამდიდრებისა და მშრომელთა დამონების მიზნებისათვის, სხვა ქვეყნის ხალხთა დაპყრობა-აწიოკებისათვის. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში და, საბჭოთა კავშირის მაგალითისამებრ, ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშია გამოყენებული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები სახალხო მეურნეობის აღმავლობის, მთელი ხალხის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

საბჭოთა მეცნიერება განუწყვეტლივ მიდის წინ და იპყრობს ახალ მწვერვალებს. საბჭოთა მეცნიერებსა და ინჟინრებს, გამომგონებლებსა და რაციონალზატორებს განუწყვეტლივ მიჰყავთ წინ მეცნიერება და ტექნიკა, ქმნიან ახალ, დიდად გაუმჯობესებულ მანქანებს, მექანიზმებს, ხელსაწყოებს, მასალებს, ელფლებიან უფრო მეტი წარმადო-

1069



ბის ტექნოლოგიურ პროცესებს. უდიდესი მიღწევები მოიპოვა საბჭოთა ქიმიურმა მეცნიერებამ, რომლებმაც უკანასკნელ ათ წელწაღმდეგ შექმნა ასობით ახალი მასალა, რომლებიც ცვლიან ლითონს, ხეს, აბრეშუმს, მატყლს და სხვა მასალებს; დიდი საბჭოთა ბიოლოგიური მეცნიერების მიღწევები, რომელიც დიდი მეცნიერის — ი. პავლოვის მატერიალისტურ მოძღვრებას ეყრდნობა; საყოველთაოდ ცნობილი ბრწყინვალე გამარჯვებები მიჩურინის უაგრობიოლოგიისა, რომელიც იძლევა ბუნების გარდაქმნის გასაღებს. მიჩურინის უაგრობიოლოგიის ზეიმს წარმოადგენს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც საბჭოთა ადამიანებს აიარაღებს მეცნიერებისა და პრაქტიკის განსაკვირვებელი შედეგებით და ნაილან გვიჩიენებს იმას, თუ რა შეუძლია ექსპლოატაციის უღლისაგან თავისუფალ შემოქმედებით აზრს, ცხოვრების სიბრძნით გამდიდრებულ მეცნიერებას.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შედეგად დიდი წარმატებებია მოპოვებული ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციაში, მძლავრ ძალად იქცა ავიაცია და რადიოტექნიკა; სულ უფრო ფართოდ ინერგება ფაბრიკა-ქარხნებში ელექტრონიკისა და ტელემექანიკის უახლესი მიღწევები, სრულყოფილი ხდება ავტომატიკა. ეს ჩვენი ტექნიკური მეცნიერების უშუალოთა შემოქმედებითი ზრდის მაჩვენებელია.

განსაკუთრებით უდიდესი მიღწევებით ხსიათდება საბჭოთა მეცნიერების მუშაობა ატომგულის ფიზიკის დარგში. ეს მიღწევები მთელმა მსოფლიომ აღიარა. „მეცნიერება და ტექნიკა, — ამბობდა თავის მოხსენებაში ან. ნ. ა. ბულგანინი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე, — ვითარდება მაღალი და ზემოდალი სიჩქარის, წნევისა და ტემპერატურის სულ უფრო მეტი დაუფლები გზით. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპის მწვერვალია ატომგულის ენერჯის მიღებისა და გამოყენების მეთოდების აღმოჩენა. ჩვენ ვდგავართ ახალი მეცნიერულ-ტექნიკური და სამრეწველო რევოლუციის წინაშე, რომელიც თავისი მნიშვნელობით დიდად სჭარბობს სამრეწველო რევოლუციებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ორთქლისა და ელექტრობის გამოჩენასთან“.

ატომური ენერჯის აღმოჩენა მთელი მსოფლიო მეცნიერების ისტორიული მონაპოვარია. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორი გამოყენება პოვა მერვე მსოფლიო ომის დროს კაბიტალისტთა ხელში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თა-

ნამედროვე ეტაპის ამ მწვერვალმა. ატომური ბომბების მსხვერპლი გახდა ასობით ათასი უდანაშაულო ადამიანი! ჩვენში, პირიქით, ატომური ენერჯის მიღებაზე მიმუშავე მეცნიერთა უპირველეს ამოცანას იმთავითვე შეადგენდა მისი სამშვიდობო მიზნებისათვის გამოყენება, ისეთი ხერხებისა და საშუალებების შემუშავება, რაც ამ უდიდეს დამანგრეველ ძალას ადამიანის სამსახურში ჩააყენებდა. საბჭოთა მეცნიერების შეუპოვარი და დაუცხრომელი ძიება ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა: ერთი წლის წინათ საბჭოთა ქვეყანაში შეიქმნა პირველი ატომური ელექტროსადგური. საბჭოთა მეცნიერებისა და ინჟინრების მიერ შექმნილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეს ატომური ელექტროსადგური კარგა ხანია იძლევა სამრეწველო დენს.

პირველი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა და მისი ექსპლოატაცია შედეგია საბჭოთა ხალხის უდიდესი წარმატებებისა მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიის შექმნაში. მეცნიერებათა აკადემიის ატომური ელექტროსადგური წარმოადგენს სსრ კავშირში ატომის ენერგეტიკის განვითარების მეცნიერულ ბაზას. მეცნიერები და მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკოსები, რომლებიც ატომის ელექტროსადგურში მუშაობენ, დღით დღე აგროვებენ გამოცდილებას ელექტროსადგურის ექსპლოატაციის დარგში, იქმნება პირობები ახალი კადრების მოსამზადებლად უფრო მძლავრი ატომური ელექტროსადგურებისათვის, რომელთა შესაქმნელად ამჟამად დაუღალავად მუშაობენ საბჭოთა მეცნიერები და ინჟინრები.

საბჭოთა ადამიანები დამსახურებულად ამაყობენ იმ დიდი და გმირული შრომის ნაყოფით, რაც ჩვენმა მეცნიერებმა და ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მუშებმა ვასწეს მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგურის აშენებისათვის, და რომელიც ყველა ღონისძიებას ხმარობენ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალების შესრულებისათვის — დააყენონ ატომური ენერჯია ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი აყვავების სამსახურში.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები საყოველთაოდ ცნობილია. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ისინი სრულად გამოიყენოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ჩააყენოთ ეს მიღწევები ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების შემდგომი ამაღლების სამსახურში. მაგრამ ეს ყოველთვის როდეს ხერხდება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივლისის პლენუმმა აღნიშნა,

რომ — „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებანი და დარ-
გობრივი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები და-
ქსაქსულად მუშაობენ, რის გამო ხშირად ხდება მა-
თი თემატიკის დუბლირება. უმაღლესი სასწავლებ-
ლების მეცნიერთა კადრების დიდ კოლექტივს ნაკ-
ლებად აბამენ ახალი ტექნიკის განვითარების
დარგის პრობლემათა დამუშავებაში“.

თავისთავად ცხადია, რომ ყოველივე ეს უარ-
ყოფითად მოქმედებს მეცნიერულ-ტექნიკური აზ-
რის განვითარებაზე. ანალოგიური ნაკლოვანებანი
შეინიშნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემი-
ის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და
დარგობრივი ინსტიტუტების მუშაობაში. საქმის
ინტერესები მოითხოვენ გადაჭრით გაუმჯობესდეს
სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების შეთან-
ხმებული მუშაობა, მოეწყოს მათი მეცნიერული
მუშაობის კოორდინაცია და სწორი დაგეგმვა.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორ-
განო გაზეთი „პრავდა“ თავის ამა წლის 10 ოქტომ-
ბრის მოწინავეში წერდა: „ზოგიერთი სამეცნიერო
დაწესებულების გეგმები უხვად შეიცავენ მეორე-
ხარისხოვან თემებს, რაც, ბუნებრივია, ასუსტებს
ყურადღებას ძირეული პრობლემებისადმი, აყო-
ნებს იმ ნაშრომთა შესრულებასა და წარმოებაში
დანერგვას, რომლებიც ყველაზე მეტ ეკონომიურ
და ტექნიკურ ეფექტს გვიქადაიან. მეცნიერული
კვლევის დაგეგმვა უნდა ეყრდნობოდეს უცხოეთის
მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების კარგად
დაყენებულ შესწავლას, სამუშაოებს, რომლებიც
ხორციელდება ჩვენი ქვეყნის სხვა სამეცნიერო
დაწესებულებებში. ამისათვის საჭიროა გამოდგე-
მით ვაუმჯობესოთ მეცნიერული და ტექნიკური
ინფორმაცია, გავაფართოოთ კავშირთა განვითარება
უცხო ქვეყნების სამეცნიერო-საკვლევ დაწესებუ-
ლებებთან და მეცნიერებთან“.

ყოველივე ზემოთქმული თანაბრად ვრცელდებ-
ა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის,
მისი დარგობრივი ინსტიტუტებისა და უმაღლესი
სასწავლებლების მუშაობაზე. ამოცანა ის არის,
რომ დროზე აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები, განუხ-
რელად ვაუმჯობესოთ ყველა სამეცნიერო დაწესე-
ბულებების მუშაობა პარტიისა და საბჭოთა მთავრო-
ბის მითითებების მიხედვით. მეცნიერთა პარტი-
ოტული მოვალეობაა — თავიანთი კეთილშობი-
ლური შრომით ხელი შეუწყონ სამამულო მეცნი-
ერებისა და ტექნიკის შემდგომ განვითარებას, ჩვე-
ნი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლი-
ერების შემდგომი განმტკიცების საქმეს.

საბჭოთა მეცნიერება მთელი თავისი შემოქმე-
დებით მუშაობით იძლევა ნიმუშს, თუ როგორ უნ-
და სამსახური ხალხთა კეთილდღეობის, მშვიდობის
საქმისადმი. ჩვენ ვამაყობთ, რომ საბჭოთა ადამი-
ანები და საბჭოთა მთავრობა იმყოფებიან მთელ
მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდ-
ში ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვი-
სათვის ბრძოლაში. საბჭოთა მეცნიერები თავიანთ
ხმებს უერთებენ მსოფლიოს ასობით მილიონ
უბრალო ადამიანთა ხმას მასობრივი მოსაზრების ია-
რალთა დაუყოვნებლივ აკრძალვისათვის, შეუპოვ-
რად იბრძვიან ატომური ენერჯის გამოსაყენებ-
ლად ადამიანთა კეთილდღეობის მიზნებისათვის.

ამ მსოფლიო-ისტორიული მიზნებით აღჭურვი-
ლი საბჭოთა მეცნიერება ახალ-ახალ სიმაღლეებს
იპყრობს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ერთ-
გულად ემსახურება დიდი ოქტომბრის სოციალის-
ტური რევოლუციით შობილი საბჭოთა სახელმწი-
ფოს ძლიერების განმტკიცების, ჩვენს ქვეყანაში
კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქ-
მეს.



(გარდაცვალების 15 წლისთავის გამო)

ბ. ღოთბათიძე

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი



ნა. კ. მახარაძის

სახელგანი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალა 65 წლის ასაკში გადამდგარი, 1940 წლის 18 ნოემბერს — უეცრად, საქაო მოხსენების კითხვისას. სიკვდილმა ტრიბუნაზე მდგარს მოუსწრო ქართული საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის დიდ მესვეურს, გასაოცარი სიმხნისა და ნებისყოფის, უფართოესი ჰორიზონტისა და ერუდიციის მქონე მკვლევარს, ახალგაზრდობის აღმზრდელს, უმწიკველო მოქალაქესა და პატრიოტს, ნამდვილად მთელი ხალხის სიყვარულითა და მოწიწებით მოსილს.

ივანე ჯავახიშვილმა თავისი ღრმამზინაარსიანი სიცოცხლის ორი მესამედი საესებით მონადრომ მეცნიერულს, პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ შეუნელებელი გოლიათური შრომა. ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა დაიწყო მან კვლევითი მუშაობა: გამოაქვეყნა ძველი ქართული მწერლობის საყურადღებო ძეგლი „სიბრძნე ბალავარისა“ და დაწერა ნაშრომი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა. უკვე მაშინ იჩინა თავი ივ. ჯავახიშვილის იმ მიდრეკილებამ, რომელიც მუდამ ახსიათებდა მას, როგორც მკვლევარს: კრიტიკული მიდგომა ისტორიული წყაროებისადმი, მათ მიმართ გულუბრყვილო-ნაციონალისტური დამოკიდებულების დაძლევა (სხვათა შორის, ამ საკითხს ეხება ერთი მისი ნარკვევი „მამულიშვილობა და მეცნიერება“, 1904 წ.) და, ამრიგად, ქართველი ერის წარსულის მეცნიერული გაშუქების ერთი მთავარი დაბრკოლების გადალახვა. ასეთმა მუდმივმა გუნმა წარმოიშვა ივ. ჯავახიშვილის დიდი ისტორიულ-ფილოლოგიური ნაშრომი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წი-

ნათ და ახლა“, რომლისა მან მხოლოდ ოთხი ტომის დაწერა მოასწრო: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, „ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“, „ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ და „ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“. ჩამოთვლილმა ტომებმა საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს ისტორიის სათანადო დამზიარე დისციპლინებსა და ამ ისტორიის მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლის საქმეს. პირველ მათგანში ავტორი სრულიად მკაფიოდ აცხადებდა, რომ აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, თითოეული ისტორიული ობიექტების ავტორის პიროვნებისა, სოციალური ვინაობისა და შესაბამისი სულისკვეთება-ზრუნვების ყოველმხრივ გამოკვლევა და ამის მიხედვით შესაბამისი ნაწარმოების მეცნიერული ღირებულებისა. კერძოდ, ივ. ჯავახიშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ცნობილი „ქართლის ცხოვრება“ წარმოადგენს სანახევროდ ოფიციალურ კრებულს, რომლის ავტორებზე გამსჭვალული არიან ცენტრალური სამეფო ხელისუფლების ინტერესებით. ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა პირველმა, რომ ძველი და მდიდარი ქართული ისტორიოგრაფია სრულიადაც არაა ერთგვაროვანი საუკუნეთა მანძილზე, არამედ, კვალდაკვალ მისდევს ქვეყნის საერთო აღმავლობასა თუ დაქვეითებას. ეს იყო ახალი, სადი და ფხიზელი პრინციპები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობაში.

ივ. ჯავახიშვილის წყაროთმცოდნეობით მუშაობას ჰქონდა კიდევ ერთი დიდი ღირსება: იგი იმ-საერთოვე დარწმუნებულს იყო, რომ არ შეიძლება საქართველოს ისტორიის შესწავლა მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიისაგან მოწყვეტით და სისტემატურადაც მუშაობდა (სათანადო ძველი ენების კარ-

გად ცოდნის მოშველიებით) სომხური, სპარსული, სირიული, ბერძნული და სხვა წყაროების კრიტიკულად შესწავლა-გამუშავებაზე. ასეთი მუშაობის შედეგი იყო, სხვათა შორის, მისი ნაშრომები: „Государственный строй древней Грузии и древней Армении“, „გლეხთა მოძრაობის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში“, „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“.

სწორედ წყაროთმცოდნეობისადმი განსაკუთრებულმა ინტერესმა და გამუდმებულმა ფაქიზმა ფილოლოგიურმა კვლევა-ძიებამ მოუპოვა ივ. ჯავახიშვილს რამდენიმე დიდად მნიშვნელოვანი აღმოჩენა. მან მიაკვლია და გამოამუშეურა მანამდე უცნობი წყაროები: „ქართლის ცხოვრების“ უძველესი (ანა დედოფლისეული) ხელნაწიერი; თამარ მეფის კიდევ ერთი ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოდერის თხზულება; ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულება; „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება; „ხანმეტური“ ტექსტები—ქართული დამწერლობის უძველესი ძეგლები.

მრავალი წლის გულმოდგინე და უპარგესად დინჯი, კეთილსინდისიერი შრომის შედეგად ივ. ჯავახიშვილი უდიდეს ისტორიულსა და ლინგვისტურ მასალას დაუფლდა და შეუდგა ქართველი ერის ისტორიის ნაბიჯ-ნაბიჯ შემუშავებას, წინასწარ დასახული ვრცელი გეგმისამებრ. ამ გეგმის ბოლომდე განხორციელება მას არ დასცალდა, მაგრამ მაინც დაგვიტოვა უდიდესი მემკვიდრეობა — რამდენიმე სერია ნამდვილად ფუძემდებელი, ათასობით გვერდების შემცველი ნაშრომებისა: „ქართველი ერის ისტორია“ (5 წიგნი), „ქართული სამართლის ისტორია“ (3 წიგნი), „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (2 წიგნი), „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“ (2 წიგნი), „მასალები ქართველი ერის მეტრიალური კულტურის ისტორიისათვის“ (1 წიგნი). საერთოდ კი ივ. ჯავახიშვილის ნაბეჭდი ნაშრომების რიცხვი ასი აღწევს.

ივანე ჯავახიშვილმა შექმნა ახალი, მაღალი ეტაპი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ ინტერესთა და მომზადების დიდ მრავალმხრივობას მოწმობს მისი ისეთი ნაშრომები, როგორცაა, მაგ., „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში XI—XIII ს. ს.“, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, „ბალნეოლოგიური და იმნოლოგიური მკურნალობა საქართველოში“, ქართული შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალებს შეგროვების

პროგრამა, „შენიშვნები საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური გამოგნის პროგრამის შესახებ“ და სხვა.

საკვებით კანონზომიერი იყო, რომ ივ. ჯავახიშვილის ყურადღების არეში მოექცა საქართველოს არქეოლოგიაც. 1930-იანი წლებიდან ჩვენში ისე ფართოდ გაიშალა არქეოლოგიური გათხრითი კვლევა-ძიება, რომ უკვე აუცილებელი შეიქნა ივ. ჯავახიშვილის უშუალოდ ჩაბმა ამ საქმეში და, მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქოს არ იყო ამ თავისებური დარგის სპეციალისტი, მისი ხელმძღვანელობა აქცე ფრიალ ნაყოფიერი და ღრმა კვალის გამვლები გამოიღა—მისი ფართო განათლებისა და დიდი გამოცდილების, მუშაობის მეთოდური დახვეწილობის წყალობით. მეორე მხრივ, თბრის შედეგებმა საგრანბოლად გაამდიდრა სათანადო ისტორიული განზოგადებანი და ზოგიერთი არსებითი დებულების ძირეულად გადასინჯვის სტიმული მისცა ივ. ჯავახიშვილს.

1936 წელს დაიწყო სამზადისი „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილესათვის. შეიქმნა საიუბილეო კომიტეტი (ივ. ჯავახიშვილის მონაწილეობით) და „მ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი“ (მისი ხელმძღვანელობით); მოეწყო დიდი ისტორიულ-არქეოლოგიური გამოგნა (მისი ხელმძღვანელობითა და აქტიური მონაწილეობით). ჩატარდა ნაყოფიერი არქეოლოგიური თხრა დმანისში, ბოლნისში, სხალტა-შიომღვიმეში, გეგუთში, გუდარეხში (მისი საერთო ხელმძღვანელობით). ამ უკანასკნელმა ღონისძიებამ საფუძველი ჩაუყარა ქართული არქეოლოგიის მანამდე არარსებულ უბანს—ფეოდალური ხანის არქეოლოგიას (რომელიც სადღესოდ უკვე დაწინაურებული და წარმატებულია) და სათანადო კადრების გამოზრდის საქმეს. 1938 წელს შეიქმნა მცხეთის დიდი სტაციონარული ექსპედიცია, რომელსაც სიკვილიამდე მეთაურობდა ივ. ჯავახიშვილი. მასვე ეკუთვნის პირველი ინტერპრეტაცია ექსპედიციის მიერ სამთავროსა და, ნაწილობრივ, არმაზისევეში გამოვლენილი მრავალი პირველხარისხოვანი არქეოლოგიური ძეგლისა (საგაზეთო წერილებსა და დიდ საანგარიშო მოხსენებებში).

ივ. ჯავახიშვილის საზოგადოებრივი შეხედულებანი ყალბდებოდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენით და მთელი მისი მოღვაწეობა ოქტომბრის რევოლუციამდე ამის შესაბამისად იყო გაიზნული. იგი ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველთმცოდნეობის კერაში იბრძოდა ქართული მეცნიერების შესაქმნელად, არ მიიჩნევდა საქმარისად რუსული მეცნიერების მიღწევას საქართველოს შესწავლის

საქმეში. იმათათვის ენთუზიაზმით მოკიდა მან ზელი მეცნიერული ნების (კერძოდ, სამშობლოს ისტორიის) გავრცელებას ქართველობაში, დღენაზე წერდა თავის ნაშრომთა უმეტესობას, ყოველთვის ცოცხლად და გაბედულად ეხმარებოდა მთელ რუსეთში აზვირთებულ რევოლუციურ მოძრაობას და უდიდესი ოპტიმიზმით შეჰყურებდა უკეთეს მერმისს, რომელსაც მისი სამშობლოსთვისაც უნდა მოეტანა დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება. ამგვარი მოღვაწეობის დავერგვინება იყო ქართული უნივერსიტეტის დაარსება, რის მთავარ ენიციკლოპედია და ორგანიზატორად სწორედ ივანე ჯავახიშვილი გამოვიდა.

1919 წლიდან 1926 წლამდე ივ. ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია და მხნედ იღვწის მისი გაფართოება-გაძლიერებისათვის; წლების მანძილზე უძღვება ჰუმანიტარულ ფაკულტეტსა და საქართველოს ისტორიის კათედრას, კითხულობს ლექციებს, რომლებიც მუდამ ურცხვ სმენილებს (მათ შორის ბევრ არასპეციალისტსაც) იზიდავს; დიდი სიყვარულით ამზადებს ახალგაზრდა მკვლევარებს (მისი მოწაფეები არიან ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ა. ჩიქობავა, ვ. თიფურია და სხვ.). ამასთანავე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ივანე მჭიდროდ არეობს საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას, წევრია რამდენიმე სხვა სამეცნიერო საზოგადოებისა; მრავალი წლის მანძილზე იღვწის დაძაბულად და ფრიად ნაყოფიერად ქართული კულტურის ძეგლთა დაცვისათვის, ქართული ხელოვნების დროებით გამოფენათა და შემდეგ მუზეუმის მოსაწყობად, ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების გასაცხველებლად; აქტიურად მონაწილეობს ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის, ენისა და მართლწერის ნორმათა დადგენა-უნიფიკაციის საქმეში. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი ძალზე დიდ მუშაობას ეწევა, როგორც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სწავ-


ლული კონსულტანტი, ასპირანტების ხელმძღვანელი.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა და საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასეს მცოდნის, მეცნიერის უდიდესი ღვაწლი და ამავე სამშობლოს წინაშე. 1938 წელს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 წლისთავთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილი, როგორც ამ უნივერსიტეტის ერთი შემქმნელთაგანი და პირველ პროფესორთაგანი, დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით. იმავე წელს იგი აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო საბჭომ — პრეზიდენტის წევრად. 1939 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ ივ. ჯავახიშვილი აირჩია თავის ნამდვილ წევრად, როგორც საქართველო-კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საუკეთესო მკვლევ, რომლის სათანადო ღვაწლი და ავტორიტეტი საყოველთაოდ იყო აღიარებული.

აღსანიშნავია, რომ იმ ხანებში ივ. ჯავახიშვილმა მისდამი მიძღვნილ ერთ-ერთ სხდომაზე შემდეგი განაცხადა: მთელ ჩემ ნამუშევდარს ისე ვუყურებ, როგორც იმ კაცის მუშაობას, რომელმაც ტყე გააკაფა, ახო გასტეხა და რომელსაც ახლა სხვა მუშაკები უნდა მოჰყენენ და გულდაგულ გადახანან და დასთესონ ახლი. ეს მის, საყოველთაოდ ცნობილ თავდაბლობასაც საუკეთესოდ ახასიათებს და მომავალი, კიდევ უფრო ღრმა კვლევა-ძიებისადმი მოწოდებასაც წარმოადგენდა.

ივანე ჯავახიშვილი ეკუთვნოდა ჩვენი კულტურის იმ მოღვაწეთა წყებას, რომელთა სახელი არასოდეს ამოიწლება მშრომელი ხალხის მეხსიერებიდან. მისი საყვარელი თქმა იყო: „არაფერი არ ამშვენებს აღამიანს ისე, როგორც შრომაო“. რაც დრო გადის, მით უფრო აშკარა ხდება, თუ რა უზარმაზარი, ერთი კაცის კვალობაზე ნამდვილად გასაოცარი მასშტაბის შრომა აქვს მას გაწეული, რამოდენა ღვაწლი მიუძღვის მას და რა პატივისცემითაა იგი მოსაგონარი მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეების, მისი საქმის გამგრძელებლებისა და საერთოდ მთელი საბჭოთა საზოგადოების მხრივ.





ა. გომეკაძე

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივებისა და აგრეთვე სოფლის მეურნეობის შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბუნეუმების ისტორიული გადაწყვეტილებების შესაბამისად, ჩვენს დიად სამშობლოში ხორციელდება გიგანტური სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სამოქალაქო, საგზაო და სხვა სახის სამშენებლო სამუშაოები. მასთან სამშენებლო სამუშაოების მოცულობა ყოველწლიურად იზრდება. თუ 1953 წელს მშენებლობებზე კაპიტალური დაბანდება 104 პროცენტს შეადგენდა 1952 წელთან შედარებით, 1954 წელს მშენებლობაზე კაპიტალური დაბანდება 1953 წელთან შედარებით შეადგენდა 115 პროცენტს, ხოლო კაპიტალური დაბანდების ზრდა მართო საბინაო მშენებლობაზე 1954 წელს შეადგენდა 19 პროცენტს 1953 წელთან შედარებით. 1954 წელს აშენებულ იქნა საცხოვრებელი ბინები 40 მილიონამდე კვადრატული მეტრის საერთო ფართობით, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმდინარე წლის გეგმით, რომელიც მიღებულ იქნა სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე მოწვევის II სესიის მიერ, გათვალისწინებულია მშენებლობებზე კაპიტალური დაბანდებათა კიდევ უფრო მეტი ზრდა.

როგორც ვასული ულის ზოლის მოსკოვში ჩატარებულ მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირის მიერ მიღებულ მიმართვაშია აღნიშნული, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სამშენებლო გეგმის დროულად შესრულების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს მშენებლობის ვადების შემცირება, მშენებლობათა და ნაგებობათა დროზე გადაცემა საექსპლუატაციოდ, მშენებლობის ღირებულების შემცირება და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება. ამ მიზნით პარტია და ხელისუფლება მოგვიწოდებს, რომ მშენებლობა განხორციელებულ იქნეს მოწინავე სამშენებლო ტექნიკის საფუძვლებზე, რისთვისაც მშენებლობაზე ფართოდ უნდა იქნეს დანერგული მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები, გამსხვი-

ლებული სამშენებლო ელემენტების — ბანელებისა და ბლოკების ფართოდ გამოყენებით. ამასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა ადგილობრივ სამშენებლო მასალებს, რომელთაგან განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია ავტოკლავური მასალები, მათ ხშირად სილიკატურ მასალებსაც უწოდებენ და ლებულობენ ისეთ ფართოდ გავრცელებულ და იაფფასიან ნედლეულსაგან, როგორც არის ქვიშა და კირი. ამ ნედლეულის ფართოდ გავრცელებისა და საბადოების ხელმისაწვდომობის გამო, ავტოკლავური მასალები შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ადგილობრივი სამშენებლო მასალები.


როგორც ცნობილია, ავტოკლავური მასალებისაგან ფართოდ არის გავრცელებული სილიკატური (ქვიშა-კირის) აგურის წარმოება.

სილიკატური აგური, სამშენებლო მასალების შედარებით ახალ სახეობას წარმოადგენს, მაგრამ თავისი მაღალი ტექნიკური და ეკონომიური მაჩვენებლების გამო სილიკატური აგურის წარმოებამ, მოკლე დროის განმავლობაში (50-55 წლები), თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ძირითადად სახეობის სამშენებლო მასალების წარმოებაში.

რუსეთი ერთ-ერთი პირველთაგანი შეუდგა სილიკატური აგურის წარმოებას. მაგრამ სილიკატური აგურის წარმოებამ ჩვენში ფართო გასაქანი მიიღო მხოლოდ დიდი ოქტომბრის სრცავლისტური რევოლუციის შემდეგ. ამჟამად სილიკატური აგურის ქარხნები ჩვენში ყოველწლიურად უშვებენ 2 მილიარდზე მეტ ცალ აგურს. სილიკატური აგურის წარმოების მხრივ საბჭოთა კავშირის პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში.

სილიკატური აგური თავისი ხარისხით და ტექნიკური თვისებებით თითქმის არ ჩამორჩება თიხის (გამომწვარ) აგურს, ხოლო ეკონომიური თვალსაზრისით კი თიხის აგურთან შედარებით გაცილებით უფრო ხელსაყრელია. სილიკატური აგურის წარმოებაში საწვავის, ელექტროენერჯის და მუშახელის დაახლოებით ორჯერ უფრო ნაკლები რაოდენობაა საჭირო, ვიდრე თიხის აგურის წარმოებისათვის. სილიკატური აგურის წარმოების მთელი ციკლი გრძელდება 15-16 საათის განმავლობაში, მაშინ როდესაც თიხის აგურის დამზადება გრძელდება 4-10 დღის მანძილზე. გარდა ამისა, ხარჯები სილიკატური აგურის ქარხნების მშენებლობაზე გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე თიხის აგურის ქარხნების მშენებლობაზე. ყოველივე აღნიშნული გამო სილიკატური აგურის ღირებულება 30-35 პროცენტით უფრო დაბალია, ვიდრე თიხის აგურისა.

სილიკატური აგურის მაღალი ტექნიკური და



ნახ. 1. შენობის გარეთა კედლის მოსაპირკეთებელი დეკორატიული-ფედაპირიანი ფილა ავტოკლავური ბეტონისაგან.


ეკონომიური მაჩვენებლები იმის საფუძველია, რომ სილიკატური აგურის წარმოებიდან ჩვენი მშენებლები გადასულიყვნენ უფრო ეფექტური და რაციონალური სამშენებლო მასალების წარმოებაზე, ვინც სილიკატური აგურია. ასეთ მასალებს წარმოადგენენ გამსხვილებული სამშენებლო ელემენტები ავტოკლავური ბეტონისაგან ანუ დამუშავებული, ძირითადად უცემენტო სილიკატური მასისაგან.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირში ჩატარებული მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და აგრეთვე ნახევრად საწარმოო და საწარმოო პრაქტიკის საფუძველზე დადგენილია, რომ სილიკატური მასის ავტოკლავებში დამუშავების შედეგად, შეიძლება მიღებულ იქნეს გამსხვილებული სამშენებლო ელემენტების ფრიად ფართო სახეობანი, სხვადასხვა არქიტექტურული ელემენტები, მილები, ფუნდამენტისა და კედლის ბლოკები, გადახურვის ფილები და სხვ. ამასთან ეს ელემენტები შეიძლება იყოს როგორც არმირებული, ისე არარმირებული. ზოგი ასეთი ელემენტები ჩაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ სურათებზე (ნახ. 1-5). აღსანიშნავია, რომ მაღალი სიმტკიცისა და სიმკვრივის ავტოკლავური მასალები კირზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს წყლან, მაგრამ არა აგრესიულ გარემოში. აგრესიულ გარემოში (სხვადასხვა მარილოვან წყლებში) ასეთი მასალების გამოყენების საკითხი ჯერ კიდევ შესწავლის პერიოდშია.

ჩვეულებრივ, ავტოკლავებში დამუშავებულ და უკვე გამაგრებულ სილიკატურ მასას—ავტოკლავური ბეტონებს, ხშირად სილიკატურ ბეტონებსაც უწოდებენ და ისინი შეიძლება იყოს სხვადასხვა მოცულობითი წონისა და სიმტკიცის, დაყვებული მსუბუ-


ქი და ფოროვანი ბეტონებისაგან (ქაფბეტონი) 600-700 კგ/მ³ მოცულობითი წონით და 25—35 კგ/სმ² წინააღობით კუმშვაზე და დამთავრებული კანსაკუთრებით მკვრივი და მძიმე წონის ბეტონებით, რომელთა მოცულობითი წონა შეიძლება აღწევდეს 2200 კგ/მ³, ხოლო წინააღობა კუმშვაზე — 1000 კგ/სმ². აღსანიშნავია, რომ ასეთი ფართო ნომენკლატურული მასალების მიღება ძირითადად შეიძლება ერთი და იგივე გამოსავალი ნედლეულისაგან, რისთვისაც საკმარისია წარმოების ტექნიკურ პროცესში შეტანილ იქნეს უკვე გარკვეული და დადგენილი ცვლილებანი (სილიკატურ მასაში სხვადასხვა აქტიური კაჟბადოვანი დანამატების შეტანა, ქვიშის მთლიანი ან ნაწილობრივი დფქვა, სხვადასხვა სახეობის კირის გამოყენება, შემკვრივების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება, ნარევი ქაღის შეტანა და ა. შ.).

ავტოკლავური ბეტონები წარმოადგენს ჩვეულებრივ „კლასიკური“ ბეტონების ერთ-ერთ ნაირსახეობას. თუ ჩვეულებრივ ბეტონში შემკვრულად გამოყენებულია ცემენტი (ხშირად ჰიდრაულიკური დანამატებით), შემავსებად კი — ბუნებრივი ან ხელოვნური ქვიშისა და ხრეშის (ან ლორღის) ნარევი, ავტოკლავურ ბეტონებში შემკვრელებად ითვლება



ნახ. 2. შენობის გარეთა კედლების მოპირკეთება ფილებით ავტოკლავური ბეტონისაგან

როგორც კირი (ან ცემენტი და ან კირცემენტის ნარევი). ისე ქვიშის და ან სხვა წვრილმარცვლოვან კომპონენტთა დისპერგირებული კაგბადოვანი ნაწილი, რომელიც რეაქციაში შედის კირის აქტიურ ნაწილთან. საჭირო სიმტკიცის ჩვეულებრივ ბეტონს ლებულობენ ან დროთა ვითარებაში ჰაერზე დაყოფნებით (ჩვეულებრივ ვადაში 1 თვემდე) ან დაორთქლვით (უმთავრესად წნევის გარეშე), ავტოკლავურ ბეტონებს კი საჭირო სიმტკიცე მიენიჭება მხოლოდ და მხოლოდ თერმული დამუშავების შედეგად, წნევის ქვეშ, ავტოკლავებში. ავტოკლავური დამუშავება კი იმაში მდგომარეობს, რომ სილიკატური მასის (კირისა და ქვიშის, ან ცემენტისა და ქვიშის და ა. შ.) დაყალიბებული ელემენტი თავსდება ორთქლიან გარემოში მ—15 ატმოსფერომდე წნევის ქვეშ (რაც შეეფარდება ტემპერატურის 175—200°) 6—10 საათის განმავლობაში. ასეთ პირობებში მასის შემადგენლობაში (კირი-ქვიშა) მიმდინარეობს ქიმიური რეაქცია, რის შედეგადაც მასა იკვრება და მტკიცდება.



ნახ. 3. ტანცარიელი ბლოკები ფუნდამენტისა და კედლის წუვობისათვის ავტოკლავური ბეტონისაგან

ამრიგად, ავტოკლავური ბეტონების წარმოების პროცესი, ისევე როგორც ჩვეულებრივი ბეტონებისა (ცემენტზე), მდგომარეობს ნარევის (კირი-ქვიშა) მომზადებაში, მისთვის ყალიბებში ფორმის მიცემაში და საჭირო სიმტკიცის მიენიჭებაში.

ავტოკლავური ბეტონებისაგან გამსხვილებული არმირებული ელემენტების წარმოება პირველად ორგანიზებულ იქნა ქ. ყაზანის სილიკატური აგურის ქარხანაში 1945 წელს. მის შემდეგ ქარხანა სისტემატურად უშვებს სხვადასხვა სახის არმირებულ კოჭებს, სართულშუა გადახურვისა და სახურავის ფილებს, არქიტექტურულ ელემენტებს და სხვ. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ პირველ წლებში წარმოების მცირე მასშტაბის მიუხედავად (1000 კუბური მეტრი ბეტონი წელიწადში) არმირებული ელემენტების ღირებულება 25 პროცენტით ნაკლები იყო, ვინემ იმავე სახის ელემენტების ჩვეულებრივი ბეტონებისაგან (ცემენტზე).

შემდგომში ავტოკლავური ბეტონებისაგან გამსხვილებული ელემენტების წარმოებას ხელი მიეცეს ქ. მოსკოვში კრასნაია პრესნის სილიკატური აგურის ქარხანაში, ლენინგრადში, ნოვოსიბირსკში. 1952 წლიდან ესტონეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ტალინში სილიკატური აგურის ქარხანა „კვარცი“ მშენებლობისათვის სისტემატურად უშვებს სხვადასხვა სახის ელემენტებს: კოჭებს, ფილებს, ბლოკებს, სხვადასხვა მილებს, არქიტექტურულ ელემენტებს და სხვ. პროდუქცია ფართო მასშტაბით გამოიყენე-


ბა რესპუბლიკის მშენებლობებზე და მომხმარებელთა მაღალი შეფასებით სარგებლობს.

ავტოკლავური მასალების ძირითად გამოსავალ ნედლეულს წარმოადგენს ქვიშა, რომლის ხარჯი ავტოკლავური ბეტონების წარმოებაში დაახლოებით 90 %-ს შეადგენს.

უკანასკნელ დრომდე, საერთოდ ავტოკლავური მასალების წარმოებისათვის გამოიყენებოდა საშუალო მარცვლოვანი და სხვადასხვა გრანულომეტრიული შემადგენლობის სუფთა კაჟოვანი ქვიშები. კაცი შემაღვენილობა ქვიშაში არ უნდა ყოფილიყო 90 %-ზე ნაკლები. ქვიშაში დასაშვები იყო თანაბარზომიერად დანაწილებული თიხის ნაწილაკები არა უმეტეს 8 %-ისა. ავტოკლავური მასალების წარმოებაში დიდხანს იცავდნენ გერმანელი ინჟინრის მიხაელისის თეორიას, რომლის მიხედვით ქვიშა, თიხის საგრძნობი შემადგენლობით, ავტოკლავური მასალების წარმოებაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული.

ავტოკლავური ბეტონების წარმოებისათვის ქვიშისადმი ასეთი მაღალი მოთხოვნილება დღეისათვის უკვე უარყოფლია.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირში ჩატარებული გამოკვლევებითა და აგრეთვე საწარმოო პრაქტიკით დადგენილია, რომ ავტოკლავური ბეტონების წარმოებისათვის სუფთა, კაჟოვანი ქვიშებთან ერთად, წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ქვიშა-თიხა საგრძნობი შემადგენლობით, ისე პლასტიკური და ნახევრად პლასტიკური თიხები, წვრილმარცვლოვანი და მტერისმაგვარი ქვიშე-



ნახ. 4. კედლისა და გადახურვის ფილები ავტოკლაჟური ბეტონისაგან

ბი, აგრეთვე მეტალურგიული წარმოების ნაშთები წილა და ნაცარი.

ავტოკლაჟური მასალების მეორე გამოსავალ ნედლეულს წარმოადგენს კირი ან ცემენტი და ან კიდევ მათი ნარევი. მათი ხარჯი ავტოკლაჟური მასალების წარმოებაში სათანადო ტექნოლოგიური პრინციპების დაცვით შეიძლება არ აღემატებოდეს 10, იშვიათად 15 პროცენტს.

კირი თავდაპირველად გამოიყენებოდა მხოლოდ სილაკატური აგურის წარმოებისათვის. ხოლო სილაკატური მასისაგან მაღალი სამშენებლო თვისებების მქონე გამსხვილებული სამშენებლო ელემენტების წარმოებისათვის, საჭირო ხდებოდა ქვიშა-კირის ნარევი ცემენტის შეყვანა ან კირის მთლიანად ცემენტით შეცვლა, ვინაიდან გამსხვილებული სამშენებლო ელემენტები ავტოკლაჟური ბეტონისაგან, მხოლოდ კირზე მიუხედავად თავისი მაღალი წინააღობისა კუმშვაზე (400 კგ/სმ²) სხვა სამშენებლო თვისებების მხრივ (წყალწოვადობა, ყინვამდგრადობა და ა. შ.) გაცილებით ჩამორჩებოდა ჩვეულებრივ ბეტონებს ცემენტზე.

ამჟამად სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის სამშენებლო ტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების შედეგად დადგენილია, რომ სილაკატური მასისაგან მარტო კირზე (ქვიშა-კირის ნარევი) შეიძლება მიღებულ იქნეს ავტოკლაჟური ბეტონები, რომლებიც თავიანთი ძირითადი სამშენებლო თვისებებით არ ჩამორჩება ჩვეულებრივ ბეტონებს (ცემენტზე). მასთან ავტოკლაჟური ბეტონები (კირზე) შეიძლება განსაკუთრებული სიმტკიცის ფოს (წინააღობა კუმშვაზე — 1000 კგ/სმ²).


კირზე მაღალი სამშენებლო თვისების მქონე ავტოკლაჟური ბეტონების მიღება დაფუძნებულია მათ წარმოებაში დაფუძნებული ჩაუმქრალი კირის გამოყენებაზე. საერთოდ ავტოკლაჟური მასალების წარმოე-

ბაში მასალის ყალიბებისას (ფორმის მიცემა) კირი უკვე ჩაუმქრალი უნდა ყოფილიყო. ახალი ტექნოლოგიის მიხედვით კი კირი მასალის ყალიბებისას მომენტალურ ტვირთს ჩაუმქრალი არ არის. მისი ჩაქრობა ხდება უკვე დაყალიბებულ მასალაში, სადაც კირის ჩაქრობასთან ერთად მიმდინარეობს მისი შეკვრა და გამაგრება. ამ წესით დამზადებული ნედლეული დაყალიბების შემდეგ დაახლოებით 1 საათის განმავლობაში, ჯერ კიდევ მისი ავტოკლაჟური დაუმუშავებამდე იკრებს 20—30 კგ/სმ²-ზე მეტ სიმტკიცეს, ნედლეულის ასეთი სიმტკიცე კი იძლევა საშუალებას მსხვილ განზომილებიანი ელემენტები, დაყალიბებული ცენტრიფუგირებითი, ვიბრირებითი და ჩამოსხმის მეთოდითაც კი მთლიანად ან ნაწილობრივ განყალიბებულ იქნეს ავტოკლაჟურში შეზიდვამდე. ეს რა თქმა უნდა ხელსაყრელია ფორმების ბრუნვადობისა და ავტოკლაჟის გამოყენების კოეფიციენტის ზრდის თვალსაზრისით და შედეგად პროდუქციის თვითღირებულების შემდგომ შემცირების მიზნით. ავტოკლაჟური ბეტონების წარმოების ასეთი მეთოდი დამყარებულია სტალნური პრემიის ლაურეატის ი. ვ. სმირონოვის მიერ აღმოჩენილ ჩაუმქრალი კირის მშენებლობაში გამოყენების პრინციპებზე.

დაფუძნული ჩაუმქრალი კირის გამოყენება საშუალებას გვაძლევს ავტოკლაჟური ბეტონების წარმოებიდან განვდევნოთ შედარებით უფრო დეფიციტური მასალა — ცემენტი ისე, რომ მივაღწიოთ მასალის თვისებების საგრძნობ გაუმჯობესებას. აღსანიშნავია, რომ დაფუძნული ჩაუმქრალი კირის გამოყენება ავტოკლაჟური ბეტონების წარმოებაში გამართლებულია აგრეთვე იმ მხრივაც, რომ საგრძნობლად მარტივდება წარმოების ტექნოლოგიური სქემა. ეს აიხსნება მით, რომ წარმოებიდან გამოირიცხება კირის ჩაქრობის აუცილებლობა, რაც ავტოკლაჟური ბეტონების ღირებულების შემცირების ფართო პერსპექტივას იძლევა.

საერთოდ ავტოკლაჟური ბეტონების ძირითად დამახასიათებელ თვისებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:

1. ისინი არ საჭიროებენ ისეთ დეფიციტურ მასალას, როგორც არის ცემენტი.
2. ავტოკლაჟური ბეტონების წარმოებისათვის გამოიხატება ნედლეულს წარმოადგენს ფართოდ გავრცელებული და ხელმისაწვდომი მასალა, როგორცაა კირი და ქვიშა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ავტოკლაჟური ბეტონების წარმოება ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რაიონში მოეწყოს.
3. ავტოკლაჟური ბეტონები წარმოადგენს შედა-



ნახ. 5. მიღები ავტოკლავური ბეტონისაგან

რებით იაფფასიან სამშენებლო მასალას. მათი ღირებულება დაახლოებით 25—35 პროცენტით უფრო დაბალია, ვინემ ჩვეულებრივი ბეტონებისა და რკინაბეტონებისა (ცემენტზე). ეს ნაწილობრივ იმიტაცაიხსნება, რომ, თუ 1 კუბური მეტრი მაღალი მარკის ჩვეულებრივი ბეტონის მისაღებად საჭიროა 300 — 400 კგ ცემენტი, იმავე მარკის ავტოკლავური ბეტონის მიღება კირსა და ქვიშაზე შეიძლება ისე, რომ კირის ხარჯი არ აღემატებოდეს 200—250 კგ-ს 1 კუბურ მეტრ ბეტონზე.

4. მაღალი მარკის ავტოკლავური ბეტონის მოცულობითი წონა დაახლოებით 20 პროცენტით უფრო დაბალია, ვინემ იმავე მარკის ჩვეულებრივი ბეტონებისა ცემენტზე.


5. ავტოკლავური ბეტონების წვრილმარცვლოვანი წყობის გამო საშუალება გვეძლევა მათგან დამზადებულ იქნეს საგრძნობლად თხეკეკელიანი სამშენებლო ელემენტები, როგორცა სტრუქტურული ფილები სისქით 3—5 სანტიმეტრამდე, კრამიტი — სისქით 1,5—2,0 სმ. და სხვ. ამასთან ავტოკლავური ბეტონი მათი ყალიბების შემდეგ შეიძლება არ საჭიროებდეს არავითარ მოპირკეთებას, ხო-

ლო საჭირო მხატვრული ზედაპირიანობა შეიძლება მათ მიეცეს ყალიბების დროს.

6. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ჩვეულებრივ ცემენტის ბეტონების საქარხნო წარმოებისას დაორთქვლის შემდეგ პროდუქცია საპროექტო სიმტკიცის მხოლოდ 70 პროცენტს იძენს (28 დღის ხნოვანებასთან შედარებით), ავტოკლავური ბეტონები მთლიანი საწარმოო პროცესის შემდეგ ხასიათდება სრული საპროექტო სიმტკიცით, მიუხედავად იმისა, რომ მათი წინააღობა, ჩვეულებრივ ბეტონების ანალოგიურად, დროთა განმავლობაში შეიძლება მატულობდეს.

თავისი მაღალი მაჩვენებლების გამო ავტოკლავური ბეტონებისაგან გამსხვილებული სამშენებლო ელემენტების წარმოება ჩვენში ფართო გასაქანს ღებულობს. სტალინგრადის, ბეჟიცკის, მიტიშის, ჩაპაევსკის, კალინინის და სხვა სილიკატური აგურის ქარხნებში შენდება ავტოკლავური ბეტონების გამსხვილებული ელემენტების საწარმოო საამქროები. შენდება აგრეთვე ავტოკლავური მასალების მძლავრი ქარხნები ჩელიაბინსკის, ველიკოოლუცკის, ორიოლის, ვლადიმირისა და რიაზანის ოლქებში, მოსკოვის რაიონებში, ქალაქებში მაგნიტოგორსკში, კალუგაში, ულიანოვსკში, იოკშირ-ოლაში და სხვ. ავტოკლავური მასალების ორი დიდი ქარხნის მშენებლობა გათვალისწინებულია ჩვენს რესპუბლიკაშიაც: ერთი ქუთაისის რაიონში სოფ. აჯამეთში და მეორე თბილისის მახლობლად აგვალაში. აჯამეთის ქარხანამ ახლო მომავალში რესპუბლიკას უნდა მისცეს პირველი პროდუქცია.

ავტოკლავური მასალების წარმოების შემდგომი განვითარება მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ჩვენს დიად სამშობლოში მიმდინარე გრანდიოზული სამშენებლო გეგმის შესრულების საქმეში და უზაუსუხებს პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს მშენებლობის შემდგომი ინდუსტრალიზაციის შესახებ.



მწიგნობაში მოწინავე ტექნიკის კლასი

ტექნოლოგიის დანერგვისათვის

ბ. ჩხიძე

სკკ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენებასა და პლენუმის დადგენილებაში მრეწველობაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის მდგომარეობის შესახებ, ხაზგასმით არის აღნიშნული საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ლაბორატორიების, საკონსტრუქტორო ბიუროებისა და უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო-დაგოვითი კოლექტივების ის საპატიო და უდიდესი როლი, რაც მათ უნდა შეასრულონ ჩვენი ქვეყნის მრეწველობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის საქმეში, მათი აქტიური მონაწილეობის შესახებ წარმოებაში მოწინავე ტექნიკისა და ახალი ტექნოლოგიის დანერგვაში.

საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა მრავალრიცხოვან კოლექტივს, შეგნებულთა აქვს რა თავისი პატრიოტიკური მოვალეობა ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების საქმეში, თავისი გარკვეული წვლილი შეაქვს წარმოებაში მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვაში.

ელექტროტიმიურ წარმოებათა ტექნოლოგიის კათედრა, რომელსაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი რ. აგლაძე ხელმძღვანელობს, თავისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საფუძვლად წარმოების ყველაზე აქტუალურ საკითხებს აქცევს ყურადღებას. კათედრაზე შემუშავებული სუფთა ელექტროლიზური მანგანუმის მილებს ტექნოლოგია დაინერგა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში. კათედრის წევრები ნ. გომეზანი, ახობაძე და სხვ. ხშირად არიან ქარხანაში, სადაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ წარმოების ახალი ტექნოლოგიური პროცესის დანერგვასა და ათვისებაში.

სამწიგნობლო წარმოების კათედრის თანამშრომელმა დ. ვაჩნაძემ შეიმუშავა გადასატანი ასაწყობი უნივერსალური ყალიბის ახალი კონსტრუქცია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მონოლითური კედლების, ისე რკინაბეტონის სამწიგნობლო ელემენტების — ფილების, კოჭების,

ბლოკების და სხვ. დამზადების დროს. ეს ყალიბი „საქწყალმშენის“ სამწიგნობლო ობიექტებზე წინასწარი გამოცდის შემდეგ წარმატებით იქნა დანერგული წყალტუბოს ერთ-ერთი სანატორიუმის მშენებლობაზე. უნივერსალური ყალიბის 5-6 თვის ექსპლუატაციის შედეგები საესებით ადასტურებენ მის უპირატესობას როგორც ხეცის ეკონომიის, ისე მშენებლობის პროცესის დაჩქარების მხრივ.

დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის განყოფილებას ინსტიტუტის ავტომობილების ტრაქტორებისა და ავტოსატრაქტორო ძრავების კათედრის წევრები. მათ შემუშავეს თვითმცვლელი ავტომანქანის პლატფორმის ამწევი ჩარჩოს ელემენტების ძაბვების ელექტროტენზომეტრიების წესი. ამჟამად კათედრა მანქანის მბრუნავ ნაწილებში ძაბვების გაზომის ხელსაწყოს შექმნავე მუშაობს. ავტომანქანის ნაწილებში ძაბვების გაზომვას ექსპლუატაციის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონსტრუქციების პრაქტიკაში, ავტომანქანის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი წონის შემცირებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კათედრაზე შემუშავებულ იქნა ავტომანქანების საგზაო პირობებში გამოსაცდელი ხელსაწყო — „რევიზორაფის“ ორიგინალური კონსტრუქცია, რომელიც ვ. მ. მოლოტოვის სახელობის გორკის საავტომობილო ქარხანაში მიიღო დასანერგად.

ფრად საყურადღებოა მუშაობა სამთო ელექტროტექნიკის კათედრისა, რომელსაც პროფესორი კ. ბარამიძე ხელმძღვანელობს. კათედრა მუშაობს საშხატო ამწევი მანქანის მართვის ავტომატიზაციაზე, რაც ცენტრიდანული სამუხრუჭო სისტემით ხორციელდება. ამ მუხრუჭებით აღჭურვილი საცდელი საშხატო ამწეები ამჟამად საცდელ ექსპლუატაციაში იმყოფება დონბასისა და ტყიბულის შახტებში.

კათედრა ამჟამად პარალელურად მუშაობს ქიათურის სამგზავრო საბაგირო გზის მართვის ავტომატიზაციის საკითხზე.

ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად დოქ. ა. კაკალაშვილის გამოკვლევა, რის საფუძველზედაც მან შეიმუშავა უწყვეტი ციკლით მომუშავე ფოთლის საგრიბი მანქანა.

ჩაის ფოთლის გადამუშავებას შეეხება აგრეთვე პროფ. ბ. კანდელაკის გამოკვლევა ჩაის მზა პროდუქტის ხარისხის შემოწმების ობიექტური მეთოდების შესამუშავებლად.

ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა თანამეგობრობა მარტო ჩვენი რესპუბლიკით არ იფარგლება. პროფესორები ფ. თავაძე, კ. ქუთათელაძე, ნ. გაბაშვილი და სხვ. ხშირად ლეზულობენ წერილებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, სადაც მათ ამა თუ იმ საკითხზე რჩევა-დარიგებას თხოვენ.

ცხადია, კიდევ ბევრი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა ინსტიტუტის სხვა კათედრების ნაყოფიერი მუშაობის შესახებაც, მაგრამ გასაყეთებელი ჯერ კიდევ ბევრი რამ არის.

ინსტიტუტის მეცნიერულ-ბედაგოგიური კოლექტივის ღირსების საქმეა წარმოების მუშაკებთან შემოქმედებითი თანამეგობრობის შემდგომი დანერგვისათვის ბრძოლის გაძლიერება.

ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ კეთდება ნოვატორთა დასახმარებლად, მათი გამოცდილების შესწავლა-განზოგადებისა და მათი ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილება წარმოებაში მოწინავე ტექნიკისა და ახალი ტექნოლოგიის დანერგვის შესახებ ყოველ წარმოების ხელმძღვანელს, მუშაკს, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაკებს ავალუბს ყოველდღიურად იბრძოლონ წარმოებაში ტექნიკურ სიახლეთა დანერგვისათვის ჩვენი ქვეყნის შემდგომი მძლავრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად.

იმედია უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა კოლექტივი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის ბრძოლაში, კიდევ უფრო გააძლიერებს მუშაობას მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებასა და სამეცნიერო-კვლევითი დარგში.

ლიანგნოსტიკის ძვირფასი მეთოდი

გაზ. „მედიცინის რაბოტნიკის“ კორესპონდენტი თბილისიდან იუწყება: თბილისის პირველი ბავშვთა საავადმყოფოს რენტგენოტექნიკოსმა ლ. ვ. ხუროტქემ დაამუშავა თვალის ბადურას ფუნქციის დიაგნოსტიკის ახალი მეთოდი, დამყარებული რენტგენის სხივების ხილვადობის მოვლენაზე. მათ ფონზე ადამიანს შეხვეული თვალბინათკი შეუძლია გაარჩიოს ლითონის სხვადასხვა საგნები (ასოები, ციფრები, ბადე, ხაზები). ამგვარად, თუ ავადმყოფი თვალის ობიექტური გარემოთი შემდგრეულ თვლით ხედავს გამავალ რენტგენულ სხივებში ნაჩვენებ საგნებს, მაშინ ოპერაციის პროგნოზი დადებითი იქნება, მაგრამ, თუ ავადმყოფი ვერ ხედავს ამ საგნებს, მაშინ გეჰონია სრული დეკარგვა თვალის ბადურას ფუნქციონალური უნარისა ფორმების გარჩევისადმი, რომლის დროსაც ოპერაცია არ იძლევა ეფექტს.

დიაგნოსტიკის ახალი მეთოდი ფართოდ გამოიყენება თვალის დაავადებათა რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში და სრულიად გაამართლა თავი 126 ავადმყოფზე. იგი საშუალებას იძლევა არა მარტო ზუსტად განისაზღვროს ოპერაციული ჩარევა მხედველობის აღსადგენად, არამედ კონტროლიც გაუწიოს ოპერაციის ხარისხს.

გამომგონებლის მიერ შემუშავებული რენტგენოლიანგნოსტიკა სრულიად არ არის საშიში. რენტგენის სხივების ის დოზა, რომელსაც მის დროს იყენებენ, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე თავის ქალას ჩვეულებრივი რენტგენოგრაფიის დროს. ხელსაწყო პორტატულია, მარტივია, მოხერხებულია გამოსაყენებლად და მისი გამოყენება ადვილად შეიძლება ყოველგვარი რენტგენოთერაპიული აპარატისათვის.



საბჭოთა ხელისუფლების დამყარება სომხეთში

ს. პაკიანიანი

ინტოიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის დოცენტი

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტია ბრძენი ბელადის ვ. ი. ლენინის მეთაურობით, გასწევიდა იმპერიალიზმის ჯაჭვი რუსეთში, „...დაიწყო ახალი ერა — კაპიტალიზმის წვრთვის ერა, სოციალიზმისა და კომუნისმის გამარჯვების ერა“*, შეიქმნა რეალური შესაძლებლობა, აირველრიგებინა ქვეყნის განაპირა დამონებული ხალხებისათვის, გამოეყენებინათ რუსი მუშებისა და ულარიბების გლეხობის კლასიკური გამოცდილება, ადგილებზე დაემხოთ ექსპლოატატორთა ბატონობა და დაემყარებინათ ახალი, სოციალისტური წყობილება. ბოლშევიკების მიერ ორგანიზებული ამიერკავკასიის მშრომლები მხურვალედ მიესალმნენ სოციალისტურ რევოლუციას რუსეთში, ენერგიულად ჩაებნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

იზრდნენ რა საბჭოთა რუსეთისა და მზარდი შინაური რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა — დაშავეებმა, მენშევიკებმა და მუსავეტელებმა რუს იეთრგვარდილებთან ერთად, ანტანტის კარნახით, 1917 წლის ნოემბერში თბილისში შეითხნენ კონტრრევოლუციური ამიერკავკასიის კომისარიატი რეაქციული ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის ნაცვლად, ხოლო 1918 წლის 10 თებერვალს მათ მიერვე ორგანიზებულ იქნა ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც გამოხატავდა მზარეში ანტისაბჭოთა ძალების კონსოლიდაციის გაძლიერებას. ამავე წლის მაისის ბოლოს ყადაღებული სეიმი დაიშალა და გერმანელ-თურქ ოკუპანტთა „ლოცვა-კურთხევი“ შეიქმნა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მარიონეტული „დამოუკიდებელი“ ბურჟუაზიული რესპუბლიკები.

არ უწევდნენ რა ანგარიშს სომხეთის მშრომელი მასების ბუნებრივ სწრაფვას საბჭოთა რუსეთისადმი, დაშავეებმა საქართველს შექმნეს ანტინალხური მთავრობა, დამცველი ექსპლოატატორული კლასების ინტერესებისა, და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად გააფთრებული ბრძოლა დაიწყო ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და ქვეყ-

ნის შიგნით არსებული რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. ქვეყანა გადაქციეს გერმანელ-თურქ მტაცებელ ოკუპანტთა და შემდეგ ინგლის-ამერიკელ იმპერიალისტთა სათარეშო ასპარეზად, ხოლო მათმა საგარეო პოლიტიკამ 1920 წლის შემოდგომაზე სომხეთი დალუპვის პირამდე მიიყვანა.

* * *

სომხეთის მშრომლები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბრძოლას აწარმოებდნენ და იცოდნენ, რომ მხოლოდ საბჭოთა რუსეთს შეეძლო გაეწია მათთვის რეალური დახმარება თურქეთის, ინგლის-ამერიკის კაბალისა და დაშავეთა მოწოდებისაგან დასახსნელად. საბჭოთა აზერბაიჯანის მავალით იმის ნათელი დამამტკიცებელი იყო, რომ ყველა დამონებული ხალხისათვის თავისუფალი და დამოუკიდებელი არსებობის ერთადერთი გზა — იყო მშობრი კავშირი საბჭოთა რუსეთის მშრომლებთან. რკპ(ბ) ცკ-ისა და რკპ(ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს დახმარებით სომხეთის კ(ბ) ცკ აძლიერებს პოლიტიკურ მუშაობას სომხეთის მშრომელ მასებში.

სომხეთის აჯანყებულმა მშრომელმა მასებმა, 1-ლ ყაზანის აჯანყებულ პოლკთან ერთად, სულ 1200 კაცმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 1920 წლის 29 ნოემბერს რევოლუციის დროსა ააფრიალეს ქარავანსარაიში (ახლა ინჯევანი), დაშავეთა ხელისუფლება დამოხილად გამოაცხადეს და შექმნეს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი. სომხეთში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.

ვ. ი. ლენინის თვის დებეშაში 1920 წლის 2 დეკემბერს მიესალმა „...იმპერიალიზმის მხრივ ჩაგრიტისაგან ვანთავისუფლებულ მშრომელ საბჭოთა სომხეთს“*. რსფსრ-ს მთავრობამ მიიღო ზომები აჯანყებული სომეხი ხალხისათვის ეფექტური ეკონომიური და სამხედრო-პოლიტიკური დახმარების აღმოსაქნად.

საბჭოთა წყობილების დამყარება სომხეთში შესაძლებელი ვახდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეოხებით. ეს იყო მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვება. სომეხი ხალხისათვის უზრუნველყოფილ იქნა ნაციონალური განახლება, მშვიდობიანი შრომა და დამოუკიდებელი ცხოვრება. ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთ-

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903 — 1953), სახელგამი, თბილისი, 1953 წ., გვ. 19-20.

* ვ. ი. ლენინი, თბ. ტ. 31, გვ. 536.

ხშირად მთვარის ფაზების გამოსახატავად იხმარება გამოთქმა „მთვარის ასაკი“. ამ გამოთქმის ქვეშ იგულისხმება დღე-ღამეებისა და საათების რაოდენობა, რომელიც განვილილია უკანასკნელი „ახალი მთვარის“ მომენტიდან.

ასე, მაგალითად, 3-4 დღის მთვარეს მარჯვნივსაკენ ამოზნექილი ნამგლის სახე აქვს. რაც უფრო მეტი დრო გადის „ახალი მთვარეობიდან“, როგორც ზემოთაც ვთქვით, პირველ ხანებში მით უფ-


დან შეიძლება მიეწოდოს შეკუმშული ჰაერი. ამ დროს არხები რეაქტორში იხურება საკვალთებით. შეკუმშული ჰაერი, გაივლის რა ტურბინას, დაატრიალებს მას კომპრესორთან ერთად. როცა წნევა კამერაში რეაქტორის წინ ტურბინის წინა კამერის წნევას გაუტოლდება, საკვალთები იღება და ჰაერი მიისწრაფის რეაქტორით.

ამ ჰაერს უკვე მიაქვს თან ურანის მტვერი. ამიტომ დაუყოვნებლივ იწყება რეაქცია და ძრავი გადადის მუშაობის ნორმალურ რეჟიმზე.

ძრავის ამუშავების მეორე ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ ვადიდებულ იქნეს წნევა კამერაში ტურბინის წინ, მასში ნავთის წვით სათანადო დამკანგველთან ერთად.

რო მატულობს მთვარის განათებული ნაწილის სი-
დიდე. როდესაც მზარდი მთვარე 7 დღე-ღამისა და
9 საათის ასაკს აღწევს, მაშინ განათებულია მისი
დისკოს ზუსტად ნახევარი—დანახლეოთი ნაწილი. ამ
ფაზას ეწოდება „პირველი მეოთხედი“. ამ დროს
მთვარე ამოდის შუადღისას და ჩადის შუაღამისას.

„ახალი მთვარიდან“ 14 დღე-ღამისა და 18 საათის
შემდეგ დგება სავსე მთვარე. ამ დროს ჩვენთვის
განათებულია მთვარის მთელი დისკო იმიტომ, რომ
მზე და დედამიწა მთვარის ერთ მხარეზე იმყო-
ვებიან. „სავსე მთვარე“ ამოდის საღამოობით და
ჩადის დილ-დილობით.



მთვარის ფაზები

იწყებს რა ისევ „კლებას ანუ ცხრობას“, მთვა-
რე 22 დღე-ღამისა და 4 საათის ასაკში კვლავ ნახე-
ვარდისკოს სახეს ღებულობს, მაგრამ ამჯერად
საზე განათებულია მისი მარცხენა, აღმოსავლეთი
ნახევარი. მთვარის ამ ფაზას ეწოდება „უქანასკნე-
ლი მეოთხედი“. ამ დროს მთვარე ამოდის შუაღამი-
სას და ჩადის შუადღისას. ამის შემდეგ დგება ისევ
„ახალი მთვარე“ და მთელი თანმიმდევრობა მთვა-
რის სახეცვლილებისა, ანუ მთვარის ფაზები, მე-
ორდება თავიდან.

დროის შუალედს ერთი „ახალი მთვარიდან“
მომდევნო „ახალი მთვარემდე“ ეწოდება მთვარის
თვე, ანუ სინოდური თვე. სინოდური თვის ზუსტი
ხანგრძლიობა უდრის 29 დღე-ღამეს, 12 საათს, 44
წუთსა და 2.82 წამს, ანუ დაახლოებით 29.5 დღე-
ღამეს.

ამგვარად, სინამდვილეში მთვარე ხელახლა გა-
მოიცილება არც ზუსტად 30 და არც ზუსტად 29
დღე-ღამის შემდეგ, არამედ 29 დღე-ღამის, 12 სა-
ათისა, 44 წუთისა და 2.82 წამის შემდეგ. მაგრამ
სამოქალაქო ანგარიშში მეტად რთულია—საქმე
გეგმონდეს დროის ამგვარ შუალედთან, რომელიც
ნარტო მთელ დღეებს კი არ შეიცავს, არამედ საა-
თებს, წუთებს და წამის ნაწილებსაც.

ამიტომ სამოქალაქო საჭიროებისათვის (და
არა ზუსტი ასტრონომიული ანგარიშისათვის) მთვარე
რის ასაკს მთელ დღეებში გამოხატავენ მთვარის
მთვარის სინოდური მოქცევის პერიოდის და დღე-
ღამის უთანაბრობის გამო, მთვარის ასაკის ანგარი-
ში დღე-ღამეების მთელ რიცხვებში არც ისე მარ-
ტივია.

დავუშვათ, რომ რომელიმე თვეში მთვარის
გამოცლა 30 დღის ასაკში ვიანგარიშეთ. ეს იმას
ნიშნავს, რომ მთვარის ასაკს ჩვენ ხელოვნურად
დავუმატეთ ნახევარი დღე-ღამე. ამიტომ, რომ ავი-
ცდინოთ შემდეგში ეს შეცდომა, საჭიროა მომდევ-
ნო მთვარის თვის დამლევს მთვარის ასაკი 29 დღის
ტოლად ჩავთვალოთ. ამიტომ არის, რომ სამოქალა-
ქო კალენდრებში ერთ თვეში მთვარის უდიდეს
ასაკად 30 დღეა აღნიშნული, ხოლო მეორეში—29.

ზოგჯერ, ღამის საათებში ამა თუ იმ სამეურნეო
სამუშაოს სწორი დაგეგმვისათვის, საჭიროა ვიცო-
დეთ მთვარის მიერ დედამიწის ზედაპირზე შექმნი-
ლი განათებულობა, რაც უშუალო კავშირში იმყო-
ვება მთვარის ასაკის ცოდნასთან.

ასეთ შემთხვევაში, თუ ხელთ არ გვაქვს მოცე-
მული წლის კალენდარი ან თუ არა გვაქვს საშუა-
ლება მივმართოთ ზუსტ ასტრონომიულ გამო-
თვლებს, მთვარის ასაკის გამოსაანგარიშებლად უნ-
და გამოვიყენოთ გარკვეული და მიზანშეწონილად
შედგენილი წესები.

ქართულ ხალხს უძველესი დროიდანვე შემუ-
შავებული აქვს ამგვარი წესის ერთი სახე, რომლის
საშუალებითაც შესაძლებელია აღებული წლის უნ-
ბისმიერი დღისათვის მთვარის ასაკის საკმაო სი-
ზუსტით გამოთვალო. მთვარის ასაკის გამოსაანგარი-
შებელ ამ ხალხურ წესს „მთვარის ანგარიში“ ეწო-
დება და შემდეგში მდგომარეობს.

უპირველეს ყოვლისა უნდა ვიცოდეთ, თუ რას
უდრის აღებული წლის „ზედნადები“. არსებობს
მუდმივი ზედნადები და წლიური ზედნადები. მუდ-
მივი ზედნადები წარმოადგენს დღეებში გამოხა-
ტულ სხვაობას, რომლითაც მზის წელიწადი მეტია
მთვარის წელიწადზე და ყოველთვის უდრის 11.
რომ მივიღოთ აღებული წლის ზედნადები, საჭი-
როა წინა წლის ზედნადებს დავმატოს მუდმივი
ზედნადები. მაგალითად, გასული 1954 წლის ზედ-
ნადები იყო 21. მიმდინარე, 1955 წლის ზედნადები
არის 21 + 11 = 32. მაგრამ, რადგანაც მთვარის ასა-
კი არასოდეს არ აღემატება 30 დღეს, ამიტომ 1955
წლის ზედნადები იქნება 32 - 30 = 2. 1956 წლის
ზედნადები იქნება 2 + 11 = 13, 1957 წლის—13 +

11=24, 1958 წლის — 24+11=35, ახლ 35—30=5 და ა. შ.

შემდეგ, აღებული წლის ზედნადებს ყოველთვის უნდა დაემატოს 2 დღე (ე. წ. „თვისთავი“ და „ნიადაგი“).

ბოლოს, მიღებულ ჯამს საჭიროა დაემატოს აგრეთვე იმ დღის რიცხვი, რომლისთვისაც ვეძებთ მთვარის ასაკს და იმ თვის რიგითი ნომერი, რომელსაც ეს დღე ეკუთვნის. თუ საბოლოოდ მიღებული რიცხვი 30-ზე ნაკლები აღმოჩნდება, იგი გამოხატავს მთვარის ასაკს, ხოლო თუ ტოლია, ან მეტია 30-ზე, მაშინ ვიქცევით შემდეგნაირად: თუ აღებულ თვეში 31 დღეა, მიღებულ რიცხვს აკლდება 30. დანარჩენ შემთხვევებში კი უნდა გამოაკლდეს 29 დღე. დარჩენილი სხვაობა გვიჩვენებს მთვარის ასაკს.

აქვე უნდა გვახსოვდეს ყოველთვის კიდევ ერთი გარემოება: იანვრისა და თებერვლის რიგით ნომრებზე მუდამ უნდა ვიგულისხმობთ 3, ხოლო დანარჩენი თვეების მიმართ კი ვიქცევით ჩვეულებრივად, ე. ი. მარტის რიგითი ნომერი იქნება 3, აპრილის—4 და ა. შ.

ეს წესი პრაქტიკულად ადვილი მოსახმარებელია და მისი საშუალებით გამოთვლილი მთვარის ასაკი ხშირად ეთანხმება სინამდვილეს ან შეიძლება განსხვავდებოდეს მისგან მხოლოდ ერთი დღით, ძალზე იშვიათად კი—2 დღით.

ქვემოთ მოგვყავს რამდენიმე მაგალითი:

1. რამდენი დღის იქნება მთვარე 1955 წლის დეკემბრის 18-ში?

ზედნადები	2
თვისთავი და ნიადაგი	2
თვის ნომერი	12
თვის რიცხვი	18
ს უ ლ	34

რადგან დეკემბერში 31 დღე არის, ამიტომ მთვარე იქნება 34 — 30=4 დღის.
2. რამდენი დღის იქნება მთვარე 1956 წლის თებერვლის 25-ში?

ზედნადები	13
თვისთავი და ნიადაგი	2
თვის ნომერი	3
თვის რიცხვი	25
ს უ ლ	43

თებერვალში დღეების რაოდენობა 31-ზე ნაკლებია. ოთხ წელიწადში ერთხელ, ე. წ. ნაკიან წლებში (როგორც იქნება, მაგალითად, 1956 წელი), ამ თვეში არის 29 დღე, დანარჩენი წლებში კი—28 დღე. ამიტომ მთვარე იქნება 43—29=14 დღის.

3. რამდენი დღის იქნება მთვარე 1957 წლის 1 იანვარს?

ზედნადები	24
თვისთავი და ნიადაგი	2
თვის ნომერი	3
თვის რიცხვი	1
ს უ ლ	30

მაშასადამე, 1957 წლის პირველ-ახალი წლის დღეს იქნება ახალი მთვარე.

4. რამდენი დღის იქნება მთვარე 1958 წლის 10 მაისს?

ზედნადები	5
თვისთავი და ნიადაგი	2
თვის ნომერი	5
თვის რიცხვი	10
ს უ ლ	22

მაშ მთვარე 22 დღის იქნება.





რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის შედეგები

ჩვენი დიდი სამშობლოს — საბჭოთა კავშირის ხალხები და საერთოდ მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ იმ-სერიალიზმის ქოქის პირველი სახალხო რევოლუციის — რუსეთის 1905 წლის რევოლუციის 50 წლისთავს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში შემავალი ინსტიტუტების რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიები უნდა ჩაეკრებინათ იმ რაიონებში, სადაც 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში რევოლუციონერებმა მობრძაობა ფართო ხასიათი მიიღო. 1905 — 1907 წწ. რევოლუციის პერიოდში თავისი ინტენსიური აგარაკული მოძრაობით თვალყვანის და სიღნაღის მასრა აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა. ამიტომ ეკონომიკის და ფილოსოფიის ინსტიტუტების გამსვლელი სამეცნიერო სესია, მიძღვნილი რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი, ჩატარდა ქ. სიღნაღში მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს. სესიის მუშაობაში ეკონომიკისა და ფილოსოფიის ინსტიტუტების მეცნიერ-მუშაკების გარდა, მონაწილეობა მიიღო სიღნაღის რაიონულმა აქტივმა.

სამეცნიერო სესია შესავალი სიტყვით გახსნა ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა პრიფატორმა **პ. გუგუშვილმა**. პრიფ. პ. გუგუშვილმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ 1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდში რევოლუციონერებმა მობრძაობა საქართველოს და კავკასიაში ფართო ფართო ხასიათი მიიღო. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ლენინის მოწოდებით და თანამებრძოლის გენიალური სტალინის ხელმძღვანელობით დარჩაშემული საქართველოს მუშებმა და გლეხებმა ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ გამორღობა და თავდადებული ბრძოლებით მოწყინაველ ფეოდალებს ჩასწრეს რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში როგორც მთელ საქართველოს, ისე, კერძოდ, თვალყვანის და სიღნაღის მასრაში გაიშალა ინტენსიური რევოლუციური მოძრაობა, რომელიც ამპარტოული იყო ბატონყმობის გადმონაშთების, ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. რევოლუციური მოძრაობა საქართველოში რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილი იყო. მთელი რუსეთისა და კავკასიის შესაბამის მოვლენებშიც ერთად 1902 — 1904 წლებში სიღნაღისა და თვალყვანის მასრის დიდ სოფლებში დაარსდა სოციალ-დემოკრატიული წრეები და ორგანიზაციები, საბჭორო სამხედრო კომიტეტები, რომელთა ხელმძღვანელობით 1902 — 1904 წლების განმავლობაში სისტემატურად ღებებოდა გამოსვლები ცარიზმის წინააღმდეგ. რევოლუციური ტალღები უფრო ახვირდა 1905 წლის იანვარ-თებერვალში, როცა ეს მთელი ორგანიზებული ხასიათის ღებულობდა. შეიარაღებულ აჯანყების მხარს უჭერდა რევოლუციური სამხედრო ნაწილები. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგ გაძლიერდა რეაქცია, მაგრამ აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა თავიანთი პოზიციებს ადვილად არი თმობდნენ, ბრძოლას განაგრძობდნენ. — მართალია, რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ ბრძოლა არ შეწყვეტილა, გროვდებოდა გამოცდილება, რაც მთელი რუსეთის მუშათა კლასსა და უღარიბეს გლეხობას დაეხმარა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მოლოებაში.

სესიებზე მოსმენილი იქნა ფილოსოფიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანაშრომლის **გ. გოგავაძის** მოხსენება თემაზე: „მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის საკითხი რუსეთის პირველ რევოლუციაში“. მოხსენებელმა აღნიშნა, რომ ყველა წინა ბურჟუაზიული რევოლუციისაგან განსხვავებით რუსეთის 1905 წლის რევოლუცია იმპერიოლიზმის ეპოქაში მომხდარი რევოლუცია იყო, როდესაც პროლეტარიატი

კლასობრივი ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა, როგორც დამოუკიდებელი და წყაყვაი სოციალური ძალა. ვ. ი. ლენინის ხელისაყვარებით გამოსავალი პროლეტარიატის ხელმძღვანელი ობოლი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციაში, შემუშავებული იქნა პარტიის სტრატეგიული გეგმა, რომლის მიხედვითაც პროლეტარიატსა და გლეხობას, ლიბერალური ბურჟუაზიის ობოლიაობის პირობებში, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ეყარებინა დემოკრატიული რევოლუცია. სრული გამარჯვებისათვის. ამ ბრძოლაში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი რევოლუციის გამარჯვების აუცილებელი პირობა წარმოადგენდა, როგორც ახალი საზოგადოებრივი ძალის, რომელიც შექმნიდა და შეუძლია მომავალად კლასების წინააღმდეგობის დიფრენცია.

განსაკუთრებით ყურადღებით იქნა მოსმენილი ეკონომიკის ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განყოფილების გაგის, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის **ა. ხუტუნაძის** მოხსენება თემაზე „ბოლშევიკების აგარაკული პროგრამა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“. მოხსენებაში გახმაზრებული იყო ყურადღება პარტიის აგარაკული პროგრამის გადაწყვეტების მნიშვნელობისადმი, რადაც რუსეთის პირველი რევოლუციის საფუძველზე აგარაკული საკითხის წარმოადგენდა. ბოლშევიკური პარტიის აგარაკული პროგრამის, გამოყვამებულს ვ. ი. ლენინის მიერ, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ ბრძოლაში ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ; მისი სწორი გატარებით უზრუნველყოფილ იქნა მუშათა კლასისა და გლეხობის მებრძოლი კავშირი პროლეტარიატის ხელმძღვანელობით და მიღწეულ იქნა პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვება ცარიზმზე.

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის **გ. კობაძის** მოხსენება შეეხებოდა მიწათმფლობელობის საქართველოში 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. მოხსენებელმა ფაქტობრივი მასალის საფუძველზე გვიჩვენა, რომ გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ზრდას საქართველოში მიწის განაწილება, გლეხთა უუფლებლობა, უდიდესი გადასახადები და სავანაშო კაპიტალის კაბლა განაპირობებდა.

სესიის მონაწილთა დიდი ინტერესი გამოიწვია ფილოსოფიის ინსტიტუტის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის განყოფილების გაგის, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის **ა. ქუთათაძის** მოხსენებამ თემაზე „საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა მარქსისტული ფილოსოფიის სიწმინდათვის რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“. მოხსენებაში ნახვებები იყო საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა მენშევიკების, ბურჟუაზიული და წარალბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიების (სოციალ-დემოკრატიისტები, ანარქისტები, ესერები და სხვ.) წინააღმდეგ, რომლებიც აყარად ამანჩხებდნენ და ებრძოდნენ რევოლუციური მარქსიზმის არა მარტო-ფილოსოფიურ და ტაქტიკურ ხაზს, არამედ მის თეორიულ-პოლიტიკურ საფუძველს. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის დაცვის დასაბუთების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ი. სტალინმა მთელი რიგი თავისი შესანიშნავი ნაშრომებით, რომლებში შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ნაშრომს „ანარქიზმი თუ სოციალიზმი“.

სესიის მუშაობა შეაყამა პრიფ. პ. გუგუშვილმა, სესიის დასასრულს საქართველოს კომუნისტური პარტიის სიღნაღის რაიკომის დივანამ ახვ. **ზ. ხიბინაშვილმა** მაღლობა გადაუხადა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობის და მეცნიერ თანაშრომლებს გამსვლელი სამეცნიერო სესიის სიღნაღში მოწყობისათვის.

3. ჯიბლაძე

ეკონომიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი

უოცარები



პროფესორი გ. შინბელაქი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

პ. ბანუაშვილი
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის ძირითად პრინციპულ თავისებურებას, რომლითაც ის კაპიტალისტური ქვეყნების მედიცინისაგან განსხვავდება, წარმოადგენს მისი პროფილაქტიკური მიმართულება.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს კეთილმდგომარეობის ყოველდღიური ზრდით შექმნილია მშრომელების დაავადებათა და მათი გამოწვევი მიზეზების წინააღმდეგ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელების ყველა პირობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებაში გათვალისწინებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმის შემდგომი გაუმჯობესება და განვითარება. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული პროფილაქტიკის საკითხებს და მედიცინის მეცნიერების მიღწევათა სწრაფად დანერგვას პრაქტიკაში.

ამჟამად პროფილაქტიკის მიზნით იყენებენ მთელ რიგ ფიზიკურ მეთოდებს. ფიზიოკოროფილაქტიკურ ღონისძიებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ულტრაიისფერი სხივების გამოყენებას. ამ სხივებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის ცხოველმოქმედებისათვის. ულტრაიისფერი სხივები მზის სპექტრში აღმოჩენილ იქნა დაახლოებით 150 წლის წინათ. მაგრამ ამ უქიროფასის პროფილაქტიკურ საშუალებას დიდხანს არ ჰქონდა გამოყენება. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მეცნიერებმა შეძლეს ულტრაიისფერი სხივების ხელოვნური წყაროების შექმნა.

ულტრაიისფერი სხივების სპექტრი, ხილული სხივების მდებარეობის არესთან შედარებით, სამ ნაწილად დაიყოფა—შორეული, საშუალო და მახლობელი არის სხივები. ცნობილია, რომ ყველა სახის სხივური ენერგია ხასიათდება ტალღების სიგრძით. შორეული ეწოდება სხივებს, რომელთა სიგრძე 180 — 275 მილიმიკრონის ფარგლებში იცვლება, საშუალოსი—275—320 მილიმიკრონის ფარგლებში, ხოლო მახლობელი არისა 320—400 მილიმიკრონის ფარგლებში. შემდეგ იწყება ხილული სპექტრის არე. შორეული არის ულტრაიისფერი სხივები ანელბენ ბაქტერიების ზრდას, ხოლო განსაზღვრულ პირობებში კი ხოცავენ მათ. ამიტომ


ულტრაიისფერი გაფანტული რადიაციის საშუალებით წარმოებს მთელი რიგი საბავშვო საავადმყოფოებისა და ბაგების დასრევა.

ულტრაიისფერი სპექტრის მახლობელი არის სხივები, ანუ „შავი სინათლე“, ზეგავლენას არ ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. „შავი სინათლის“ თვისება იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა ნივთიერებათა ზედაპირზე დაცემის დროს იწვევს მათ ცოტად თუ ბევრად კაჟკაშა, სხვადასხვაფეროვან ნათებას. „შავი სინათლის“ თვისებებს იყენებენ ქიმიური და ბიოლოგიური გამოკვლევების დროს, სოფლის მეურნეობაში, კვების მრეწველობაში და ვაკუუმის დარგში — პროდუქტების დასაზარისხებლად, ტექნიკაში, მრეწველობაში, გეოლოგიურ და მინერალოგიურ პრაქტიკაში, თეატრებში, კინემატოგრაფიაში და სხვ.

ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შუა არის ულტრაიისფერი სხივებს. ამ სხივების კეთილმოქმედება ადამიანის ორგანიზმზე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ, თუ ადამიანი დიდხანს არ ყოფილა შუა არის ულტრაიისფერი სხივების ზეგავლენის ქვეშ, ე. ი. განიცდიდა „სინათლის შიმშილს“, მაშინ ორგანიზმში შეიძლება განვითარდეს ავითამიზიონი A, სხვადასხვა ავადმყოფობა, როგორც არის ნერვული სისტემის მოშლილობა, გაცივების მოვლენები, შრომისუნარიანობის დაცემა და სხვ.

საბჭოთა მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ულტრაიისფერი დასხივება ზრდის ადამიანის ორგანიზმის მდგრადობას და წინაღობას გარემოს უარყოფითი ფაქტორების ზეგავლენის მიმართ. მაგრამ მზის სხივები ბიოლოგიურად აქტიურ ზეგავლენას ადამიანის ორგანიზმზე ახდენენ მხოლოდ ღია ადგილზე ქალაქგარეთ, სადაც ატმოსფერო არ შეიცავს კვამლს და მტერებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შორეული და შუა არის ულტრაიისფერი სხივებისათვის ფანჯრების მინა შეუღლწვე წინაღობას წარმოადგენს. ამ მდგომარეობამ ჰიგიენისტების წინაშე წარმოშვა „სინათლის სიმშობლიან“ ბრძოლის პრობლემა — ხელოვნური დასხივების მეთოდების შექმნა, რომელსაც მოსახლეობისათვის უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში.



ნახ. 1. ნათურისა და დასახივებელი ადამიანის რეკომენდებული ურთიერთმდებარეობა: $ABCA$ — დასახივებელი პირობითი ზედაპირი, $A_1B_1C_1A_1$ — ულტრაიისფერი სხივების ნაკადის განაწილების რეკომენდებული მრუდი ვერტიკალურ სიბრტყეში, a — რეფლექტორის გამოხივების კუთხე

დასახივების მიზანია ორგანიზმის შრომისუნარიანობის ზრდა, გრიბოზული, სასუნთქი ორგანოების ზოგადი და აგრეთვე კანის ჩირქოვან დაავადებათა შემცირება.

ხელოვნური დასახივების ერთ-ერთ ეფექტურ ხერხს წარმოადგენს ე. წ. ფოტარეების მოწყობა, სადაც წარმოებს ადამიანის ხანმოკლე დასახივება ულტრაიისფერი რადიაციის ინტენსიური ნაკადით. ეს სხივები გამოიყოფა ფოტარეებში მოწყობილი სინათლის ხელოვნური წყაროებიდან. ასეთ წყაროებს ამჟამად წარმოადგენენ კვარცის კოლბაში მოთავსებული ვერცხლისწყლის მაღალი წნევისა და სხვა ნათურები, რომელთა სხივური ენერგია თავისი ბიოლოგიური მოქმედებით მზის ენერგიის უახლოვდება.

ასეთ ფოტარეებში დასახივებას ღებულობენ სამთო-სამრეწველო, მეტროპოლიტენისა და მეტალურგიული მიწვევლობის მუშები, სტუდენტები, სპორტსმენები, სახელოსნო სასწავლებლების მოწაფეები და სხვ. საერთოდ ულტრაიისფერი დასახივება, ორგანიზმის გამოწობის მიზნით, ფართოდ არის გამოყენებული საბჭოთა მედიცინის პრაქტიკაში.

ჩვენს ქვეყანაში კეთილმოწყობილი ფოტარეები აგებულია კადიევკაში (დონბასი) ილიჩის სახელობის შახტში, „ორჯონიკიძეულის“ ტრესტის შახტში ენაიევოში, „კუბიშევევლის“ შახტში სტალინოში, სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში ქ. სტალინოში, ლენინ-

რადში პეტროგრადის რაიონის ერთ-ერთ სასელონსა სასწავლებელში და სხვ.

არსებული ფოტარეების გამოცდილებით დღეგინილა, რომ დასახივების შედეგად ადამიანს ემატება ფიზიკური ძალა, უკეთესდება მოძრაობის კოორდინაცია, მცირდება არტერიული წნევა, რომელიც ფიზიკური მუშაობის დროს მატულობს, უკეთესდება სასუნთქი აპარატის მოქმედება და მცირდება გაცივებით გამოწვეული დაავადებანი, აგრეთვე რევატიზმით და გრიბით დაავადება.

ულტრაიისფერი დასახივება განსაკუთრებით დადებით ზეგავლენას ახდენს საწარმოო დალილობაზე. დასახივების შედეგად უკეთესდება ყურადღება, მეხსიერება, მდა და მცირდება თავის ტკივილის მოვლენები.

ერთ-ერთი სახელოსნო სასწავლებლის ფოტარეაში დასახივების შედეგად აღნიშნული იყო მოწაფეების წონის ზრდა, ხელის კუნთების ძალის მომატება, სისხლში ჰემოგლობინის პრიცენტის ზრდა. გარდა ამისა, მოწაფეების დაავადებათა შემთხვევები შემცირდა.

ფოტარეა წარმოადგენს სპეციალურ სადგომს, სადაც ერთიმეორისგან განსაზღვრულ მანძილზე განლაგებულია ულტრაიისფერი სხივების ხელოვნური წყაროები.

ფოტარეები მოწყობილი უნდა იყოს მაღაროების ან სხვა საწარმოს ტერიტორიაზე—ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კომბინატში, შახტებსა და ჩასაცმელ ოთახებს შორის.

ფოტარეები ჩვეულებრივ გაყოფილია ორ ნაწილად — კაცებისათვის ცალკე და ქალებისათვის ცალკე. თუ მუშების რიცხვი 200 კაცს არ აღემატება, მაშინ შეიძლება სხვადასხვა დროს ერთისა და იმავე ფოტარეის გამოყენება როგორც კაცებისათვის, ისე ქალებისათვის. ფოტარეისა და შახტებს შორის მდებარეობს საპირსახოცე ოთახი, სადაც მუშები იმშრალუბენ ტანს ან ჩვეულებრივ ან „ელექტროპირსახოცებით“, ე. ა. შპრალი შემთბარა ჰაერის ჰაეროვებით. საპირსახოცე და ჩასაცმელ ოთახში გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილი დამცველი სათვალეების შესანახად. ფოტარეაში შესვლის წინ მუშები იკეთებენ დამცველ სათვალეებს, ხოლო გამოსვლისას კი აბარებენ ჩასაცმელ ოთახში.

მოსამსახურე პერსონალზე ულტრაიისფერი სხივების მავნე ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად ფოტარეის მართვის პუნქტი იზოლირებული უნდა იყოს დასახივების ოთახისაგან. იზოლაცია ხდება ტიხარის საშუალებით, რომელშიც ჩასმულია ფანჯრის მიწები.

ფოტარების დამზარებელ სადგომების ზომები ძირითადად დამოკიდებულია ერთდროულად დასასხივებელი მუშების მაქსიმალურ რიცხვზე და ულტრაიისფერი სხივების ხელოვნური წყაროს ტიპზე.


ფოტარები სხვადასხვა სახისაა. უმთავრესად გავრცელებულია „მაიკ“-ის ტიპის ფოტარები, სადაც ვერცხლისწყალ-კვარცის ნათურა PRK-2 რეფლექტორით ან უემისოდ, მოთავსებულია სადგომის ცენტრში. ამ ტიპის ფოტარებში დასასხივებელი ოთახის ფართობი უდრის 10 — 12 კვ.მ, საპირსახოცე — 6-10 კვ. მ, ხოლო ფოტარიის მართვის პუნქტისა — 3-4 კვ. მ დასხივება წარმოებს 60 — 70 სმ მანძილზე. ვერცხლისწყალ-კვარცის ნათურისა და დასასხივებელი ადამიანის რეკომენდებული ურთიერთმდებარეობა მოცემულია ნახ. 1-ზე. ერთდროულად შეიძლება 10 კაცის დასხივება. თუ საჭიროა 10 კაცზე მეტის დასხივება, მაშინ გამოყენებული უნდა იყოს უფრო მძლავრი ნათურა PRK-7, რომელიც თანაბარ და საკმაოდ ინტენსიურ გამოსხივებას იძლევა. ამ შემთხვევაში, დასასხივებელი ოთახის ფართობი უნდა იყოს არა ნაკლებ 36 კვ. მ. აქ შეიძლება ერთდროულად 30 კაცის დასხივება, რაც 2 — 3 წუთს მიმდინარეობს.

სხეულის დაწვის თავიდან ასაცილებლად დასხივება 2,5 — 3,0 მ. მანძილიდან წარმოებს.

სხვა ტიპის ფოტარებში დასხივება ჩვეულებრივ წარმოებს დერეფნის სახის სადგომებში, სადაც ვერცხლისწყალ-კვარცის ნათურები შერსა და მოპირდაპირე კედლებზე მდებარეობენ. ვერცხლისწყალ-კვარცის ნათურების გარდა, ფოტარიაში სასურველია სოლუქსის ტიპის 4 — 8 ნათურის მოწყობა, რაც ქმნის დამატებით საკმაოდ თანაბარ დასხივებას გრძელტალღიანი რადიაციის ნაკადით. ზოგჯერ ფოტარებში დასასხივებელი პირნი უძრავად დგანან ნათურების მიმართ, ხოლო ზოგიერთში კი მოძრაობენ ნათურების ფართობის გრძივად ესკალატორების ან სხვის საშუალებით (ნახ. 2).

კადივეკაში, ილიჩის სახელობის შახტაში, მოწყობილია დერეფნის სახის ფოტარია სიგრძით 40 მ, რომლის გრძივადაც, განსაზღვრულ მანძილზე განლაგებულია 30 წყვილი ვერცხლისწყალ-კვარცის და 8 წყვილი „სოლუქსის“ ტიპის ნათურა. ფოტარების გრძივად, ნათურებს შორის, მოძრაობს ესკალატორი, რომელიც უზრუნველყოფს დასასხივებელი პირის საჭირო ხანგრძლივობით ყოფნას სხივების არეში.

სტალინის სამედიცინო ინსტიტუტის ჯანმრთელობის დაცვის კათედრამ დამუშავა ფოტარის ახალი კონსტრუქცია რეაწახანაიანი დანადგარით.



ნახ. 2. დასასხივებელი პირნი ესკალატორის საშუალებით მოძრაობენ ნათურების ფონტის გრძივად.

გარდა ასეთი დანადგარი მაქსიმალურად ამცირებს ფოტარიის ფართობს, ხოლო რეფლექტორები უზრუნველყოფენ თანაბარ დასხივებას. ერთ ცვლაში ასეთ ფოტარიის შეუძლია 120 კაცის გატარება. ამჟამად რეაწახანაიანი დანადგარი მოწყობილია „ორჯონიჭიძეულ“-ის და „კუიბი-შევეგოლ“-ის რამდენიმე შახტში.

არსებობს შედარებით უფრო მარტივი ფოტარებიც. მაგალითად, ლენინგრადის პეტროგრადის რაიონის სახელსონო სასწავლებელში ფოტარია მოწყობილია ჯანმრთელობის დაცვის პუნქტის ჩვეულებრივ ოთახში. ოთახის ცენტრში, გადასატან შტატებზე, ვერტიკალურ მდგომარეობაში მოთავსებულია ვერცხლისწყალ-კვარცის ნათურა PRK ურეფლექტოროდ. შტატების ირგვლივ იტაკზე, ცენტრიდან სხვადასხვა მანძილზე ზეთის თეთრი საღებავით დახაზულია სამი წრე: პირველი წრე — 0,7 მ მანძილზე, მეორე — 1 მ, ხოლო მესამე — 1,5 მ. მოწყობები პირველ დღეს დგებიან მესამე წრეზე და ლებულობენ სხეულის წინა და უკანა ზედაპირის თითოეულთან დასხივებას; ე. ი. 2 ულტრაიისფერ ერთეულს. შემდგომში ულტრაიისფერი ერთეულების რაოდენობა თანდათანობით იზრდება დასხივების ხანგრძლივობის მიხედვით.

ლიობის გადაღებისა და მოწაფეების უფრო ახლო წრეზე გადაყვანის ხარჯზე. მოწაფეების თითოეული ჯგუფის დასხივება წარმოებს დღეგამოშვებით 28 დღის განმავლობაში.

ულტრაიისფერი გამოსხივების სრული და თანაბარი გამოყენებისათვის ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო პირდაპირ რადიაციას, არამედ რეფლექტორებიდან და კედლებიდან ანარეკლ სხივებსაც.

რეფლექტორები ჩვეულებრივ გაპირალბული ალუმინიდან კეთდება. ულტრაიისფერი სხივების კედლებიდან კარგი არეკვლის უზრუნველსაყოფად შეიძლება ალუმინის შპალერის გამოყენება ან კედლების შეღებვა ცარციტით. უნდა აღინიშნოს, რომ ზეთის საღებავით შეღებილი კედლებიდან კუდად ხდება ულტრაიისფერი სხივების არეკვა.

ფოტარიებში რადიაციის განსაზღვრული რეჟიმის დაცვის გარდა საჭიროა აგრეთვე მიკროკლიმატური პირობების უზრუნველყოფა — ჰაერის შესაბამისი შემადგენლობა, მისი ტემპერატურა და ტენიანობა. დიდი მნიშვნელობა აქვს ფოტარიის ჰაერში ოზონისა და აზოტის ქანვის კონცენტრაციის ხარისხს.

ვერცხლისწყალ-კვარცის ნათურების დიდი როლდებით გამოყენების შემთხვევაში ოზონის კონცენტრაცია ჰაერში მეტად მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, მოკლელალებიანი რადიაციის დროს ჰაერში, აგრეთვე წარმოიშვება აზოტის ქანვი. თუმცა ამ გაზების კონცენტრაცია ვერ აღწევს ტოქსიკურ დონეს, მაინც უარყოფით გავლენას ახდენს ფოტარიაში მყოფ პირებზე.

ფოტარიებში სითბოს რეჟიმი დამოკიდებულია ხვით სადგომის ტემპერატურაზე, ნათურებით გამოყოფილ სითბოზე და დასასხივებელი მუშების რიცხვზე.

ფოტარიებში მყოფთა სითბოს შეგრძნობა დამოკიდებულია არა მარტო ჰაერის ტემპერატურაზე, არამედ გარემომცველი ჰაერის ტენიანობასა და მის მოძრაობაზე.

ჰაერის განსაზღვრული შემადგენლობის უზრუნველსაყოფად მოწყობილი უნდა იყოს რაციონალური ტიპის ვენტილაცია ჰაერის 4 — 5 ჯერადი განახლებით. ჰაერის ტემპერატურა დასასხივებელ ოთახში უნდა იყოს +25°, ხოლო შხაფებზეა და ჩასაცემლ ოთახში კი +23°. ფოტარიაში სუფთა ჰაერის მიწოდება ვენტილატორების საშუალებით წარმოებს. დაჰირნული ჰაერის ტემპერატურა დაახლოებით +22° უდრის. ფოტარია-

იდან გაქუქიანებული ჰაერი გარეთ გადის ან ბუნებრივი წყვით ან, რაც უკეთესია, ხელნაკეთი აწოვით. სუფთა ჰაერის რაოდენობა ერთ ვერცხლისწყალ-კვარცის ნათურაზე მიიღება 200 კუბ. მეტრი საათში, ხოლო არა ნაკლებ 20 კუბ. მეტრისა თითოეულ მუშაზე.

ფოტარიების ყველა განყოფილებაში განათება უნდა იყოს არა ნაკლებ 35 ლუქსისა. გარდა ამისა ფოტარიის შესასვლელები და გასასვლელები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასიგნალო განათებით.

მუშების შერჩევა დასასხივებლად ექიმების მიერ წარმოებს, ხოლო დასხივება კი სამედიცინო დის მეთვალყურეობით. ექთანის დასასხივებელ მუშებზე ადგენს სათანადო ინდივიდუალურ ბარათს, თვალურს ადენებს დასხივების რეჟიმის დაცვას, ვენტილაციის მუშაობას და ფოტარიის საერთო სანიტარიულ მდგომარეობას.


წლის განმავლობაში ჩვეულებრივ ტარდება დასხივების ორი კურსი: შემოდგომით (ოქტომბერი — დეკემბერი) და ზამთარ-გაზაფხულით. დასხივება წარმოებს ან დღეგამოშვებით თვეწახევის განმავლობაში ან ყოველდღე ერთი თვის განმავლობაში. დასხივების ხანგრძლიობას თანდათანობით ზრდიან. ორი-ორთვეწახევის დასვენების შემდეგ დასხივება მეორდება.

მოზარდთა საერთო ჯგუფური ულტრაიისფერი დასხივება წარმოადგენს მასობრივი გაჯანსაღების ეფექტურ მეთოდს, რომელიც სტიმულს აძლევს მზარდი ორგანიზმის ფიზიკური განვითარების პროცესებს და, მამასადაემ, ზელს უწყობს დაავადებათა შემცირებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ფოტარიები სახელსწილო სასწავლებლების პირობებში უდავოდ მიზანშეწონილია, ადვილად მოსაწყობი და ხარჯის მხრივ მისაწვდომი. ამიტომ ფოტარიები ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული სახელსწილო სასწავლებლებში.

ულტრაიისფერ დასხივებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მიწისქვეშ მომუშავეებისათვის, რომელთა ორგანიზმზეც, როგორც არსებული ფოტარიების ექსპლოატაციის გამოცდილებიდან ჩანს, განსაკუთრებით კეთილმოქმედ ზეგავლენას ახდენს.

ამიტომ საჭიროა, რომ „სკანაზიის“ კომბინატი და „ქიათურმარგანეცის“ ტრესტი შეუდგენენ ფოტარიების მშენებლობას რესპუბლიკის შახტებსა და მალარობებში.



მეცნიერული პრობლემა

ჭკად აკურა-ჩაის წარმოებაში



დოცენტი მ. ასათიანი

სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონებში ჩაის პროდუქტის ესა თუ ის ტიპია გავრცელებული. ასე, მაგალითად, რუსეთის ევროპულ ნაწილში უმთავრესად გამოყენებულია შავი გრებილი ჩაი, ხოლო ნაწილობრივ — აკურა-ჩაი, ამიერკავკასიაში — შავი გრებილი ჩაი. ციმბირში ძირითადად იხმარება აკურა-ჩაი. შუა აზიის რესპუბლიკებში გამოიყენება მწვანე გრებილი ჩაი. საქართველოს მწვანე აკურა-ჩაის ფართო გამოყენება აქვს ყალმუხების ასსრ-ში, ალტაის მხარეში, ასტრახანის ოლქში, ბურიატ-მონღოლეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სტალინგრადის ოლქში, ორჯონიკიძის მხარეში, დაღისტნის ასსრ-ში, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-ში და სხვ.

საქართველოში თავდაპირველად მხოლოდ შავი გრებილი ჩაი მზადდებოდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის ვრცელ ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა მოსახლეობის მოთხოვნილებათა ჩაის პროდუქტების უფრო დამაკმაყოფილებელი მიზნით ჩვენში 1926 წლიდან ორგანიზებული იყო მწვანე გრებილი ჩაის წარმოება, ხოლო 1932 წლიდან დაიწყო ქართული ნარკის მწვანე აკურა-ჩაის გამოშვება.

საქართველოში ამჟამად მწვანე აკურა-ჩაის ორი ფაბრიკაა: ერთი, შედარებით უფრო ძველი, — ჩაქეში და მეორე — უფრო ახალი, ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა საფუძველზე აღჭურვილი, — ქალაქ შუგდიდში.

1951 წლის მონაცემების მიხედვით საბჭოთა კავშირის გამოშვებულ ჩაის მზა პროდუქტიაში ცალკე სახის ჩაის პროდუქტის ხვედრითი წონის შესახებ წარმოდგენას მოგვცემს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

№№ რიგ.	პროდუქტის დასახელება	ხვედრითი წონა %/0-ში
1	შავი გრებილი ჩაი	58,1
2	მწვანე გრებილი ჩაი	17,0
3	ფილა ჩაი	13,3
4	მწვანე აკურა-ჩაი	11,6

100

აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, რომ მწვანე აკურა-ჩაის ხვედრითი წონა სსრ კავშირის ჩაის პროდუქტის მიერ 1951 წ. გამოშვებულ ჩაის მთელ პროდუქტიაში 11,6% -ს შეადგენდა.

სსრ კავშირის ჩაის მწარმოებელი რაიონებიდან მწვანე აკურა-ჩაის დამზადება მხოლოდ საქართველოში წარმოებს.

მწვანე აკურა-ჩაის წარმოების სამშობლოს წარმოადგენს ჩინეთი. იგი იქ წინათ მზადდებოდა მეტად პრიმიტიული წესით, ხელის უბრალო წნების გამოყენებით. წინამრეწველური წესით დამზადებული აკურა-ჩაის ბრიკეტი ვერ იყო მკვრივი. იგი ვერ იტანდა ხანგრძლივ შენახვას და ადვილად იშლებოდა მტვრად.

აკურა-ჩაის წარმოების ტექნიკის გაუმჯობესების საქმეში მეტად დიდი როლი ითამაშეს რუსებმა. მათ ჯერ კიდევ ვასული საუკუნის 70-იან წლებში ქალაქ ხანკოუსი შექმნეს აკურა-ჩაის წარმოების ბაზა, გააუმჯობესეს პროდუქტის დამუშავების ტექნოლოგია და აკურის ბრიკეტების დაწნევის პრინციპი.

ჩაის ტექნოლოგიის ცნობილი ფრანგი სპეციალისტი ვ. ნევილი, ეზება რა რუსების როლს აკურა-ჩაის წარმოების ტექნიკის გაუმჯობესებაში, აღნიშნავს „წინეხილი ჩაის წარმოების თვითმყარა მოხდა ხანკოუსი. ერთმა რუსულმა ფირმამ ხელი მოკიდა აკურა-ჩაის დამზადებას ორთქლის მანქანის გამოყენების საშუალებით. სხვებმა მიბაძეს მის მაგალითს და სწრაფად განავითარეს წარმოების ეს დარგი, რომელც მანამდე ჩანასახ მღვომარეობაში იყო. მაშინ, როდესაც შინამრეწველური წესით დამზადებული აკურები ადვილად იშლებოდნენ მტვრად, მანქანური დაწნეხით დამზადებისას, ისინი მკვრივია, ერთგვაროვანია და ძალიან დიდხანს ინახება. აკურა-ჩაის წარმოებაში განსაკუთრებით შესამჩნევი გაუმჯობესება მოხდა ორთქლის მანქანების პიდრავილეური წნეხებით შეცვლის შედეგად“ (I. Hevilly, „Технология чая“. თარგმანი II ფრანგული გამოცემიდან, თბილისი, 1928 წ., გვ. 247).

ამ საკითხს მნიშვნელოვან ადგილს უთმობს უკერსიც თავის შრომაში: „all about tea“, იგი აღწერს რა რუსების მიერ ხანკოუსა და კიუკანგის აკურა-ჩაის ფაბრიკებში გამოყენებულ ტექნოლოგიურ პროცესს, წერს, რომ „აკურა-ჩაის წარმოება,

რომელიც პრაქტიკაში ხანკოუსა და კიუციანგის რუსეთის ფაბრიკებში, არის მარტივი და მეტად ეფექტიანი”.


სსრ კავშირში მწვანე აგურა-ჩაის წარმოების პირველი ცდები ჩატარებული იყო 1926 წელს. ამ საკითხში დიდი დამსახურება მიუძღვის გამომგონებელ ბარკადაის, რომელმაც, შესწავლა რა ჰიდრაულიური დაწნევის სხვადასხვა მეთოდები, პირველმა დაიწყო საქართველოში მწვანე აგურა-ჩაის ბრიკეტების გაუმჯობესებული წესით დამზადება. სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს ძველმა ხელმძღვანელობამ მიჩქმალა ბარკადაის ეს მეტად მნიშვნელოვანი თაოსნობა და დასამარა იგი, მაგრამ მალე შესაძლებელი გახდა ამ საქმის გამოსწორება და დაიწყო ქართული მარკის მწვანე აგურა-ჩაის წარმოების განხორციელება. 1932 წლიდან ჩაქვის ჩაის მეორე ფაბრიკა გადაყვანილი იქნა მწვანე აგურა-ჩაის წარმოებაზე. თავდაპირველად აღნიშნული ფაბრიკა წარმოადგენდა ჩაქვის ჩაის პირველი ფაბრიკის განყოფილებას. 1938 წლიდან კი ჩაქვის მწვანე აგურა-ჩაის ფაბრიკა გამოიყო დამოუკიდებელ წარმოებად.

მწვანე აგურა-ჩაის წარმოების პირველი წლები დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან სიძნელებებთან. პირველ ხანებში ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ ათვისებული მწვანე აგურა-ჩაის დამზადების ტექნოლოგია, რაც თავის გავლენას ახდენდა მიღებული პროდუქციის ხარისხზე, მაგრამ მალე ჩვენს სპეციალისტთა მიერ წარმატებით იქნა შესწავლილი მწვანე აგურა-ჩაის დამზადების „საიდუმლოება“, დაძლეულ იქნა ამ ახალი საქმის პირველ წამოწყებასთან დაკავშირებული სიძნელებები და უზრუნველყოფილ იქნა მწვანე აგურა-ჩაის წარმოების ფართო საფუძველზე ორგანიზაცია. 1941 წლიდან ექსპლუატაციაში შევიდა ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა გათვალისწინებით აგებული მწვანე აგურა-ჩაის ახალი ფაბრიკა ქ. ზუგდიდში.

აგურა-ჩაის წარმოების ორგანიზაციის პირველ წლებში ჩაქვის ფაბრიკა მუშაობდა უმეტესად ჩინეთიდან შემოტანილი ლაო-ჩაის ნახევარფაბრიკატის საფუძველზე. დიდი რაოდენობით შემოგეჟონდა როგორც მოსაპირკეთებელი, ისე შიგა მასალაც. შემდეგში ლაო-ჩაის იმპორტი თანდათან მცირდება და 1938 წლიდან ადგილობრივი წარმოების ლაო-ჩაის ნახევარფაბრიკატის გამოყენების ხვედრითი წონა იწყებს გადაჭარბებას უცხოეთიდან შემოტანილ-

თან შედარებით. ასე, მაგალითად, 1938 წლის პერიოდში ჩაქვის აგურა-ჩაის ფაბრიკაში გადასემული ვებლად სულ მიღებული იყო ლაო-ჩაი 250მ.წ. ტონის რაოდენობით. აქედან ადგილობრივი წარმოების იყო 55,3 პროცენტი, დანარჩენი შემოტანილი იყო ჩინეთიდან. ამ ნაკლებტრანსპორტაბელური პროდუქტის ასეთ ღირებულებად განმარტავდა მისი ხარისხის შემცირებას და მწვანე აგურა-ჩაის პროდუქციის თვითღირებულების გაზრდას. მალე ლაო-ჩაის დამზადების ტექნოლოგიური პროცესის დაუფლებისა და ჩაის წარმოების ნედლეული ბაზის ზრდასთან დაკავშირებით ჩვენში საცხებით შეწყდა ლაო-ჩაის ნახევარფაბრიკატის იმპორტი და ფართო საფუძველზე მოეწყო მწვანე აგურა-ჩაის ნახევარფაბრიკატის როგორც შიგა მასალის, ისე საბირე მასალის წარმოება.

ლაო-ჩაის წარმოების განვითარების საკითხში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მთელმა რიგმა ღონისძიებებმა, რომელთა საფუძველზე ორგანიზებული იყო ლაო-ჩაის დამამზადებელი სპეციალიზებული საწარმოები: ჩაქვეში (ჩაის მესამე



ზუგდიდის ჩაის ფაბრიკაში ინჟ. კოდუას კონსტრუქციის ახლანაირად დადგმული, აგურა-ჩაის შემწვარი, ავტომატიზებული ჰიდრაულიური წნეხი, რომელიც ერთდამავდროულად ასრულებს ლაო-ჩაის ნახევარფაბრიკატის აწონვას, დაწნევის და ჩაის ბრიკეტების ორმაგ შეფუთვას.

* W. Ukers. All about tea. vol. 1, 1935.

ფაბრიკა), ლანჩუოში (ჩაის მეორე ფაბრიკა), მახარაძეში (ჩაის მეორე ფაბრიკა), ზუგდიდში (ჩაის მეორე ფაბრიკა) და აჩივკარაში (ჩაის მეორე ფაბრიკა). ამასთან ერთად ლაო-ჩაის ნახევარფაბრიკატის წარმოება დაეწალა საქართველოს შავი და მწვანე გრებილი ჩაის დამამზადებელ ფაბრიკების უმეტესობას.

მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ლაო-ჩაის დამამზადების ტექნოლოგიაში. წარმოებაში დაინერგა ინჟინერ ბარბაქაძის მიერ კონსტრუირებული ჩაის ფოთლის მომხალავი აგრეგატი, რომელმაც საესებით შეცვალა ლაო-ჩაის დამამზადების არსებული წესი. დღემდე მწვანე აგურა-ჩაის წარმოებისათვის საჭირო ნახევარფაბრიკატის დამამზადებისას ჩაის უხეში ფოთლი ჯერ გაივლიდა მოხალავის პროცესს კონუსისებურ მომხალავ ღოღში და შემდეგ გრეზის პროცესს—როლერებში. ვინაიდან ლაო-ჩაის დამამზადებისათვის გამოყენებული უხეში ნელდრული ჩაის დუფის თანგებულ ნაწილებსაც შეიცავს, ეს იწვევდა გრეზის პროცესის გახანგრძლივებას, როლერების ხშირ დაზიანებას და მწყობრიდან გამოსვლას. ბარბაქაძის კონსტრუქციის ჩაის უხეში ფოთლის მომხალავი აგრეგატი საესებით ცვლის მწვანე აგურა-ჩაის ნახევარფაბრიკატის დამამზადების ტექნოლოგიურ სქემას. ერთდამავდროულად ასრულებს როგორც მოხალავის, ისე გრეზის პროცესებს, ზედმეტად ხდის ლაო-ჩაის წარმოებაში როლერების გამოყენებას, იწვევს ლაო-ჩაის ნახევარფაბრიკატის ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და მისი თვითღირებულების საგრძნობ შემცირებას. პროფ. ბოკუჩავას მიერ მეცნიერულად ახსნილი და დასაბუთებული იქნა ლაო-ჩაის და მწვანე აგურა-ჩაის დამამზადების ახალი ტექნოლოგია. სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს 1953 წლის 2 ივნისის დადგენილების საფუძველზე ჩვენს სპეციალისტთა მიერ შემუშავებული მწვანე აგურა-ჩაის ნახევარფაბრიკატის დამამზადების ახალი ტექნოლოგიური სქემა 1954 წლიდან ფართოდ დაინერგა წარმოებაში, რამაც შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვნად შეგვემცირებინა ლაო-ჩაის წარმოების ტექნოლოგიური ციკლი. თუ ძველი ტექნოლოგიური სქემით აღნიშნული პროცესის ხანგრძლივობა 15—18 დღე გრძელდებოდა, ახალი სქემით ლაო-ჩაის წარმოების ტექნოლოგიური ციკლის ხანგრძლივობა მხოლოდ 6-12 საათით განისაზღვრება. ინჟ. ბარბაქაძის აგრეგატის გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებელთა შედარებითი ეკონომიური ეფექტიანობის შესწავლამ ცხადყო, რომ ლაო-ჩაის წარმოებაში ახალი ტექნოლოგიური სქემის გამოყენება უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად მისი თვითღირებულების საგრძნობ შემცირებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტანდარტების სრულიად საკავშირო კომიტეტის მიერ მიღებული სტანდარტით მწვანე აგურა-ჩაის შესაძლებელი გამოშვებულ იქნეს 1-კილოგრამიანი, 1,5 და 2-კილოგრამიანი წონის ბრიკეტებით; ამასთან თითოეული ბრიკეტის წონა ცალკე სახის სტანდარტის მიხედვით შეიძლება რამდენადმე მეტნაკლები იყოს, მაგრამ ეს განსხვავება არ შეიძლება აღემატებოდეს 2%-ს.

ჩაქვის მწვანე აგურა-ჩაის ფაბრიკა 1946 წლიდან აღარმოებდა 1,5 კგ. წონის მქონე მწვანე აგურა-ჩაის ბრიკეტების გამოშვებას. 1946 წლიდან აღნიშნული ფაბრიკა ამზადებს 2 კგ-იან ბრიკეტებს. თითოეული ბრიკეტის სიგრძე უდრის — 35 სმ, სიგანე — 16 სმ. და სისქე — 3,2-3,3 სმ-ს. ზუგდიდის მწვანე ჩაის ფაბრიკა კი მისი ექსპლოატაციაში გაშვების დღიდან (1941 წ.) აღარმოებს 2 კგ-იანი ბრიკეტების გამოშვებას. მწვანე აგურა-ჩაის პროდუქტია ერთი ხარისხისაა. აგურა-ჩაის ბრიკეტებზე ამოტივტირულია სპეციალური საფაბრიკო დალი, რომელიც აღნიშნავს პროდუქციის სტანდარტს და გამოშვების ფაბრიკის მარკას.

მწვანე აგურა-ჩაის ბრიკეტის სტანდარტის მტკიცედ დაცვას უზრუნველად დაელოდნენ პროცესის მექანიზაციის მაღალი ხარისხი. პილავალიკური წინხების გამოყენების საფუძველზე ჩვენი კონსტრუქტორების მიერ თავიდანვე შექმნილი იქნა ავტომატურად მოძრავი კონვეიერული ხაზი და ლაო-ჩაის დაწინების ძირითადი პროცესი გადაყვანილი იქნა წარმოების უწყვეტ ნაკაზზე. ლაო-ჩაის ნახევარფაბრიკატის დამამზადებისა და მისი დაწინების საქმეში მიღწეული ტექნიკური პროგრესის შედეგად მკვეთრად გაუმჯობესდა მწვანე აგურა-ჩაის ხარისხი.

ჩვენი ფაბრიკების მიერ გამოშვებული მწვანე აგურა-ჩაის პროდუქციის ხარისხი მნიშვნელოვნად აღემატება საზღვარგარეთული წარმოების მწვანე აგურა-ჩაის პროდუქციის ხარისხს. მას უპირატესობას აძლევს სახელგანთქმულ ჩინურ მწვანე აგურა-ჩაისთან შედარებითაც. ამ მხრივ მეტად საკულისხმია ჩაის მთავარსამართველოს სახელზე აღტაის მხარის სამომხმარებლო კოოპერ. კავშირის მიერ 1952 წ. მაისის თარიღით გაზავნილი დეკრეტი, რომელიც ვკითხულობთ: „ჩვენ გვეძინდა განაცხადი ქართულ მწვანე აგურა-ჩაიზე, თქვენ კი ვკვივავდით ჩინურ მწვანე აგურა-ჩაის. შემდგომში, თუ ამას არ

მეწყვეტთა და ქართული მწვანე ავურა-ჩაის არ გა-
მოვიგზავნით, ჩვენ მიერ ანგარიშები განადგებუ-
ლი არ იქნება".

აღნიშნული ფაქტი მეტყველებს, თუ რა ფართო
პოპულარობა მოიპოვა თავისი მაღალი ხარისხის გა-
მო ქართული მარკის მწვანე ავურა-ჩაის სსრ კავ-
შირის სხვადასხვა რესპუბლიკებსა, მხარეებსა და
ოლქებში.

საქართველო მწვანე ავურა-ჩაის პროდუქციით
არათუ აკმაყოფილებს სსრ კავშირის მზარდ მოთ-
ხოვნილებას, არამედ მას ამზადებს საექსპორტო
დანიშნულებითისთვისაც და ჩაის აღნიშნული პრო-
დუქტით უზრუნველყოფს მონღოლეთის სახალხი,
რესპუბლიკა მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც.

მწვანე ავურა-ჩაის წარმოებაში ტექნიკური აზ-
რის შემდგომ, მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩით-
ვალის იქნ. კოდუას მიერ რეკომენდებული ჩაის
ფოთლის მშრალად წნევის შემოღება ზემოქმედებს
პილარულკურვი წნეხების გამოყენებით. იგი სავსე-
ბით ცვლის მწვანე ავურა-ჩაის დამზადების ძირი-
თადი პროცესების ამჟამად არსებულ ტექნოლო-
გიურ სტეპსა, მნიშვნელოვნად ამოკლებს საწარმოო

ციკლს, უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების
შემდგომ გადიდებას და პროდუქციის თვითღირებუ-
ლების შემცირებას. როგორც სპეციალურმა ექსპერტმა
ტიზამ, ისე მწვანე ავურა-ჩაის მომხმარებელთა მოთ-
ხოვნილების დაკმაყოფილების საანკეტო მეთოდით
ჩატარებულმა შესწავლამ ცხადყო, ლაო-ჩაის მშრალ-
ად დაწნევის მეთოდის გამოყენება აუმჯობესებს
პროდუქციის ხარისხსაც. ამჟამად დასასრულს უახ-
ლოვდება ზემოქმედებს პილარულკურვი წნეხისა და
სხვა საკურო მანქანა-აპარატურის დადგენისა და აწ-
ყობის სამუშაოები ქ. ზუგდიდის ჩაის ფაბრიკაში და
მაღე ექსპლუატაციაში შვეა ახალი ტექნოლოგი-
ური სტეპით ლაო-ჩაის მშრალად დაწნევის პრინციპ-
ზე მომუშავე პირველი საწარმო.

მრეწველობის მუშაეთა 1955 წ. მაისის სრუ-
ლიად საკავშირო თათბირმა შრომის ნაყოფიერების
ამაღლებს უზრუნველყოფის მიზნით, ერთ-ერთ
საბრძოლო ამოცანად დასახა მოწინავე ტექნიკის
უსწრაფესი დანერგვა და ტექნოლოგიისა და წარ-
მოების ორგანიზაციის სრულყოფა.

ეს გეგალებს ვიბრძოლოთ არსებული რეზერვე-
ბის უკეთ გამოყენებისა და შემდგომი ტექნიკური
პროგრესისათვის მწვანე ავურა-ჩაის წარმოებაში.



წერილების ავტობიოგრაფიული დამხარისხებელი მანქანა

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სა-
მინისტრო წერილების ავტობიოგრაფიული
დამხარისხებელი მანქანის უამრავ პროექტ-
ტებს აღბუღობს. პროექტებს გავი-
ნიან ინჟინრები, კონსტრუქტორები,
საფოსტო დარგის მუშაკები, სტუ-
დენტები. ყველა თავის ნიჭსა და უნარს
ცდის ამ მანქანის დამუშავებაში. რამ გა-
მოიწევა ეს დიდ ინტერესი?

მოსკოვის ფოსტამტში ყოველდღიუ-
რად ათათასობით წერილი იყრის თავს.
ყოველდღიურად კი არა, არის საათი, რი-
ცა ამდენი წერილია დახარისხებული.
თვეების, წლების განმავლობაში დამა-
ხარისხებელი ძნელ, მოსაბუზრებელ და
არახანტერესო საქმეს აკეთებენ—წერი-
ლებს ამა თუ იმ მიმართულების უტარე-
ლი აწუხობს. და ამ საქმეს ბოლო არ
უჩანს, მიღიან ახალი წერილები! აი, რა-
ტომ დაფიქრდნენ აღმანებლები ისეთი მან-
ქანის შექმნაზე, რომელიც შეცდომის
დამხარისხებლებს, შექმნაზებულს გახდის
ამ მტკისმეტად შრომატევად სასუშოს.

წერილების ავტობიოგრაფიული დამხარის-

ხებელი მანქანისათვის საჭიროა გადაიქ-
რას შემდეგი ძირითადი საკითხები:

უპირველეს უნდა დამზადდეს მექა-
ნიზმი, რომელიც მოწოდებდა ჩაღვებულ
წერილებიდან სათითაოდ ამოიღებს წერი-
ლებს და სპეციალურ „წამოთხვევლ“
მოწყობილობას მიაწოდებს. ამ მოწყო-
ბილობამ უნდა ამოიკითხოს კონ-
ვერტზე გაკეთებული მისამართი და ამის
მიხედვით გარკვეული ელექტრული წრე-
დი შეკრას, შემდეგ კი კონვერტი მოძრაე
ლენტზე დააგდოს, მოძრაე ლენტიდან
ელექტროწრედში ჩართული ელექტრო-
მაგნიტის ზეგავლენით კონვერტი შესაბა-
მის ყუთში ჩავარდეს. ყუთების რიცხვი
განსაზღვრულია 200-ის რაოდენობით, სა-
ჭიროა წერილებს 200 ძირითადი მიმარ-
თულებით დახარისხება. მანქანამ საათში
16-20 ათასი წერილი უნდა დახარისხოს.

როგორც ჩანს, ამ საკითხებიდან ყვე-
ლაზე უფრო რთულია „წამოთხვევლი“
მოწყობილობის დამზადება. რასაკერაფ-
ელია, ვერავითარი მოწყობილობა ვერ გა-
არჩევს მოქალაქეთა მიერ კონვერტებზე

დაწერილ მისამართებს. ამიტომ კონვერ-
ტებს გაკეთებული უნდა ჰქონდეთ რაიმე
პირობითი ნიშანი — შიფრი. მაგრამ რო-
გორი შიფრი ან ვინ უნდა გაუკეთოს ეს
შიფრი კონვერტებს?

ამ კითხვებზე ჯერ გადაწყვეტილი პა-
სუხი დადგენილი არ არის. სადღესობად
დამუშავებულია თითქმის ყველა ძირი-
თადი საკითხი, რაც წერილების ავტომა-
ტურად დამხარისხებელ მანქანასთან არის
დაკავშირებული, გარდა „წამოთხვევლი“
მოწყობილობისა და კონვერტის დამოწ-
მის წესისა.

წერილების ავტობიოგრაფიული დამხარის-
ხებელი მანქანის შექმნაზე მუშაობენ სპე-
ციალური საკონსტრუქტორო ბიუროს
და ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინ-
სტიტუტის მუშაკები. ამ საქმით გატაცე-
ბულ მრავალრიცხოვან საბჭოთა გამო-
კონებულბთან ერთად ისინი კიდევ ერთ
სიტყვას იტყვიან ავტობიოგრაფიული დარგში—
შექმნაში შესანიშნავ ავტობიოგრაფიულ მან-
ქანას.



ქართული კონიაკი



პ. სიჩილაძე

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებათა-მედიცინის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი

მაღალალკოჰოლიანი სასმელი — კონიაკი წარმოადგენს კვების პროდუქტს, რომელიც მზადდება ღვინის სპირტის სათანადო ტექნოლოგიით; მისი წარმოების საწყისები დაახლოებით 300 წლის პერიოდს მოიცავს.

იგი პირველად დამზადებულ იქნა საფრანგეთის ერთ-ერთ უძველეს ქალაქ კონიაკში, რისთვისაც მას ამ ქალაქის სახელი ეწოდა. რუსეთში კონიაკის დამზადება XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება.

1842 წელს აგებულ იქნა და საექსპორტაციოდ გადაეცა კონიაკის ქარხანა ყირიში; შემდეგ, ცოტა უფრო გვიან, კონიაკის წარმოება ვითარდება კავკასიაში.

1889 წელს სარაჯიშვილის მიერ თბილისში აგებულ იქნა კონიაკის ქარხანა, სადაც ყოველწლიურად 40000 ღეკალიტრამდე ღვინო ინდებოდა სპირტად.

1891 წელს მსგავსი ქარხანა შენდება ერევანში; 1905 წლიდან კონიაკი მზადდება აზერბაიჯანში.

მეფის რუსეთისაგან საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო კონიაკის წარმოების ყოველმხრივ ჩამორჩენილი მექვიდრებობა. ამ ჩამორჩენილობის სალიკვიდაციოდ პირველ ხანებშივე დაიწყო მუშაობა და სათანადო ღონისძიებების გატარება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 28 ივლისის დადგენილება, რომლის შესაბამისად კონიაკის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით 1950 წლიდან აკრძალულ იქნა მისი დამზადება 2 წელზე ნაკლები ხნით დაძველებული სპირტიდან; მრავალ ღონისძიებებთან ერთად შემუშავებულ და გატარებულ იქნა ღონისძიება კონიაკის სრულყოფილი ტექნოლოგიის დაზუსტებისათვის.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვის შედეგად სერიოზულ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა საქართველოს კონიაკის წარმოებამ, რომელსაც დაახლოებით ექვს ათეულ წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს;

ქართული ღვინო და კონიაკი ფართოდა ცნობილი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც კი; ქართული კონიაკის ღირსშესანიშნავი მარკები თავიანთი მაღალი ხარისხით ცნობილი იყო ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში; მათ ბევრჯერ მაღალი შეფასება მიიღეს გამოფენებზე.

ხის ჭურჭელში კონიაკის სპირტების დაძველების დროისა და კონდიციის მიხედვით ქართული კონიაკები იყოფა ორდინარულ და სამარკო კონიაკებად.

ორდინარული კონიაკები თავის მხრივ იყოფიან სამ-, ოთხ- და ხუთეარსკვლიან კონიაკებად.

ფართოდ ცნობილი „ენისელი“, „KC“, „OC“, „ვარციხე“ ქართული სამარკო კონიაკებია, რომელთა მიმოხილვებში ვერც და საგემოვნო თვისებებში სამართლიანად დაიმსახურეს მომხმარებელთა ყურადღება.

სამეარსკვლიანი კონიაკი მზადდება 2-3 წლის განმავლობაში მუხის კასრში დაძველებული სპირტიდან; მას ახასიათებს ღია ჩაისფერი მოყვითალო იერი, შედარებით სუსტად განვითარებული ბუკეთი და სათანადო ჰარმონია. მისი სიმაგრეა 40°, ხოლო შაქრიანობა 1,5%.

ოთხეარსკვლიანი კონიაკი მზადდება 3-4-წლიანი სპირტიდან, რომლის კონდიციური მაჩვენებლებია: სიმაგრე 41°, შაქრიანობა 1,5%; ფერით, არამატი და გემოთი იგი ახლოს დგას სამეარსკვლიან კონიაკთან.

ხუთეარსკვლიანი კონიაკი 4-5-წლიანი სპირტიდან მზადდება. მისი სიმაგრეა 42°, შაქრიანობა 1,5%; აქვს შედარებით მუქი ჩაისფერი, ძლიერი ბუკეთი და რბილი გემო.

„ენსელი“ ქართული სამარკო კონიაკების სიამყეს წარმოადგენს. იგი მზადდება ენისელის (ახეთი) მიკროარაინის ჯიშიდან — რქაწითლიდან მიღებული სპირტით, რომელშიც კასრში დაძველება გაიარა 10-25 წელს;

მას აქვს სიმაგრე 43°, ხოლო შაქრიანობა — 0,7%. იგი ხასიათდება მუქი ჩაისფერით, აქვს მკვეთრად გამოხატული სასიამოვნო სიძველის ბუ-

* სტატია იბეჭდება ჩვენი ჟურნალის მკითხველის ინტენერ-ტექნოლოგის გიორგი ჩოხელის (წინანდელი) თხოვნით.

კეთი და მიზიდველი რბილი, ხვეწროვანი გემო; „ენისკლის“ მარკის შექმნა-გამოვლინებისათვის ავტორი ვ. დ. ციციშვილს სტალინური პრემია მიენიჭა.

„ვარციხე“ მზადდება ვარციხის მიკრორაიონში ცოლიკოურის სპირტიდან, რომელიც კასრში დამკველებულია 7-10 წლის განმავლობაში. მზა პროდუქტია, რომელიც 42% ალკოჰოლს და 1,2% შაქარს შეიცავს, ხასიათდება მკვეთროვან ოქროსფერით, ჩიშური ბუკეთით და სასიამოვნო რბილი გემოთი.

„KC“ ათწლიანი სპირტისაგან დამზადებულ კონიაკს წარმოადგენს; მისი სიმაგრეა 43°, შაქრიანობა 0,7%; ხასიათდება ჩაისფერით, სასიამოვნო ბუკეთით და დამკვეთთაგან მკვეთრად აღიარებულია.

„OC“ — დამზადებულია 10-12 წლიანი სპირტიდან; იგი „ენისკლის“ მსგავსი ქიმიურ-ორგანოლექტიკური მაჩვენებლებით ხასიათდება.

ქართული კონიაკის ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული ვაზის ჯიშზე, ყურძნის გადაშუშვების წესზე, საღვინე მასალის გამოხდის ტექნიკაზე და მთელ რაოდენ საკითხებზე, რომლებზეც კონიაკის ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს.

ვაზის ყველა ჯიში მალაზხარისხოვან კონიაკის სპირტს არ იძლევა. ასე, მაგალითად, მკვეთრად გამოხატულია ჯიშური არომატის მქონე ვაზის ჯიშები — მუსკატები, იზაბელა და სხვა ნაკლებ გამოსადგეა კონიაკის წარმოებისათვის; ასევე არა პერსპექტიულია და ქართული კონიაკის დამზადებაში არ უნდა მონაწილეობდნენ წითელყურძნისანი ვაზის ჯიშები, რადგან მათი საღვინე მასალის გამოხდისას დისტილატში, ზოგიერთ სასარგებლო აქროლად ნივთიერებათა გარდა, გადადის ტერპენების ჯგუფის ნივთიერებანი, რომელთა გავლენით საგრძნობლად უარესდება პროდუქციის ხარისხი.

ქართული კონიაკი უნდა მზადდებოდეს რქაწითელიდან, ცოლიკოურიდან, ციციქიდან; პერსპექტიულია აგრეთვე ჩვენს მიერ შესწავლილი და გამოვლინებული ვაზის ჯიშები: ბუერა, ელია, ობაკულური, თეთრი კუმის და საწურთი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მევენახეობამ მდღევანობის ყველა რაიონი ვერ იძლევა მაღალხარისხოვან მასალას ქართული კონიაკისათვის.

გამოვლინებული ენისკლის, ვარციხის მიკრორაიონების გარდა, როგორც ეს ჩვენი ექსპერიმენტებით მტკიცდება, ქართული კონიაკისათვის მაღალხარისხოვან მასალებს იძლევიან ბოლნისის, ნაფარელის, კურდღელაურის და ვანის მიკრორაიონებში გავრცელებული პერსპექტიული ვაზის ჯიშები.

ქართული კონიაკის დამზადებისას მხედველობაში მისაღები საღვინე მასალის დაყენების წესი; ყოვლად დაუშვებელია კონიაკი მზადდებოდეს კა-

ხური წესით დამზადებული ღვინოდან, რადგან ასეთი ღვინო დიდი ოდენობით შეიცავს მეთილის სპირტს, რომელიც დისტილაციის დროს დისტილატში გადადის და საბოლოოდ აუარესებს მზა კონიაკის ხარისხს.

საღვინე მასალის დაყენებისათვის რთველი უნდა ჩატარდეს მაშინ, როდესაც ყურძნის ტკბილის შექვანობა 17-18%, ხოლო მკვეთრობა 9-10% იქნება. ყურძენი კარგად დახარისხების შემდეგ უნდა გატარდეს ეგრობოში, ღურღო გაიწუნოს წნეხში.

კონიაკის საღვინე მასალისათვის გამოყენებული უნდა იქნეს წნეხის თვისადენი, პირველი და მეორე ფრაქცია, რომელთა გათანაბრება (ეგალიზაცია) და წინასწარი 6-8-საათიანი დაწმენდა გვირდის შესაფერისი დოზით აუცილებელია ძირითადად შემდეგი გარემოების გამო: დაუწმენდავ ტკბილში სხვა არასასურველი მინარევების გარდა მოიპოვება ყურძნის მარცვლის შემადგენელი ნაწილების — კანისა და ხორცის ნაწილები, რომლებიც შემდგომში პექტინის ნივთიერების წყაროს წარმოადგენენ; პექტინის ნივთიერება კი ფერმენტ-პექტაზის საშუალებით ალკოჰოლური დედლის დროს წარმოიშობს მეთილის სპირტს, რაც საღვინე მასალის გამოხდისას დისტილატში გადადის და მის გამოვლინებით თვისებებს აუარესებს.

6-8 საათის შემდეგ დაწმენდილი ტკბილი გადაიტანება კარგად დამუშავებულ საღვინე ჭურჭელში და დედლიზე ყოველდღიური დაკვირვება ჩატარდება.

დედლის დამთავრების შემდეგ მიმდინარეობს საღვინე მასალის მოხსნა ლექიდან და იგი თავსდება გვირდის მცირე დოზით ნახრჩოლებ ჭურჭელში.

მიღებული საღვინე მასალა უნდა ხასიათდებოდეს მაღალი საგემოვნო თვისებებით; იგი უნდა იყოს გამჭვივალე, ჩაისფერი, გემოთი საღი, შედარებით მაღალმკვეთრობის (7-8%) და დაბალალკოჰოლიანი (10-11%).

მიღებული საღვინე მასალა უნდა შემოწმდეს ქიმიურად და ორგანოლექტიკურად.

ვარგისად ცნობილი საღვინე მასალის გამოხდის საქმე მაღალკვალიფიციტურ ხელოვანს უნდა მიენდოს.

მიღებული პირველხარისხოვანი კონიაკის სპირტი კარგად გარეცხილ სტანდარტულ კასრებში ისხმება და დასაქვლებლად ობტიმალური პირობების მქონე შენობაში თავსდება; (ტემპერატურა 12-15°, შეფარდებითი ტენიანობა 80-90%). შენობის გარდა კონიაკის ხარისხი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ ჭურჭელთან, რომელშიაც იგი ძველებდა.

კონიაკის სპირტების შესახებ ტარად ძირითადად გამოყენებული უნდა იქნეს მუხის ტყეჩისაგან დამზადებული ჭურჭელი.

მუხის ყველა ჯიში არ იძლევა მაღალხარისხოვან მასალას კონიაკის ჭურჭლისათვის. კონიაკის ჭურჭელი უნდა დამზადდეს მშრალ ნიადაგზე გაზრდილი მუხისაგან; საქართველოს პრობებში გავრცელებული ივერიის, მაღალი მთის, იმერული და შალის მუხებში მაღალხარისხოვან საკარგ მასალას იძლევიან. უმჯობესია კონიაკის წარმოებისათვის კასრები ამ მუხებისაგან მზადდებოდეს.

კასრებში მოთავსებული სპირტები დაძველებიან პერიოდულად უნდა მოწმადებოდეს ქიმიურად და ორგანოლუბტიურად; სპირტები, რომლებიც ვერ უქასუნებენ ხარისხობრივ კონდიციურ მაჩვენებლებს, კუბაჟში არ დაიშვება.

კუბაჟის წარმოებისას სხვა მონაცემებთან ერთად უყრადღებო უნდა მიექცეს სპირტების ხნოვანების საკითხს.


უმჯობესია და აუცილებელიცაა ერთისა და იმავე ხნოვანების სპირტები ერთად დაკუბაჟდნენ.

ამა თუ იმ მარკის კონიაკის დამზადებისას დაძველებული სპირტის სიმაგრე ხშირად ვერ უქასუნებენ კონდიციას, რისთვისაც საჭირო ხდება მისი განზავება გამოხდილი წყლით; სასურველ სიძაგრემდე სპირტის მიყვანისათვის დასამატებელი წყლის ოდენობას საზღვრავენ პრაქტიკის მიერ მრავალჯის შემოწმებული ფორმულით.

$$x = \frac{v(l' - l'')}{l''' - l'}$$

X — არის დასამატებელი სპირტის ოდენობა; V — სიმაგრის დასამატებელი სითხის მოცულობა გასინჯვის მომენტში, l' — სპირტის ან კონიაკის სასურველი სიმაგრე, l'' — სპირტის ან კონიაკის სიმაგრე გასინჯვის მომენტში, l''' — დასამატებელი სპირტის სიმაგრე.

დაკუბაჟებულ სპირტს უნდა დამატოს მუხის კასრებში დაძველებული შაქრის სიროფი; მისი ოდენობის დადგენა ამა თუ იმ მარკისათვის შესაძლებელია ვარსკვლავის წესით:



სადაც 1-ის ადგილზე უნდა ჩაისვას ციფრი, რომელიც გამოხატავს შაქრის სიროფის კონცენტრაციას, 2-ის ადგილზე — კონიაკის სასურველი შაქრისადა, 3-ის ადგილზე — კონიაკის შაქრისადა სიროფის შეტანამდე; 4-ის ადგილზე — მეორისაგან შესაძენ გამოკლებით მიღებული ციფრი; 5-ის ადგილზე — რიცხვი, რომელიც გამოხატავს 1-დან

მეორის გამოკლებით მიღებულ შედეგს. წყლით განზავებისას კონიაკი ფერს კარგავს, რისი აღდგენისათვის მას ემატება წინასწარ დამზადებული „კოლური“ შესაფერისი დოზით.

დაკუბაჟების შემდეგ უნდა მოხდეს საკუბაჟებულში მოთავსებული პროდუქციის მაგრად არევა მისი გაწმენდა ექსტრაქტით, ერთი კვირის შემდეგ წებოს მოხსნა და კონიაკის განაწილება კასრებში.

ორდინარული კონიაკები ბოთლებში ჩამოსხმამდე კასრებში დაძველებას საჭიროებენ 3-4 თვით, ხოლო სამარკოები — 5-8 თვით; დაძველების ეს ვადები აუცილებლად უნდა იქნეს დაცული, რათა სრულყოფილად მოხდეს კონიაკში შემაჯალ კომპონენტთა ასიმილირება და მისი ხარისხის გაუმჯობესება.

ქართულ კონიაკს მთელ რიგ დადებით თვისებებთან ერთად თერაპევტული მნიშვნელობაც აქვს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი ცალკეული მარკებისდამიხედვით ხასიათდება შედარებით მაღალი ალკოჰოლის (40-43%) შემცველობით; მასში გარკვეული ოდენობითაა წარმოდგენილი აგრეთვე ე. წ. უალკოჰოლო ნივთიერებანი — ალდეჰიდები, აციტლები, მჟავები, ძმარმჟავა ეთილის ეთერი, ენანტის ეთერი და სხვ., რომელთა მონაწილეობით იქმნება კონიაკის სასიამოვნო, მიმზილველი ბუკეთი.

კონიაკს თერაპევტულ და პროფილაქტიკურ უნარს აძლევს მასში შემავალი ალკოჰოლი და უალკოჰოლო ნივთიერებანი.

კონიაკი ორგანიზმში ინტენსიურად გამოყოფს სითბოს, რაც ამაგრებს ადამიანის ორგანიზმს და იცავს მას ზოგიერთი ინფექციური დაავადებისაგან (გრძობ, ფილტვების ანთება, ტიფი და სხვ.).

ამასთანავე ერთად ქართული კონიაკი ადამიანს უღვიძებს ჭამის მადს, აწესრიგებს კუჭნაწლავის მუშაობას, აღუდგენს ძალ-ღონეს, მოქმედებს საერთო სისუსტისა და დაუძლურების წინააღმდეგ.

განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლევა ქართული სამარკო კონიაკი მცირეწლოვან ბავშვებში საკვებისადმი მადის გაღვიძებისათვის; ბავშვებისათვის განკუთვნილი 1 ჭიქა რძეში 3-10 წვეთი კონიაკის შერევა სასარგებლოა: რძე უფრო სასიამოვნო არომატს ღებულობს და ბავშვიც ხარბად ეტანება მას.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, ქართულ კონიაკს თავისი ხარისხით ერთ-ერთი საბატიო ადგილი უჭირავს მაღალკლასობრივ სასმელთა შორის; ამ დარგში მომუშავე სპეციალისტთა ყოველდღიურ ამოცანას შეადგენს მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით კიდევ უფრო სრულყოფილ ქართული კონიაკის ტექნოლოგიური პროცესები, რათა მიღწეულ იქნეს მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესება.



(ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)

ლოცინტი ი. ნანობაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველო მეღვინეობა-მევენახეობით განთქმული ქვეყანაა. „ვაზის ვაგუნება და ღვინის დაყენება უძველესი დროიდან იცოდნენ ქართველებმა, საქართველო მევენახეობის განვითარების ერთ-ერთ უძველეს კერად არის მიჩნეული“¹.

არსად ვაზის იმდენი ჯიში არ არის დამოწმებული, რამდენიც საქართველოშია. „ჩვენში 400-ზე მეტი ვაზის ჯიში მოიპოვება“². საყურადღებო ის არის, რომ „აქ ცნობილია ორასზე მეტი ადგილობრივი ვაზის ჯიში, რომელთაგან უმრავლესობა საღვინე ჯიშია, ბევრი საჭმელი ყურძნისა, ზოგიც საჩაიში, სამურაბე და საწნილ“³. ეს ვაზები ადამიანის ხელით მუშავდება და მოშინაურებულია. არის რიგი ვაზის ჯიშები, რომლებიც ადამიანის დამოუკიდებლად — ველურად ცხოვრობს. ისინი გარეულ ვაზებს ეკუთვნის. ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას იპყრობენ ეს უქანასენენი.

აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, გარეული ვაზის სახელად რამდენიმე სიტყვა არსებობს: „კრიკინა, უსურვაზი, ძღუამლი, ბურძღუმი (პერეთში, სიბეგლოში), მორატხლა (გურიაში), ბურეხი და შხურინი (სამეგრელოში)“⁴.

ა. მაყაშვილს თავის ბოტანიკურ ლექსიკონში ივ. ჯავახიშვილის მიერ აღნიშნული გარეული ვაზის სახელები გამოკრებული აქვს და ზოგს, სხვადასხვა ადგილების მიხედვით უმატებს: უსურვაზი, ტყის ვაზი, виноград лесной, *Witis Silvestris gmel* და სხვ.

გარეული ვაზის ჯიშებიდან და მათი სახელობრივებიდან გამოვყოფთ კრიკინასა და უსურვაზს. საერთოდ გარეული ვაზები, ზოგიერთი მათგანი მაინც, შეიძლება ბოტანიკურად იქნებ განსხვავებულ სახეს ატარებენ, მაგრამ ამათგან ახლა შევეჩებით მხოლოდ კრიკინასა და უსურვაზს.

კრიკინა და უსურვაზი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავლად გვხვდება: ტყეებში ცალკე

ხეებზე ასული, ღობეებზე, მდინარის ნაპირებზე და სხვაგან. ხალხი ზოგ შემთხვევაში კრიკინასა და უსურვაზს ერთი და იმავე სახელით აღნიშნავს. კრიკინას უსურვაზს უწოდებს და უსურვაზს—კრიკინას.

საქმე იმაშია, რომ არა თუ ხალხში, სამეცნიერო ლიტერატურაშიაც კრიკინა უსურვაზთან გაიგივებული ჩანს.

სახელოვან გეოგრაფს, ვახუშტი ბაგრატიონს აქ. სადაც დასახელებული აქვს ტყის ხილი: თხილი, ტყემალი, ზღმარტილი და სხვა, იქვე მხოლოდ მოხსენებულია კრიკინა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ვახუშტი ამ ტერმინის ქვეშ უსურვაზსაც გულისხმობდა.¹

საბას მიხედვითაც „უსურვაზი კრიკინა ვაზი“² არის. სხვა ადგილას საბას განმარტებით კი „კრიკინა ველური ყურძენია“³.

აკად. ივ. ჯავახიშვილიც ასევე მიიჩნევს: „კრიკინა გარეული ვაზის კი არა, არამედ გარეული ველური ყურძნის სახელი იყო და ენლაც ის არის, ეს სახელი ვაზის ხის აღმნიშვნელი შემდეგ უნდა გამოხდარიყო“⁴. უსურვაზი კი, მისივე აზრით, „უსრულ ვაზსა ნიშნავს. ამ სახელში ქართველი მიწადმოქმედს და მევენახეს გარეული ვაზ-ყურძნის დაბალი ღირსება გამოუმტლავნებიათ“⁵.

უქანასენელ ხანს ა. მაყაშვილი, ალბათ, ლიტერატურაში არსებულ ცნობებს ემყარება, როცა ისიც კრიკინას უსურვაზთან აიგივებს.

ამ აზრის საწინააღმდეგოდ კრიკინასა და უსურვაზის ურთიერთ განსხვავებისათვის ჩვენ ხელთა გვაქვს სამათ ეთნოგრაფიული მასალა, უმთავრესად ქიზიყიდან.

ქიზიყში ჩვენ მიერ შეგროვებული ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ კრიკინა და უსურვაზი ორი განსხვავებული გარეული მცენარის აღმნიშვნელი სახელია. აი, როგორ არის წარ-

¹ ბ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი 1, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, თბილისი, 1946, გვ. 86.

² კ. მოციხაძე, მეღვინეობა, თბილისი, 1948, გვ. 8.

³ ბ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, დასახელებული ნაწარმი, გვ. 86.

⁴ ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1935, გვ. 295.


¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 98.

² საბა, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1937, გვ. 346.

³ იქვე, გვ. 276.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, მითით. ნაწარმი, გვ. 295.

⁵ იქვე, გვ. იგივე.



ა — კრიკინა, ბ — უსურვაზი

მოდგენილი ქიზიყის დღევანდელ ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ცალ-ცალკე კრიკინა და უსურვაზი.

კრიკინა თეთრიც შეიძლება და შავიც, ღეროზე წითელი ზოლები „დასდევს“, საკმელად კარგია, მაგრამ მარცვლი ამერიკული ვაზივით წვრილი აქვს, ჩვეულებრივი ვაზის შეხედულებისა და ხეზე ასული მაღლარ ვაზს მოგვაგონებს. მორგძო ფოთოლი ახასიათებს.

კრიკინა ქიზიყში საკმაოდ გვხვდება. სოფელ ვაქირში, ქიზიყის ჩრდილო საზღვარზე, ანაგის ხევის პირას მცხოვრებნი კრეფდნენ მას. იგი ადრე მწიფდება და ვიდრე ჩვეულებრივი ყურძნის რთველი დაიწყებოდა, მას ამპკრებდნენ კიდევ. ზოგიერთ შემთხვევაში კრიკინას ყურძენს რთველის დროს კრეფდნენ და შინაურ ყურძენში შერეულს სწურავდნენ.

ქიზიყის უქანა-მხარეში, სოფ. ბოდბიდან დაახლოებით 15 კილომეტრის მანძილზე, მდ. ივრის ნაპირებზე, უწინ იზდნად ბევრი კრიკინა ვაზი ყოფილა, რომ ბოდბელებს კრიკინას ყურძენი ურმებით უზინდით და სახლში მიტანილი საწინააღმდეგო უჭურავთ.

როგორც გეობოტანიკოსმა არტემ კაქულიამ გადმოცა, კრიკინა ვაზები შირაქისკენ, ალფადარასა და პანტიშარას ხეობებშიაც იყო მის მიერ მიგნებული.

კრიკინას ღვინო ძალიან „მაგარი დასალევი“ ყოფილა. კრიკინას ყურძენი ზამთრისათვის შესანახად იყო განკუთვნილი და საკმაოდ ხანგრძლივად ინახებოდა თურმე.

ზოგიერთ ლიტერატურულ წყაროში აღნიშნულია, რომ აღმნიშნები „დაბინადრებისას ჯერჯერობა კინას რგავდნენ და შემდეგ მისს უკეთეს ფორმებს. მაგრამ საღ მიიღო პირველად ვაზის მოვლა-მოშენებამ კულტურული ფორმები, ანის შესახებ ჯერჯერობით ზუსტი მასალა არ მოგვეპოვება“¹.

ამ საკითხთან დაკავშირებით სოფ. ქვემობოდბეში (სიღნაღის რაიონი) გიორგი დიმიტრის-ძე ნასყიდაშვილმა ერთი ასეთი ცნობა მომწერა: „უწინ, როცა უქანა-მხარეში ვაზები მოშინაურებულნი არ იყო და განიზრახეს ვაზების გაშენება, მდ. ივრის ნაპირებზე უმარავი კრიკინა ვაზიდან ზოგიერთს გადააწყენდნენ, გადაწყვენილები აქა-იქ ვაზის ძირებად იზრდებოდა, ვაზრდილებს გლეჯავდნენ და იმით აშენებდნენ ვაზებს ბოდბე-მადაროში“.

როგორც ხედავთ, კრიკინას დიდი უპოვითობა აქვს ჩვეულებრივ ვაზთან და შეიძლება ის შინაური ვაზის „წინაპარ ფორმად“ ჩაითვალოს. უსურვაზი ამის ანალოგიურს არაფერს არ იძლევა.

უსურვაზს „ძველიანი“ მცირე და წვრილი აქვს, ფოთოლი ფორმით „გულისებრი“ მოყვანილობისაა. უსურვაზი თუ ვაზთან რაიმე დამოკიდებულებაშია, ეს იმაში მდგომარეობს, რომ მისი ტოტი (უფოთლებოდ) კრიკინას ღეროს ემსგავსება.

უსურვაზს ღეროზე თეთრი ზოლები „დადევს“. უსურვაზი — „ფორმაა და მეტი არაფერი“. ზრდა კრიკინასთან შედარებით „დიდი აქვს“, კრიკინაზე დიდი იზრდება. ზოგიერთი მთხრობელის გადმოცემით, უსურვაზს წამლადც ხმარობდნენ.

1947 წლის ქართლის კომპლექსურ ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მუშაობის დროს სოფ. ახატანში (ღუშეთის რაიონი) დავამოწმეთ, რომ უსურვაზის ყვავილისაგან ბავშვებისათვის პატარა ბალიშებს აკეთებდნენ და მისი არაფისაგან არაყს ზიდნენ.

უსურვაზს სხვა სამეურნეო ღირსებაც გააჩნია და კრიკინასაგან ამითაც განსხვავდება. უსურვაზის წნელს ორად შუაზე გააპობდნენ, გაყოფდნენ და ურმის თვლის მორგვებზე ახვევდნენ, რათა მორგვი სიცხისაგან „არ დაგვალულიყო“ და არ დამსკდარიყო. უსურვაზის წნელით საკოყეს, სკვებს აკეთებდნენ და ურმის ქალებსა და ურმის თავებს უბამდნენ.

1 ს. ჩოლოყაშვილი, შოთა რუსთაველის გმოქის მატერი-ალური კულტურა, მასალები საქ. XII—XIII სს. ვაზის ჯიშების საკითხისათვის, თბილისი. 1938, გვ. 61.

¹ ბრჭყალაძეში ჩანაწერი სიტყვები, რომლებსაც მიითვება არა აქვს, ქიზიყშია დამოწმებული.

უსურვაზის წწელი, შვიდ-რვას ერთად მიიტანდნენ და ღვედებდა — გამბრებდა იყენებდნენ, როცა ხალხს საქონლის გამოქნა უნდოდა, საქონელს რაიმე სიმძიმეს გაათრევიებდნენ და ისე ატარებდნენ. ეს სიმძიმე ხშირად უსურვაზით იყო საქონელთან დაკავშირებული.

უსურვაზის წწელი რომ ვარგისია და მეტი მხვიარობა ახასიათებს, ვიდრე კრიკინას, ეს გარემოება, ქიზიყში გამოთქმა რომ არის: „უსურვაზივით ჩაგვგრინხო“, იმითაც მტკიცდება.

საქართველოს დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში კრიკინა და უსურვაზი საკმაო რაოდენობით გვხვდება. კრიკინას თავიდანვე ეკონომიური მნიშვნელობა უჩანს მისი ნაყოფის გამოყენების თვალსაზრისით, უსურვაზის წწელს კარგად უსურვაზის წწელი, ბევრი სამუშაოს შესრულება შეუძლებელი იქნებოდა.

კრიკინა და უსურვაზი ურთიერთ განსხვავებული არიან არა მარტო გარეგნულად, „ბოტანიკურად“ სხვადასხვანაირი არიან“ და არა სინონიმები.

1 პროფ. ს. ჩილაყაშვილის სიტყვიერი ცნობა.



„ნაუტილუსი“ — წყალქვეშა ნავი ატომური ძრავით

ნახევარი წლის შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში საექსპლოატაციოდ გადაეცა და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის დენის მიცემა დაიწყო მსოფლიოში პირველმა ელექტროსადგურმა, რომელიც ატომური ენერჯით მუშაობს, აშშ საზღვარი ფლოტი შეუდგა თავისი პირველი წყალქვეშა ნავის გამოცდას ატომური ძრავით.

„ნაუტილუსი“ წარმოადგენს მსხვილ წყალქვეშა ნავს 2500 — 2800 ტონა წყალწყევით.

ბირთვულ საწვავს „ნაუტილუსზე“ წარმოადგენს ბუნებრივი ურანი, გამდიდრებული 235 იზოტოპით. სითბო, რომელიც რეაქტორში ვითარდება ურანის ატომის ბირთვების დაშლის გამო, გამოჰყავთ მძიმე წყლით, რომელიც ერთდროულად ნეიტრონების დამყოფნების როლსაც ასრულებს. მძიმე წყალი წნევის ქვეშ მოძრაობს რეაქტორსა და ქვაბ-თბოგამცვლელს შორის, სადაც სითბოს გადასცემს ჩვეულებრივ წყალს. წყალი დუღს, ორთქლი კი მიეწოდება ორთქლის ტურბინას, რომლის სიმძლავრე 8000 ცხენის ძალას აღწევს. ტურბინას მოქმედებაში მოჰყავს გენერატორი, რომელიც თავის მხრივ დენით კვებავს მოტორებს, რომლებიც ხრახნებს ამოძრავებენ. „უცველი შემთხვევისათვის“ „ნაუტილუსი“ აღჭურვილია კიდევ ჩვეულებრივი დიზელით.

„ნაუტილუსის“ სიჩქარე შეადგენს 20 კვანძს (37 კილომეტრს საათში) წყალქვეშ და 35 კვანძს (65 კილომეტრს საათში) ზედაპირზე. იფლისსხმება, რომ მას შეუძლია შესარულოს დედამიწის გარშე-

მო მოგზაურობა რეაქტორის ურანით შეუქცებლად.

წყალქვეშა ნავი ჯერ კიდევ 1954 წლის შემოდგომაზე გადაეცა ფლოტს, მაგრამ კონსტრუქციის გამოვლინებულმა დეფექტებმა არსებითი ცვლილებები მოითხოვა.


ნავის ეკიპაჟი შედგება 11 ოფიცრისა და 85 მატროსისაგან.

600 000 ცხენის ძალა

წინდენი რეაქტიული ძრავები აქამდე იხმარებოდა მხოლოდ მფრინავი და სხვა უპილოტო აპარატისათვის. ამ რამდენიმე ხნის წინათ პირველად გამოქვეყნდა ცნობა ასეთი ტიპის განანადგურების შესახებ რეაქტიული ძრავით, რომელიც საფრანგეთში შენდება სახელწოდებით „ლე-დიუკ-022.“

როგორც ცნობილია, წინდენი ძრავის წნევა იზრდება სიჩქარის გადიდებისას. უძრავი ძრავი კი საერთოდ არავითარ წნევას არ ქმნის. ამიტომ, რათა თვითმფრინავმა შეძლოს განავითაროს სისწრაფე, რაც საჭიროა წინდენი ძრავის მუშაობის დაწყებისათვის, იგი დამატებით აღკაზმულია აგრეთვე ტურბორეაქტიული ძრავითაც.

მაქსიმალური სიჩქარის დროს წინდენი ძრავის სიმძლავრე, რომელიც „ლე-დიუკ-022“-ზეა დადგმული, 600000 ცხენის ძალას აღწევს. განანადგურებულმა შეიძლება ზებგერთი სისწრაფეც კი განავითაროს.



ელექტრული ბრამსაის გამოგონების 75 წლისთავი

ინჟინერი მ. ჩოკოროავაძე

XVIII საუკუნეში მგზავრთა გადაყვანის საშუალებას დიდიქანის, ეტლი და ომნიბუსი წარმოადგენდა.

1860 წელს პეტერბურგში (ლენინგრადი) ვასილიევის კუნძულზე გაიხსნა პირველი სალიანდაგო გზა, ხოლო 1872 წელს მოსკოვში გაჩნდა პირველი კონკა, რომელიც განკუთვნილი იყო გამოფენაზე სახმელრო ტვირთების გადასაზიდად.

პეტერბურგისა და მოსკოვის მსგავსად, 1880—83 წლებში სხვა დიდ ქალაქებშიც იქნა გაყვანილი კონკის პირველი ხაზები (კიევი, ხარკოვი, თბილისი, ოდესა, რივა, დონის რუსთავი და სხვ.).

საქალაქო ტრანსპორტის განვითარებისათვის მეცნიერების დღის წესრიგში დაისვა ელექტრული ძრავის გამოყენების საკითხი, რომლის გადაწყვეტაში პირველ პიონერად შეიძლება ჩავთვალოთ რუსი აკადემიკოსი ბორის იაკობი. აკად. იაკობი პირველმა გამოიგონა ელექტრომაგნიტური ძრავი. 1839 წელს პეტერბურგში იაკობის ძრავს მდინარე ნევაზე მოძრაობაში მოჰყავდა ნავი, რომელსაც 14 ადამიანი მიჰყავდა. ნავი მძლიერად საათში ოთხი ვერსის სიჩქარით, დინების საწინააღმდეგოდ.

იაკობის ძრავი იყვებებოდა დიდი საკუთარი წონის მქონე გულვანური ელემენტებით, რის გამოც მან ვერ ჰოვა ფართო გავრცელება, მაგრამ წვეის ძრავის გამოცდამ სრული გარანტია მისცა მეცნიერებს ფართო მასშტაბით გამოყენებისათვის ელექტროწვევაში ძრავები, უკეთ რომ ეთქვათ, ამ დღიდან ჩაეყარა საფუძველი ელექტრული ტრანსპორტის შექმნას.

1870 წელს ზ. გრამმა გაუმჯობესა ელექტრული გენერატორი. მან გამოიყენა ე. წ. წრიული ღუზა და კოლექტორი. გენერატორის გაუმჯობესებამ წამოჭრა ელექტროენერჯის მანძილზე გადაცემის საკითხი.

ფედორ აპოლონის-ძე პიროცკი, რომელიც 1845 წლის 17 თებერვალს დაიბადა, 1871 წელს ამოავრებს საარტილერიო აკადემიას და იწყებს მუშაობას მთავარ საარტილერიო სამმართველოში, სადაც იგი ეცნობა პეტრუშევსკის ცდებს ელენერჯის მანძილზე გადაცემის შესახებ. მალე პიროცკი თვით კიდებს ხელს აღნიშნულ საკითხს და 1874 წელს ატარებს პირველ ცდას გრამის ტიპის გენერატორზე, რომლის სიმძლავრე ექვსი ცხენის ძალის აღწევდა.


1875 წელს ნებარტვის მიწების შემდეგ პიროცკიმ შეძლო ტელერაფის მეფულთი ერთ ვერსზე გადაეცა ელექტროენერჯია.

1879 წელს ფ. ა. პიროცკის საფუძვლიანად ჰქონდა მოფიქრებული ქალაქის ტრანსპორტისათვის ვაგონის კონსტრუქცია ელექტრული ძრავით (ნახ. 1). ამ საკითხზე იგი ათავსებს სტატის იმდროინდელ „სინიენრო ჟურნალში“, რის საფუძველზეც სიმენსის ფირმამ ქ. ბერლინში ერთ-ერთ გამოფენაზე მოაწყო სათამაშო რკინიგზა. ლოკომოტივი, რომელსაც 18 მგზავრი დაყავდა, კვებას იღებდა მესამე რელსიდან, რომლებზედაც დავორავდა სპეციალური ბორბალი (დენმიძლები).

ფ. ა. პიროცკის სქემები ელექტრული რკინიგზისა და მისი მოწყობილობებისა დემონსტრირებული იყო 1880 წლის 26 მარტს პეტერბურგში მსოფლიოში პირველ ელექტროტექნიკურ გამოფენაზე.

1880 წლის მიწურულში (ავგისტო-სექტემბერი) ქ. პეტერბურგში გაიარა მსოფლიოში პირველმა ნამდვილმა ორსართულიანმა ელექტრული ტრამვაის ვაგონმა, რომელზედაც დადგმული იყო რუსი ინჟინრის ფ. ა. პიროცკის მუდმივი დენის ელექტრული ძრავი.

დენის წყარო მოთავსებული იყო ერთი კილომეტრის მანძილზე. ძრავის კვება ხორციელდებოდა რელსების მეშვეობით (ერთი რელსი წარმოადგენდა პლუსს, მეორე—მინუსს).



ნახ. 1. ფ. ა. პიროცკის საცდელი ვაგონის სქემა: 1 — ვაგონის თვლები, 2 — ვაგონის ჩარჩო, 3, 4, 5, 6 — კბილთა სხსტემა, 7 — ელექტროძრავი

საინტერესო ნარკვევი

1954 წელს გამოვიდა პროფ. ვ. ა. ქომეთიანის მეტად საინტერესო ნარკვევი: «ციცხალი მატერია და მასში მიმდინარე ქიმიურ გარდაქმნათა ღინამიკა» (რედაქტორი დოქ. გ. ჰაპაშვილი).

ციცხალი მატერიის პრობლემა, უგრძობადეს ციცხალი მატერიის არსებობის საკითხი თანამედროვე ბიოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანია. ამ პრობლემასთანაა დაკავშირებული ბიოლოგიის ისეთი ძირითადი საკითხების გადაწყვეტა, როგორცაა: სიცოცხლის წარმოშობა, ციცხალი მატერიის არსებობის ფორმები, უგრძობის წარმოშობა, ორგანიზმების განვითარება, ცვალებადობა და სხვ.

ციცხალი მატერიის პრობლემა უქანასუნელ წლებში მკვლელობის საგნად გახდა მთელი რიგი სპეციალური, საკავშირო ხასიათის თათბირებისა და კონფერენციებისა.

აქედან გასაგებია ნარკვევის აქტუალობა. ნარკვევი დაწერილია მაღალ მეცნიერულ დონეზე — ამ დარგში მეცნიერების უქანასუნელ მიწვევებზე დაყრდნობით, დააღწეტიკური მატერიალიზმის, როგორც აზროვნების ერთადერთი მეცნიერული მეთოდის გამოყენებით. ნარკვევის მნიშვნელოვანი ნაწილი ავტორის ორიგინალურ გამოკვლევებს შეეძლება.

ნარკვევის განხილულია მთელი რიგი ერთიმეორესთან დაკავშირებული საკითხები, სულ ვაშუქებულია 17 საკითხი: ცნება ციცხალი მატერიის შესახებ, ციცხალი მატერიის დამახასიათებელი ნიშნები, ნივთიერებათა ცვლის ბიოლოგიური როლი, სიცოცხლის ზღვარის საკითხი და სხვ.

სიცოცხელ წარმოადგენს მატერიის მოძრაობის განსაკუთრებულ ფორმას, რომელსაც ზვედ მეტად ბუნებაში ვერ ვხედავთ. ნივთიერებათა ცვლა უნდა ჩაითვალოს სიცოცხლის ყველაზე დამახასიათებელ ნიშნად. ციცხალ არსებობაზე მკვიდრებულა და ცვალებადობა განისაზღვრება ნივთიერებათა ცვლის ხასიათით. ნივთიერებათა ცვლის ბიოლოგიური როლი იმაში გამოიხატება, რომ მისგან უშუალოდ არის დამოკიდებული როგორც ციცხალი არსების გარეგანი ფორმა, ისე მის სხეულში მიმდინარე გარდაქმნების ხასიათი.

ყველაზე უფრო მარტივი წარმონაქმნი, რომელსაც აქვს ნივთიერებათა ცვლის უნარი, ეს არის ცილოვანი ნივთიერება. უქანასუნელ გარკვეული ორგანიზმები უნდა ახასიათებდეს, რომ მას სიცოცხლის ნიშნები აღმოაჩნდეს. უგრძობი ციცხალი მატერიის განვითარების უფრო მაღალი საფეხურია. არაუგრძობი ციცხალი მატერია და პროტოპლაზმა აშენებულა არიან ცილისაგან. პროტოპლაზმაში ცილები დაკავშირებული არიან ლიპოიდებთან, ნუკლეოტიდებთან და მთელ რიგ სხვა ნაერთებთან. აქედან მეტ ინტერესი იწვევს ცილის ნაერთები ნუკლეოტიდებთან.

პროტოპლაზმა წარმოადგენს უაღრესად ლაბილურ, მრავალწარმონაქმნს, რომელიც გარკვეულ შინაგანი ზეგავლენის მოქმედებაზე პასუხობს თავისი შენების გარკვეული ცვლილებით. პროტოპლაზმა რომ შეინარჩუნოს გარკვეული სპეციფიკური სტრუქტურა, საჭიროა უგრძობი გარედან განუწყვეტელი ენერჯის მიწოდება. ეს ენერჯია უგრძობ მიწოდება საკვები მასლის ქიმიური გარდაქმნის გზით. პროტოპლაზმაში მიმდინარე ქიმიური გარდაქმნების რეგულაცია ხორციელდება ფერმენტების საშუალებით. ფერმენტები ქიმიურად ცილოვანი ნივთიერების წარმოადგენენ. ცილის ფერმენტული აქტივობა ენიჭება მას შედეგად, როცა ის დეჰიდრობდება შედარებით მარტივი შენების მქონე ნაერთებს (ნუკლეოტიდები, გიტამინები და სხვ.). ცილის კომპლექსური ცვლის უნარით.

ციცხალი მატერია არაწინასწარული სისტემის წარმოადგენს, რაც აუცილებელ პრობლემას წარმოადგენს ნივთიერებათა ცვლისათვის. ციცხალი მატერია რომ წინასწარობას არ მოვიღებს, საჭიროა გარედან ენერჯის მიწოდება. ენერჯის ცვლა ციცხალი მატერიაში ემორჩილება ბუნების ძირითად კანონებს, რომელიც ცნობილია თერმოდინამიკის პირველი და მეორე კანონის სახელწოდებით.

გარკვეული დამოკიდებულება არსებობს ქიმიურ რეაქციებსა და ციცხალი მატერიის, კერძოდ, ქსოვილის ფუნქციონალური ციცხალი მატერიის ფუნქცია ხორციელდება გარკვეული ფერმენტული სისტემების საშუალებით, რომელსაც უნარი აქვს გარდაქმნას ქიმიური ენერჯია ფუნქციონალურ შემთხვევაში ფუნქციის შესრულებული არის ცილა მიოზინი. ის ამავე დროს არის ფერმენტიც, რომელიც ააქტივებს ადენოზინტრიფოსფატის დაშლას. ამ ნაერთის დაშლის შედეგად გამოყოფილია ქიმიური ენერჯია გარდაქმნება ფუნქციონალურ — ხშირდება კუნთის შეკუმშვის პროცესს.

აზნების პროცესსაც საფუძვლად უქვს ნივთიერებათა ცვლა. ის ბიოქიმიური გარდაქმნები, რომლებიც თან სდევს კუნთის შეკუმშვის პროცესს, ერთდროულად დაკავშირებული არიან აზნების პროცესის მსგეულობასთან. კუნთის აზნება და შეკუმშვა გვეყრდნობა მთლიანობაში.

კუნთის აზნების თან სდევს ბიოელექტროდინის რჩევა, ელექტროლიტების წინასწარობის ცვლილება, წყალბადითონა კონცენტრაციის შემცობება, აცეტილქოლინის (აცეტილქოლინის) და სხვ. გაღიზიანება იწვევს აზნების, რასაც თან სდევს ბიოდინის რჩევა, ე. ი. იმპულსების გადაცემა და აცეტილქოლინის წარმოშობა. აცეტილქოლინის რჩევა იწვევს ელექტროლიტების წინასწარობის ცვლილებას. ეს ცვლილება წარმოადგენს კუნთის შეკუმშვის უშუალო მიზეზს.

ნერველ ქსოვილისათვის დამახასიათებელია ნივთიერებათა ცვლის მაღალი დონე და არაგველმდებრივი მგრძობიარობა აქანებალის ნაწლებობისაში. ნაერთებს, რომლებიც აკავშირებენ ნერველ მოქმედებას ქსოვილის ამ ორგანოს მოქმედებასთან, უწოდებენ შუამავლებს, ანუ მედიატორებს. სადელიონი ცნობილია აცეტილქოლინის, ადრენალინის და ჰისტამინის მოწარმოება ნერველი იმპულსების გადაცემაში. ნერველ მოქმედებაში გულტანის მრავალ რიოცი დიდია, ეს ნაერთი ნივთიერებათა საერთო მრავალფეროვანობა რიოლის გარდა ასრულებს დამატებით კიდევ სპეციფიკურ რიოს. ის მოწარმოებას ლბელობს აცეტილქოლინისა და ადრენალინის ფუნქციონალურ მონაწილეს ამონაიას და გავლენას ახდენს კალიუმის გავლენაზე ნერველ უგრძობი.

ყველა საკითხის განხილვის შემდეგ ნარკვევში მოცემულია შემაჯამებელი მოკლე დასკვნა.

საქიროდ მაინაინა შეგვირდებ იმ სადისკუსიო საკითხზე, რომელიც განხილულია ნარკვევში. ესაა სიცოცხლის საწყისის პრობლემა.

საბოლოო მეცნიერების შეხედულებით — გამომდინარე მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიიდან — მატერიის განვითარებას, რომელაც მოკვდა სიცოცხლის წარმოშობა დედამიწეზე, უნდა გავგულ შევხედო საფუძვლად.

არაორგანული ნივთიერება —> მარტივი ორგანული ნაერთები —> ცილები —> ციცხალი სისტემა (ცილოვანი ნივთიერება)

ბათა კომპლექსები) → უკრებლები → მრავალუკრებლავანი

მეცნიერებები და ცხოველები.

ისმის კიბება, ცოლა საყუარო ორგანიზაციის რომელ საფეხურზე ხდება სიცოცხლის მატარებელი.

ერთნი ამტკიცებენ, რომ მოლეკულური ცოლა მოლეკულური ნივთიერებათა ცვლის შიდას. ამ შეხედულების მიმდევარნი, მათ შორის ნარკვევის ავტორი (ნ. გვ. 22-ე), კატეგორიულად აღიარებენ, რომ ჰომოგენური, მოლეკულური ცილის არ შეიძლება ჰქონდეს სასიცოცხლო თვისებანი.

ამასთან დაკავშირებულ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მდღისათვის არ მოიპოვება ექსპერიმენტული ფაქტები, რომელნიც უარყოფდნენ ცილის ბიოლოგიურ ფუნქციას.

რაც შეეხება სხვადასხვა მკვლევარების შეხედულებას ამ საკითხის შესახებ, არ არის სადრო აზრი, მუხედვად ამისა, რომ სამართა პრესაში დიდი ხანია მიმდინარეობს დისკუსია ამ საკითხზე.

ფრ. ენგელსი თავის შრომებში არჩევს ცოცხალი ცილის არსებობის კონკრეტულ ფორმებს, სახელებს: ცილოვანი ნივთიერება, მონერა, პროტეინობა.

ფრ. ენგელსი როცა ლაბორატორია ცილოვანი ნივთიერებაზე, როგორც სიცოცხლის მატარებელ სუბსტანციას მას მხედველობაში აქვს მოლეკულური, არადიფერენცირებული ცილოვანი ნივთიერება:

„ყველაფერ, სადაც სიცოცხლეს ვხედებით, იგი რაიმე ცილოვანი სხეულთანაა დაკავშირებული, და ყველგან, სადაც მოიპოვება ცილოვანი სხეული, რომელიც დასლის პროცესში არ იმყოფება, იქ გამოუტლებელი სიცოცხლის მოვლენებსაც ვხედებით. რასაკვირველია, ცოცხალ ორგანიზმში საჭიროა სხვა ქიმიურ ნერთთა არსებობაც, რათა გამოწვეულ იქნეს ამ სიცოცხლის მოვლენათა განსაკუთრებული დიფერენცია; მარტოოდენ სიცოცხლისათვის ისინი არ არიან საჭირო, თუ არა ვიტყვი იმის შესახებ, რომ ისინი საკვებს წარმოადგენენ და ცოლად იმეციან“ (ფრ. ენგელსი. ანტი-დიურიანი გვ. 97, 1952 წ.).

საღიოსლო მოგვეხივება ექსპერიმენტული მონაცემები, რომელიც ადასტურებენ, რომ მოლეკულური ცილოვანი ნივთიერების, როგორც გარკვეულ ქიმიურ სხეულს, ახასიათებს ნივთიერებათა ცვლის უნარი.

ჯერ კიდევ 1892 წ. ივანოვსკიმ თამაქის ფოთლის მოზაიკური დაავადების გამოწვევი ვირუსი მიიღო კრისტალების სახით, რომელიც ცილოვანი ნივთიერების წარმოადგენს. ო. პ. ლეშენსკაის ცდებით დამტკიცებულა, რომ მოლეკულური მდგომარეობაში მყოფი კვერცხის ცილა ცოცხალ ცილას წარმოადგენს.

კონსტუკოვას და კრიცმანის მიერ ჩატარებულ ცდებით დადგინდა იქნა, რომ ოზოლირებულ ცილებს, როგორიც არიან სისხლის შრატის ცილები და პროტეოლიზური ფერმენტები (ტრანსინი, ქიმოტრინომინი, პეპსინი), გარკვეულ პირობებში ახასიათებთ ნივთიერებათა ცვლა: ამინოკომპლექსი თავისუფალ მდგომარეობიდან გადადის ცილის მოლეკულაში (სინთეზი) და შეზღუდებით — ცილის მოლეკულის შენებაში მონაწილე ამინომაკომპლექსი თავისუფლდებიან (დაშლა).

ეს ცდები გავრწმუნებენ, რომ ცოცხელ ცილოვან მოლეკულას აქვს უნარი სპეციფიურ ნივთიერებათა ცვლისა—აღიონებს სიცოცხლის ნივთების უმარტივეს ფორმას. ამ ცდების შედეგები საუკეთესო დადასტურებაა ფრ. ენგელსის აზრისა: „ს ი ც ვ ხ ლ ე ა რ ის ც ი ლ ო ვ ა ნ ი ს ხ ე უ ლ ე ბ ის ა რ ს ე ბ ო ბ ის წ ე ს ი, და არსებობის ეს წესი არსებითად ამ სხედულების ქიმიური შემადგენელი ნაწილების მუდმივ თვითგანახლებაში მდგომარეობს“ (ანტი-დიურიანი გვ. 96, 1952 წ.).

როგორც აღნიშნული იყო, დღისათვის არ მოიპოვება

ექსპერიმენტული ფაქტები, რომელნიც უარყოფდნენ ცილოვანი ნივთიერების, როგორც გარკვეული ქიმიური სხეულის, ბიოლოგიურ ფუნქციას. მამ რაჲმ მიერწროს საწინააღდეგო მოსაზრების მტკიცებას საქმე შედეგება:

ზოგიერთნი ამტკიცებენ, რომ არადანაც ნივთიერებათა ცვლა წარმოადგენს მთელი რაჲმ ქიმიური რეაქტივის ერთობლიობას და რომ გარკვეული ცილა-ფერმენტი აქტივებს მხოლოდ განსაზღვრულ ინდივიდუალურ რეაქციას, ამიტომ ნივთიერებათა ცვლაში მონაწილეობის უნდა დებულობდეს ასობით და ათასობით ინდივიდუალური ცილა-ფერმენტები.

ამჲკარა, რომ ცოცხელ ფერმენტული რეაქცია დაკავშირებულია ცილის გარკვეულ ქიმიურ შენებასთან. ამიტომ ინდივიდუალური ცილის შეიძლება ახასიათებდეს მხოლოდ განსაზღვრულ ინდივიდუალურ ფერმენტული რეაქცია. ასეთი შეხედულების საფუძველზე, რასაკვირველია, ერთგვაროვანი ცილოვანი მოლეკულას არ შეიძლება ახასიათებდეს რამდენიმე ფერმენტული რეაქცია, ნივთიერებათა ცვლა.

შეხედულება, რომელიც სიცოცხლის მატარებელ საფუძვლად სივლის ცილოვან სისტემას, შემდგარის რამდენიმე ინდივიდუალური ცილოვანი ნივთიერებისაგან, აძნელებს როგორც ამ სისტემის შემეცნებას, აფერხებს აგრეთვე ცილების მატერიის წარმოშობის პრობლემის გადაწყვეტას.

ფრ. ენგელსი დიდ მნიშვნელობას აძლევდა ცილოვანი ნივთიერების ხელოვნურად შექმნის შესაძლებლობას. ის დარწმუნებული იყო, რომ ქიმა მომავალში შეძლებს ცილების სინთეზს და ამ ხელოვნურად დამზადებულ ცილას უნდა ახასიათებდეს სიცოცხლის ნიშნები: ათუ ოდესმე ქიმა ამ შეიძლოს ხელოვნურად შექმნას ცილა, ეს უკანასკნელი გამოაშკარავებს სიცოცხლის მოვლენებს, თუნდაც ჯერ კიდევ სუსტს“ (ფრ. ენგელსი).

შეხედულება კი ცოცხალ ცილოვან სისტემაზე მეტისმეტად ართულებს ცოცხალი მატერიის ხელოვნურად შექმნის ცილის ქიმიური სინთეზის გზით.

ექვს გარეშე, რომ რთული ცილოვანი სისტემა თვისებრივად მატერიის განვითარების უფრო მაღალი საფეხურია მოლეკულური ცილისათმ შედარებით.

როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ერთი და იგივე ინდივიდუალური ცილა ამტკიცებდეს რამდენიმე კატალიზური რეაქციის უნარს?

ცილოვანი ნივთიერების ახასიათებს არა მდგომარეობა, ლაბილობა: ყოველივე გარეგანი ფაქტორის მოქმედების პასუხობის თავისი ბუნების, ქიმიური შენების შედეგით. ცილოვანი ნივთიერების ლაბილობა დაკავშირებულია მის განსაკუთრებულ, სპეციფიურ ქიმიურ შენებასთან.

ცილის ლაბილობა ანიჭებს მას ნივთიერებათა ცვლის უნარს. ლაბილური ცილის მოლეკულას გარემოსთან ურთიერთმოქმედება აძლევს მას საჭირო ნერგისათვის თავისი ნატურული მდგომარეობის შენარჩუნებისათვის. გარემო პირობების ურთიერთმოქმედება განსაზღვრავს ცილის მოლეკულის ქიმიურ შენებას. ქიმიურ-ფიზიკური არეს შეცვლით ცილის მოლეკულის სპეციფიკ იცვლება: გარკვეულ არემო ცილის მოლეკულა ხასიათდება ამ არესალბი შესაბამისი სპეციფიკური შენებით. ცილის ქიმიური შენების შეცვლის შედეგად იცვლება მისი კატალიზური ფუნქციაც.

ფრ. ენგელსს ცილოვანი ნივთიერების ლაბილობა აქვს მხედველობაში, როცა წერს: „მშაშაღამე, სიცოცხლე, ე. ო. ცილოვანი სხეულის არსებობის წესი, უწარბერ ყოვლის, იმამო, მდგომარეობს, რომ ყოველ წუთს იგი თავის თავიც არის და ამისთანავე სხვაც“ (ანტი-დიურიანი გვ. 97, 1952 წ.).

პროფ. ვ. მონაშვილი

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

განსახი მკითხველთა = ზეობებზე =

ს. ლასანა (მამბრის რ-60). ა. ლაშაშვიანი


გეოდეზიაში დედამიწის წერტილთა სიმაღლეების განსაზღვრას ნიველობა ეწოდება. არსებობს ნიველობის რამდენიმე სახე, მაგალითად: გეომეტრიული (ჰორიზონტული სხივით), ტრიგონომეტრიული (დახრილი სხივით), ბარომეტრიული, მექანიკური და სხვ.

ტრიგონომეტრიულ ნიველობას სხვანაირად გეოდეზიურად ეწოდება და თქვენს შეკითხვაში ალბათ ამას გულისხმობთ. გეოდეზიური ნიველობის არსი შემდეგში მდგომარეობს.

A და B წერტილებს შორის h სიმაღლეთა სხვაობის განსაზღვრისათვის იზომება A დახრის კუთხე და განისაზღვრება D ჰორიზონტული მანძილი მათ შორის. ნახაზი გვიჩვენებს, რომ

$$h = D \operatorname{tg} \alpha + i - l$$

სადა: i არის კუთხმუში იარაღის სიმაღლე, ხოლო l — დამზერის წერტილის სიმაღლე მიწიდან. როდესაც h სიმა-



ღლეთა სხვაობის განსაზღვრა დიდ მანძილებზე ხდება, მაშინ ამ ფორმულაში, სათანადო ცხრილების დახმარებით, შეაქვთ შესწორება დედამიწის სიწრფილსა და რეფრაქციისათვის.

დოკ. ა. ასლანიკაშვილი

თბილისი. სამართველოს სსს-სამ. ინსტიტუტის სტუმარებს ლ. შუაბიძის

თქვენს შეკითხვაზე — თბილისიდან სატელევიზიო გადაცემების საქართველოს სსრ რაიონებში, კერძოდ, ლავოდეხის რაიონში, მიღების შესახებ შეიძლება შემდეგი ითქვას:

ტელევიზიური რადიოცენტრები მუშაობენ ულტრაიოკლე ტალღების (3,5-დან 6,5 მეტრამდე) დიაპაზონში.

ეს ტალღები თავისი გავრცელების ხასიათით გვიან სინათლის სხივებს, ე. ი. გრცელდებიან სწორხაზობრივად. ტელევიზიური გადაცემების რადიუსი არ აღემატება პირდაპირ ხილვადობის მანძილს ტელევიზიური გადაცემებისა და ტელევიზორის ანტენებს შორის.

ტელევიზიური გადაცემის სიშორე შეიძლება დაახლოებით გამოანგარიშებულ იქნეს ფორმულით:

$$l = 3,55 (\sqrt{h_1} + \sqrt{h_2})$$

კილომეტრი, სადაც h_1 და h_2 არის გადაცემი და მიმღები ანტენის სიმაღლე მეტრებში.

თუ მივიღებთ საორიენტაციოდ, რომ $h_1 = 450$ მეტრს, h_2 კი — 10 მეტრს, მაშინ ტელევიზიური გადაცემის სიშორე შეადგენს:

$$l = 3,55 (\sqrt{450} + \sqrt{10}) \approx 85 \text{ კილომეტრს.}$$

ცნობილია შემთხვევები ტელევიზიური გადაცემების უშუალო მიღების უფრო შორეულ მანძილებზე (150 — 200 კილომეტრის რაიონს), რადიოტალღების ატმოსფერული რეფრაქციის (გარდტების) გამო.

საქართველოს პირობებში საკითხი ტელევიზიური გადაცემის მიღებისათვის თბილისიდან რაიონებში, რომლებიც 60 — 70 კილომეტრზე მეტი მანძილითა დაშორებული ტელევიზიური სივრცეებში კი უფრო მეტად მაძილებენ, რთულდება. ამით, რომ ჩვენში ადგილის რელიეფი მკვეთრად გადახრილია მნიშვნელოვანი სიმაღლის მთებითა და ქედებით.

ამასთან დაკავშირებით ზოგად დებულებებისა და ანგარიშის გამოყენება აქ (გარდა აღმოსავლეთ მიმართულებისა — მაგალითად, რუსთავისა და წაწილობრივ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მიმართულებისა) არ შეიძლება.

კერძოდ, ლავოდეხის რაიონის მიმართ უნდა აღინიშნოს: ვარდა იმისა, რომ იგი თბილისიდან დაიკლებულია 100 რადიოკილომეტრზე მეტი მანძილით, ლავოდეხსა და თბილისს შორის რემეზარტზე მთის მასივები, რომელთა სიმაღლე 1990 მეტრამდე აღწევს („ციფა“). ამიტომ დარწმუნებით ლაპარაკი ტელევიზიური რადიოცემების მიღებაზე თბილისიდან ლავოდეხის რაიონში ძნელია.

რადიოინჟინერი ლ. ხშიდაშვილი

ახმეტა. მოსწავლე ლ. ფუნთუშაშვილს

ფლოტაციის ფიზიკური მხარე ამჟამად შესწავლილია. იგი შემდეგში მდგომარეობს:

ფლოტაცია მადნების გაუხვების ერთ-ერთი ხერხია. სიტყვა ფლოტაცია უცნობა და ნიშნავს ტიტეცს. ფლოტაციის პროცესი დამყარებულია დასარგებლო მინერალის და ფუჭი ქანის ზედაპირების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების სხვადასხვაობაზე.

ამ პროცესის ფიზიკური მხარე საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. ნარეც, რომელიც წინადად დაფუძვლილი მადნის მარცვლებისა და წყლისაგან შედგება, მცირე რაოდენობით უმატებენ სხვადასხვა ქიმიურ ნაერთებს (რეაგენტებს). ჩვენს მზრუნველ მექანიკური ამრევის, ან დაწინილი ჰაერის საშუალებით საფლოტაციო მანქანაში წარმოიშობება ჰაერის უმარაგი წვრილი ბუშტები.

ბუშტები ქვევიდან ზევით ზედაპირისაკენ მისიწრაფვიან, სადაც ამქვევებში რეაგენტების საშუალებით წარმოიქმნება ქაფი. ჰაერის ბუშტები გზაზე მინერალის მარცვლს მიიკრობენ და ზედაპირზე ამოსწვენენ.

ჰაერის ბუშტები მადნის ყველა მარცვალს როდი მიიკრობენ. ისინი მხოლოდ იმგვარ მარცვლებთან ურთიერთქმედებენ, რომლებიც თავის ზედაპირზე წინასწარ რეაგენტის მოქმედება განიცადეს.

ფუჭი ქანის მარცვლებზე რეაგენტები არ მოქმედებენ, ასეთი მარცვლები წყალში სველებიან. ჰაერის ბუშტები მათ არ ეკრობიან და ისინი იძულებული არიან ჩაიძირონ. ამრიგად, სათანადო რეაგენტების შერჩევით შეიძლება ფლოტაციის დროს ამა თუ იმ მინერალის მარცვლების ამოტივებება და მათი ქაფში მოგროვება, ან წყალში ჩაძირვა.

ფლოტაციის პროცესის თეორიული მხარის ზოგიერთი საკითხზე კერძოდ საკამრისად არ არის შესწავლილი.

ასეთ საკითხებს ეყუთვნის: რეაგენტის და მინერალის ზედაპირის ურთიერთქმედების ხასიათი და მინერალის ჰაერის ბუშტებთან მიკრობის მიზეზი. მიუხედავად ამისა, ფლოტაციის სამთმადლო საქმეში ფართო გავრცელება აქვს მოპოვებული და იგი ღარიბი მადნების გაუხვების ყველაზე მეტად ეფექტურ მეთოდიათაა მიჩნეული.

სამთო ინჟინერი ი. გომბიძე

საითხი იმის შესახებ, თუ როდის დაიწყო ცილების შესწავლა, ძნელი დასადგენია. ერთ-ერთი ცილოვანი ნივთიერების მიიღებაზე მე-18 საუკუნეში მუშაობდა ი. ჯ. ბუკერი. ცილების შესწავლის საქმეში დიდი მიუძღვის რუს მეცნიერს ა. ი. დანიელესს (1888 წ.). ორგანულ ნივთიერებათა გარკვეულ ჯგუფს „ცილები“ იმის გამო ეწოდა, რომ ასეთ ნივთიერებათა ტიპური წარმომადგენელი ქაიმის კვრცხის ცილა.

სპილენძის სულფატის ელექტროლიზის დროს გამოიყოფა გამოიყოფა სპილენძი, ვინაიდან კათოდთან შეხებისას სპილენძის იონი უფრო ადვილად განიშუბტება ვიდრე წყალბადის იონი, ანელს კი შეეხება სულფატიონი (SO) და ჰიდროქსილიონი (OH). ამათან ჰიდროქსილიონი განიშუბტება (დაცემს ელექტრონს) და წარმოქმნილი ჰიდროქსელის ჯგუფების შეერთებით მიიღება წყალი და თავისუფალი ენაგბლი, რომელიც ანოდზე გამოიყოფა.

ს. ტყვირი (ბახაუის რ-ნი) მოსწავლე მ. ჩაჩავას

შაბის ხსნარში რკინის მოთავსების დროს სპილენძი არ გამოიყოფა რკინაზე. რკინაზე გამოიყოფა სპილენძი იმ შემთხვევაში, როდესაც მას (რკინას) მოათავსებენ შაბიანის ხსნარში. დაწვრილებითი განმარტებისათვის მიმართეთ ქიმიის მასწავლებელს.

ს. აბუშაბანი (ოჩამჩირის რ-ნი) მოსწავლე დ. ჩაბაბერია

სახამებელი წარმოიქმნება მცენარის ქლოროფილის მარცხვლებში, თუ მას განათებენ შუის ან ხელეღნური სინათლის სხივებით. სახამებლის წარმოქმნა ზღვა ჰაერიდან ათვისებული ნახშირორთაენიგისა და ნიადაგიდან შეუწოვილი წყლისაგან. მთელი რიგი რეაქციების შედეგად ჰაერში გამოიყოფა ენაგბალი. უკანასკნელი გამოკვლევების თანხმად სახამებლის შემადგენელი ელემენტებიდან ნახშირბადისა და წყალბადს მცენარე დებულობს ნახშირორთაენიგისა და წყლისაგან; მესამე ელემენტსაც — ენაგბალს მცენარე აითვისებს ნახშირორთაენიგისაგან, ხოლო ჰაერში გამოიყოფა წყლის შემადგენლობაში მყოფი ენაგბალი. წინათ კი ფიქრობდნენ, რომ ჰაერში გამოიყოფოდა ნახშირორთაენიგის შემადგენელი ენაგბალი. ეს საითხი გარკეცია ა. პ. ვინორადოვმა მძიმე ენაგბალის გამოყენების საფუძველზე. ამრიგად სხივური ენერჯის გამოყენების მეშვეობით წარმოიქმნება სახამებელი — ორგანული ნივთიერება, რაც შუის სხივური ენერჯის დადრეკების საშუალებას შეადგენს.

ს. მან-ზომლითის სკოლა (ჩოხატაურის რ-ნი) მოსწავლე ა. მახარაძეს

თხევად ენაგბალს მაგნიტური თვისებები აქვს. მაგნიტური მოვლენები აიხსნება ატომგულის გარშემო მბრუნევი ელექტრონების მოძრაობით და თვით ელექტრონების ბრუნვით საკუთარი დერძის ირგვლივ. ამრიგად წარმოიქმნება ელემენტარული დენები, რომელთა შედეგად გამოვლენდება მაგნიტური მოვლენები. ამ პროცესზე გავლენა აქვს ტემპერატურას. მხოლოდ ძლიერ დაბალი ტემპერატურის პირობებში იკმნება ელემენტარული დენების ისეთი სისტემა, რომლის დროსაც თხევადი ენაგბალი გამოაველენს მაგნიტურ თვისებებს.

ნ. ჯაბ აბიძე
საქართველოს სსრ სკოლის დამახუტრებელი მასწავლებელი

მასობრივი ყოველთვიური მეცნიერულ-ობოულარული

ეურნალი მუხნიკება გ მქნიკა

საქართველოს სსრ მუხნიკებათა აკადემიის ორგანო.
მიიღება ხელისმომწერა 1956 წლისათვის

ხელისმომწერის პირობები:

1 თვით	5 მან.
6 თვით	30 მან.
1 წლით	60 მან.

ხელისმომწერა მიიღება „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილებაში



**ს. აფშური (ბახაღის რ-ნი). მოსწავლე
მოსწავლე პ. პირაშვილი**

საკითხი იმის შესახებ, თუ როდის დაიწყო ცილების შესწავლა, ძნელი დასადგენია. ერთ-ერთი ცილოვანი ნივთიერების მიღებაზე მე-18 საუკუნეში მუშაობდა ი. გ. ბეკერი. ცილების შესწავლის საქმეში ღვაწლი მიუძღვის რუს მეცნიერს ა. ი. დანიელესკის (1888 წ.). ორგანულ ნივთიერებათა გარკვეულ ჯგუფს „ცილები“ იმის გამო ეწოდა, რომ ასეთ ნივთიერებათა ტიპური წარმომადგენელია ქათმის კვერცხის ცილა.

**ს. ტყვირი (ბახაღის რ-ნი). მოსწავლე
პ. ჩაჩავაძე**

შაბის ხსნარში რკინის მოთავსების დროს სპილენძი არ გამოიყოფა რკინაზე. რკინაზე გამოიყოფა სპილენძი იმ შემთხვევაში, როდესაც მას (რკინას) მოათავსებენ შაბისნის ხსნარში. დაწვრილებითი განმარტებისათვის მიმართეთ ქიმიის მასწავლებელს.

**ს. მან-ზომლეთის სკოლა (ჩოხატაურის რ-ნი).
მოსწავლე ა. მახარაძე**

თხევად ქანდალს მაგნიტური თვისებები აქვს. მაგნიტური მოვლენები აიხსნება ატომულის გარშემო მბრუნავი ელექტრონების მოძრაობით და თვით ელექტრონების ბრუნვით საკუთარი ლერძის ირგვლივ. ამრიგად წარმოიქმნება ელემენტარული დენები, რომელთა შედეგად გამოვლინდება მაგნიტური მოვლენები. ამ პროცესზე გავლენა აქვს ტემპერატურას. მხოლოდ ძლიერ დაბალი ტემპერატურის პირობებში იქმნება ელემენტარული დენების ისეთი სისტემა, რომლის დროსაც თხევადი ქანდალი გამოავლენს მაგნიტურ თვისებებს.

**ს. მთბრთო (ბახაღის რ-ნი). მასწავლებელი
პ. ჯანაშვილი**

სპილენძის სულფატის ელექტროლიზის დროს კათოდზე გამოიყოფა სპილენძი, ვინაიდან კათოდთან შეხებისას სპილენძის იონი უფრო ადვილად განიმუხტება ვიდრე წყალბადის იონი, ანოდს კი შეეხება სულფატიანი (SO) და ჰიდროქსილიონი (OH⁻). ამათან პირობისათვის განიმუხტება (გასცემს ელექტრონს) და წარმოქმნილი ჰიდროქსლის ჯგუფების შეერთებით მიიღება წყალი და თავისუფალი ქანდალი, რომელიც ანოდზე გამოიყოფა.

**ს. აბუბედი (ოჩამჩირის რ-ნი). მოსწავლე
ღ. ჩაქაბერიძე**

სახამებელი წარმოიქმნება ცენერის ქლოროფილის მარცხელებში, თუ მას გაანათებენ ზის ან ხელოვნური სინათლის სხივებით. სახამებლის წარმოქმნა ხდება ჰაერთან ათვისებული ნახშირორჟანგისა და ნიადაგიდან შეწოვილი წყლისაგან. მთელი რიგი რეაქციების შედეგად ჰაერში გამოიყოფა ქანდალი. უკანასკნელი გამოკვლევების თანახმად სახამებლის შემაღლებული ელემენტებიდან ნახშირბადას და წყალბადს მცენარე ლებულოს ნახშირორჟანგისა და წყლისაგან; მესამე ელემენტსაც — ქანდალს მცენარე აითვისებს ნახშირორჟანგისაგან, ხოლო ჰაერში გამოიყოფა წყლის შემაღლებლობაში მყოფი ქანდალი. წინათ კი ფიქრობდნენ, რომ ჰაერში გამოიყოფოდა ნახშირორჟანგის შემადგენელი ქანდალი. ეს საკითხი გარკვევა ა. პ. ვინოგრადოვმა მძიმე ქანდალის გამოყენების საფუძველზე. ამრიგად სხივური ენერჯის გამოყენების მეშვეობით წარმოიქმნება სახამებელი — ორგანული ნივთიერება, რაც შხის სხივური ენერჯის დატოვების საშუალებას შეადგენს.

**ნ. ჯაბა არიძე
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული**

მასწავლებელი

მასობრივი ყოველთვიური მეცნიერულ-პოპულარული

ქურნალი მუხნიკება & ტექნიკა

საქართველოს სსრ მცხინორის რაიონის ოკრუგი.
მიიღება ხელისმოწერა 1956 წლისათვის

ხელისმოწერის პირობები:

1 თვით	5 მან.
6 თვით	30 მან.
1 წლით	60 მან.

ხელისმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილებაში





გ ა რ ე კ ა ნ ზ ე: ავრორას ზალბი.
ნახ. ს. დუდნიკისა

№ 11	ნომერი	1955
ოქტომბერი და მეცნიერება		1
გ. ლომთათიძე		
ივ. ჯავახიშვილი (გარდაცვალების 15 წლისთავის გამო)		4
ლ. ბოლქვაძე		
ავტოკლავური ბეტონი		7
ვ. ჩხეიძე		
წარმოებაში მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვისათვის		12
ს. ვართანიანი		
საბჭოთა ხელისუფლების დამყარება სომხეთში		14
ო. ლორაძე, ა. ავალიანი		
ტექნიკური პროგრესის ლითონები		18
ა. მოროზოვი		
„მარსი-1“		21
ვ. ჯვანაშვილი		
მთვარის ასაკი		25
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის—რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია		
— ვ. ჯიბლაძე		28
გ. ფიცხელაური, ა. დანდუროვი		
ფოტორეზი		29
მ. ასათიანი		
ტექნიკური პროგრესი მწვანე აუზრა-ჩაის წარმოებაში		33
ა. სირილაძე		
ქართული კონიკი		37
ი. ნანობაშვილი		
კრიკინა და უსურვაზი		40
უცხოეთის ტექნიკა		42
მ. ჩორგოლაშვილი		
ელექტრული ტრამაის გამოგონების 75 წლისთავი		43
საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები: დიანოსტიკის ძვირფასი მეთოდი (გვ. 13), ახალი საშუალება ტლექის წინააღმდეგ (17), «წამოთხველი» მოწყობილობა (24), წერილების ავტომატურად დამზარისხებელი მანქანა (36), მძლავრი კარუსელური ჩარხი, მემბრანული სამსექციიანი დამზარისხებელი (44)		
კ რ ი ტ ი კ ა ზ ბ ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა		
შ. გონაშვილი		
საინტერესო ნარკვევი		45
პასუხი მკითხველთა შეკითხვებზე		47

გარეკანის მე-2 გვ: საბჭოთა კავშირის ფოტოკრონიკა,
ჩანართის მე-4 გვ-ზე: გ. ი. პოკროვსკი—
მოთხრობის ატომური თეორიის ნაწილი

სარედაქციო კომიტეტი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი რ. დვალის (რედაქტორი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ვ. კუპრაძე, პროფესორი ვ. კაპაბაძე, დოცენტი მ. მირიანაშვილი, ინჟინერი კ. ბურბანიძე, ინჟინერი შ. ჯაბაძე, ე. ფულაძე (რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი).
კ. შარაშვილი (მხატვრული რედაქტორი)

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლეხელის ქ. № 22. ტელფ. № 8-46-49

**Ежемесячный научно-популярный журнал «Мецниереба да техника»
(на грузинском языке)**

ქალაქის ზომა 60×92,3 სმ. ფ., 1 ფურცელზე 73 000 სასტამბო ნიშანი.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 2. 12. 55 წ., უკ 07667, შეკვ. № 1587, ტრაჟე 7000
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, ავ. წერეთლის ქ. №3/
Типография Академии Наук Грузинской ССР, Тбилиси,
ул. А. Церетели № 3/5

61708 3.27/35

შპს 5 216.

